ბიბლიოთეკა

# სარბიელი

სპორტული გაზეთი | სამშაბათი 20 მარტი 2001 №48 (1321) | ფასი 50 თეთრი

# საქართველოს მორაგბეთა ნაკრები მართლაც ეროვნული გუნდია!

ევროპის ერთა თასი. მეოთხე ტური. 17 მარტი

## საქართველო 43:10 ესპანეთი

რუსთავი. «ფოლადის» სტადიონი. 12 000 მაყურებელი

## ერთ მუშტად შეკრულ ქართველებს წინ მიგვიძღვება სორელი!

საქართველომ კვლავ გაიმარჯვა.

'ბორჯღალოსნებმა კვლავ მოიგეს. ამჯერად შინ, ხალხით გაჭედილ რუსთავის სტადიონზე. მოიგეს და, რაც მთავარია, მართლაც ლაზათიანად ითამაშეს. ჩვენი სარაგბო ნაკრების წლევანდელ ბედში ყველაზე საინტერესო ის არის, რომ ყოველი თამაში წინას სჯობს, ანუ ჩვენები უკეთ და უკეთ თამაშობენ.

ბორჯღალოსნები გზას შეუდგნენ და ალმა მიუყვებიან. ძია კლოდის გუნდს არაერთი გამოცდა ელის. თუნდაც კარს მომდგარი სტუმრობა რუმინეთში, ჩვენი დივიზიონის უეჭველ ლიდერთან. საქართველო მზად არის რუმინეთთან საჭიდაოდ. სხვა საკითხია, ვინ მოიგებს ამ ჭიდაობას, მაგრამ ჩვენი ნაკრები უნდა დაეჩვიოს დიდი, მოგებული თუ წაგებული, ორთაბრძოლების გადახდას. რაც უნდა მოხდეს, ბორჯღალის გუნდი ალმა მიდის და, რაღა თქმა უნდა, ჩვენი გუნდური სპორტის მთავარ სიამაყედ და სიხარულად რჩება.

სიხარული ძნელად დასათვლელი რამ არის, მაგრამ რომ დავითვალოთ, ნაღდი ოქრო იმ ხალისისა და გახარებისა, ბორჯღალოსნებმა და მათმა მესაჭემ რომ აჩუქეს ამ ბოლო თვეს საქართველოს, გადასწონის ყველაფერს, რაც კი სპორტის მოყვარეთ გაგვხარებია ამ ქვეყანაში ბოლო ათ წელიწადში.

საქართველომ კვლავ გაიმარჯვა. რაც მთავარია, გუნდი ალმა მიდის!

რეპორტაჟი რუსთავიდან იხილეთ მეთოთხმეტე გვერდზე



ბადრი ქეთილაძის ფოტო

ვასილ კაცაძის (ბურთით) თამამმა შინაურიც და უცხოც ერთნაირად აღაფრთოვანა



ბადრი ქეთილაძის ფოტო

მადლობა მადლობის წილ: ქართველმა მორაგბეებმა და გულშემატკივრებმა ერთმანეთს ალალი მადლობა უთხრეს

2002 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი მატჩი. VIII ჯგუფი. 28 მარტი

## საქართველო — რუმინეთი

# ყადაღა ჰო თუ ყადაღა არა?

**ბევრი** ინერვიულეს საქართველოს ფეხბურთის ფედერაციაში.

დიდუბე-ჩუღურეთის საგადასახადო ინსპექციამ ფეხბურთის ფედერაციის ანგარიშს გუშინ, ნაშუადღევს ყადაღა დაადო.

საქართველოს ნაკრები კი დღეს გერმანიაში, დიუსელდორფის მახლობლად მდებარე ჰენეფში უნდა შეიკრიბოს და 28 მარტს რუმინელებთან სათამაშოდ მოემზადოს. საამისოდ საჭირო ფული ბანკიდან სწორედ გუშინ უნდა გამოეტანათ. და სულაც არ იყო გამორიცხული, ნაკრები გერმანული შეკრების გარეშე დარჩენილიყო. ახლა კი ყველაფერი მოგვარებულია.

გუშინ საღამოს ფედერაციის გენერალურმა მდივანმა ვალერი ჩოლარიამ, ვიცე-პრეზიდენტმა ალექსანდრე ჩივაძემ და ნაკრების მწვრთნელებმა — რევაზ ძოძუაშვილმა და დავით ყიფიანმა საგანგებო პრესკონფერენცია გამართეს, ლაპარაკით კი მხოლოდ გენერალურმა მდივანმა ილაპარაკა.

— ვინც ჩვენს ანგარიშს ყადაღა დაადო, ფედერაციის მტერი კი არა, ქვეყნის მტერია. მან საფრთხის ქვეშ დააყენა საქართველო — რუმინეთის მატჩის ჩატარება. ჩვენი ნაკრები მაინც მოემზადება გერმანიაში. დღეს ნაცნობ-მეგობრებს დავუკავშირდით და ყველაფერი მოვაგვარეთ. გუნდი ხვალ დილით სტამბოლის გავლით გერმანიაში გაფრინდება. ბილეთების ფულს მერე გადავიხდით. გერმანელები გვადროვებენ, შეგვპირდნენ, ნაკრებს მოსამზადებლად ხელს არაფერი შეუშლისო. მე და პრეზიდენტი მერაბ ჟორდანია 22-ში ჩავალთ ჰენეფში და მასპინძლებს დანარჩენზე იქ მოველაპარაკებით. გერმანელებისთვის 7 ათასი მარკა უკვე გადახდილი გვაქვს.

გერმანიაში მოსამზადებლად 50 ათასი დოლარი უეფას ვთხოვეთ და მათაც სწორედ ამ დილით გადმოგვირიცხეს ეს ფული გრანტის სახით, საგადასახადომ კი შესაშური ოპერატიულობით ანგარიში გაგვიყინა. არადა, საგადასახადოსთან ჯენტლმენურად ვიყავით შეთანხმებულები, რომ ვალის გადახდას მარტის ბოლოდან დავიწყებდით. ტელევიზიის პირველ არხს ოფიციალური მატჩების ჩვენების უფლება უფასოდ მივეცით. ის 150 ათასი დოლარი ჩვენ გადავიხადეთ და შესაბამისად, საგადასახადოსთან მოლაპარაკებით, სწორედ ტელევიზიას უნდა შეეტანა ბიუჯეტში ჩვენი ვალის ნაწილი. სამწუხაროდ, ასე არ მოხდა და ახლა იძულებულნი ვართ, დავალიანება ჩვენვე დავფაროთ, ტელევიზიას კი უკვე ფედერაციისა მართებს — თქვა ვალერი ჩოლარიამ და პრესკონფერენცია ამით დასრულდა.

**კობა ინასარიძე**

**გუშინვე** საქართველოს ტელევიზიის პირველი არხით გავრცელდა ცნობა, რომ გადასახადებისა და შემოსავლების მინისტრის ბრძანებით ფედერაციის საბანკო ანგარიშს ყადაღა ახსნეს. შუაღამისას შევეხმიანეთ სფფ-ს გენმდივან ვალერი ჩოლარიას, რომელმაც ასეთი ინფორმაცია არ მაქვსო, გვიპასუხა.

# შეხვედრა ჰენეფში

## ქართული ექსპერიმენტი გერმანიაში

**დღეს** საქართველოს ნაკრები გერმანიის ქალაქ ჰენეფში შეიკრიბება და 28 მარტს თბილისში რუმინეთთან სათამაშოდ მზადებას შეუდგება.

ეროვნული გუნდის მწვრთნელებმა ამ მატჩისთვის 20 ფეხბურთელი გამოიძახეს. ყველა ლეგიონერი, დანდელი ზურაბ ხიზანიშვილის გარდა, პირდაპირ ჰენეფში ჩავა. საქართველოს ჩემპიონატში მოთამაშენი და ხიზანიშვილი, რომელიც რამდენიმე დღე „ტორპედოსთან" ქუთაისში ვარჯიშობდა ფორმის შესანარჩუნებლად, გერმანიაში ამ დილით გაემგზავრნენ.

მწვრთნელებმა რუმინელებთან სათამაშოდ ესენი შეიგულეს:

*მეკარეები: დავით გვარამაძე, ირაკლი ზოიძე (ორივე „ტორპედო")*

*მცველები: კახა კალაძე („მილანი", იტალია), ზურაბ ხიზანიშვილი („დანდი", შოტლანდია), ლევან სილაგაძე, რევაზ ქემოკლიძე, ზვიადი თოდუა (სამივე „ტორპედო");*

*ნახევარმცველები: ლევან კობიაშვილი („ფრაიბურგი", გერმანია), გიორგი ნემსაძე („დანდი" შოტლანდია), გიორგი ქინქლაძე („დერბი", ინგლისი), თემურ ქეცბაია („ვულვერჰემპტონი", ინგლისი), ზურაბ მენთეშაშვილი, ალექსანდრე რეხვიაშვილი (ორივე „სკონტო", ლატვია), გოჩა ჯამარაული („ციურიხი", შვეიცარია);*

*თავდამსხმელები: მიხეილ ყაველაშვილი („ციურიხი" შვეიცარია), შოთა არველაძე („აიაქსი", ჰოლანდია), არჩილ არველაძე („კიოლნი", გერმანია), ზაზა ჯანაშია („ლოკომოტივი", რუსეთი), ალექსანდრე იაშვილი („ფრაიბურგი" გერმანია), მიხეილ აშვეთია („ტორპედო").*

ჩვენებურები ჰენეფში 26 მარტამდე დარჩებიან, თბილისში 27-ში გამთენიისას ჩამოვლენ.

საქართველოს ნაკრები გერმანიაში ერთ საწვრთნელ მატჩსაც გამართავს, სავარაუდოდ, რეგიონალლიგის გუნდთან.

— გერმანიაში იდეალური პირობები გვექნება. იქით-აქეთ მგზავრობა კი ფეხბურთელებზე არ იმოქმედებს. ნაკრების ექიმმა და მწვრთნელებმა ყველაფერი გავითვალისწინეთ და ვამჯობინეთ, ასეთი მნიშვნელოვანი მატჩისთვის გერმანიაში მოვემზადებულიყავით — გვითხრა ნაკრების მწვრთნელთაგანმა რევაზ ძოძუაშვილმა — შემადგენლობაში ცვლილება არ არის. ეგაა, გავიგე, გიორგი ნემსაძეს ფეხი უტკენია და შეძლებს თუ არა გერმანიაში ჩამოსვლას, ჯერ არ ვიცით. სხვები ჯანმრთელად არიან. ვაპირებდით, პსვ-დან გოგა გახოკიძის გამოძახებას, რომელიც ამ ბოლო დროს ათამაშდა, მაგრამ მერე თავი შევიკავეთ, ორი წელი არაფერი უკეთებია.

ძოძუაშვილის ამ სიტყვების შემდეგ შოტლანდიაში დავურეკეთ გიორგი ნემსაძეს:

— სერიოზული არაფერია. „ჰართსთან" თამაშისას ნაოპერაციევი მუხლი ვიტკინე. ექიმებმა დამამშვიდეს, ორ დღეში ვარჯიშს განვაახლებო. ნაკრებს 20 მარტს შევუერთდები, ვარჯიშს 22-დან განვაახლებ — გვითხრა ნემსაძემ.

**კობა ინასარიძე**

# მზით გათანგულნი

## მიტინგი დიღმის ბაზაზე

**გაზეთი „რეზონანსი"** თბილისის „დინამოს" რეგისტრაციას ჩაეძია და პოლიციის დიდმოხელეები, მინისტრის თაოსნობით, კლუბის მითვისებაში დაადანაშაულა. საპასუხო სვლასაც არ დაუხანებია.

გუშინ დიღმის საწვრთნელ ბაზაზე შს მინისტრი კახა თარგამაძე ესტუმრა. ღონისძიების ჩასატარებელ ადგილად ხელოვნურსაფრიანი მოედანი გამოყვეს, სადაც სახელდახელოდ ააგეს კვარცხლბეკი მიკროფონით. ნაგებობა, რა თქმა უნდა, მინისტრისთვის გახლდათ განკუთვნილი. მისით თარგამაძის ზოგიერთმა მხარდამჭერმაც ისარგებლა, ზოგმაც მოედანზე მდგარი მიკროფონი გამოიყენა. „დინამოს" ფეხბურთელებიც იქვე კვარცხლბეკთან ახლოს ჩამწკრივდნენ. დამსწრეთა უმრავლესობა სამოქალაქო ტანსაცმელში გამოწყობილი პოლიციელი იყო. მოვიდნენ ყოფილი დინამოელებიც, გულშემატკივრებიც და გამვლელებიც, ორი ათასამდე კაცი.

პირველი სიტყვა მინისტრს ერგო. მან საკმაოდ ვრცლად ილაპარაკა, თუ რა პერიპეტიები უძღოდა „დინამოს" რეგისტრაციას და რომ ამ საქმეს მწვანე შუქი ქვეყნის პრეზიდენტმა აუნთო. ექსკურსის შემდეგ მინისტრი საქმეზე გადავიდა.

— „რეზონანსმა" პროვაკაცია მოაწყო, რითაც საზოგადოების შეცდომაში შეყვანა სურდა. „დინამოს" დამფუძნებელი ფიზკულტურულ-სპორტული კლუბი „დინამოა" და არა შინაგან საქმეთა სამინისტრო. ესეც დროებითია, რადგან სამომავლოდ სოლიდური ინვესტორი უნდა მოვიძიოთ, რომელსაც „დინამოს" ჩავაბარებთ. თუ ასეთმა პერსპექტივამ არ გაამართლა, თბილისის „დინამოს" ასპროცენტიანი მფლობელი კვლავ ფიზკულტურულ-სპორტული კლუბი იქნება.

— კანონისა და სასამართლოს ძალით „რეზონანსს" პასუხს ვაგებინებთ და ცილისწამებისთვის საკმაოდ სოლიდური თანხის გადახდაც მოუწევთ. ამ ფულს „დინამოს" მოვახმართ. ასე რომ, ნებსით თუ უნებლიეთ, „რეზონანსიც" საკუთარ წვლილს გაიღებს „დინამოს" აღორძინებაში.

— ეს არ არის მხოლოდ „დინამოს" წინააღმდეგ წარმოებული ბრძოლა. ამით პირადად მე მებრძვიან.

— თბილისის „დინამოში" უკვე არის სასიკეთო ძვრები. კლუბი წელიწადში 3,5 მილიონამდე ლარს მიიღებს. ვიცი, ეს არ არის საკმარისი თანხა კარგი გუნდის შესაქმნელად და ამიტომაც ვცდილობთ, მოვიზიდოთ ინვესტორები. როგორც ხედავთ, გაპარტახებულ ბაზაზე რემონტია დაწყებული და გპირდებით, რომ აგვისტოს ბოლოსთვის თბილისის „დინამოს" ევროპული დონის ბაზა ექნება.

ამის შემდეგ მიკროფონებთან თარგამაძის მომხრეები მივიდნენ, თავიანთი პოზიცია დააფიქსირეს, ერთმანეთს „დინამოს" სიყვარულში გაეჯიბრნენ. ზოგმა ჟურნალისტთა მთელ კორპუსს გაჰკრა კბილი, ზოგმა ულიმღამო შეკითხვა დაუსვა მინისტრს, ზოგსაც კვლავ პარტიულ-სამეურნეო აქტივზე ეგონა თავი. ჰოდა, დაიტანჯა მიტინგზე უქმად მყოფი ხალხი, მცხუნვარე მზემაც მეტად შეაწუხა დამსწრენი, რომელნიც მარნეულის მკვიდრმა, აზერბაიჯანელმა მოქალაქემ გამოაფხიზლა ფურცელზე დაწერილი ტექსტით:

— ჩვენ, აზერბაიჯანელი ხალხი შეყვარებული ვართ ქართულ ფეხბურთზე. თბილისის „დინამო" მთელი კავკასიის ფლაგმანია. „დინამო" არავის არ ეკუთვნის საბჭოთა ხალხის გარდა. უნდა მოვიშოროთ ეს უზრდელები. ერთად ვიბრძოლოთ და ვიმუშაოთ — მგზნებარე პათოსი აზერბაიჯანული აქცენტით. მეგობრის ყოჩაღობით ფრთაშესხმულმა, კიდევ ერთმა აზერბაიჯანელმა ითხოვა სიტყვა, თუმც ოდენ საბჭოეთისდროინდელი სახელოვანი დინამოელი ფეხბურთელების ჩამოთვლით დაკმაყოფილდა.

...ამასობაში მზემ კიდევ უფრო მაგრად დააჭირა. კახა თარგამაძემაც ანგარიში გაუწია ხალხს და ღონისძიების ჩამთავრებისკენ მოუწოდა, ენდშპილი კი „დინამოს" პრეზიდენტს, მისგან ერთობ თბილად მოხსენიებულ რევაზ არველაძეს გადაულოცა.

— იმ ფინანსური მხარდაჭერით, რაც ახლა „დინამოს" აქვს, საშუალო დონის გუნდის გაკეთებაც შეუძლებელია. თუმცა, ვისაც რა შეგვიძლია, ყველაფერი უნდა გავიღოთ „დინამოს" ასაღორძინებლად. რაც შეეხება კლუბის ასეთი სახით რეგისტრაციას, ვთვლი, რომ ცუდი ამაში არაფერია. ამ ეტაპზე აუცილებელი იყო „დინამოს" გადარჩენა. გადაწყვეტილებას პატივი უნდა ვცეთ. მომავალზე კი მერე ვილაპარაკოთ.

**დავით თაბართქილაძე**

საქართველოს უმაღლესი ლიგა ჩემპიონატი მეორე წრე 12

# 21 ტური

18 მარტი, კვირა

სიონი 2:0 გორდა
ბათუმი 1:2 მერანი
დინამო 3:0 იბერია
ტორპედო 2:0 თსუ
კოლხეთი 1:1 ვიტ ჯორჯია
ლოკომოტივი 5:0 დილა

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ლოკომოტივი | 21 | 17 | 2 | 2 | 40:7 | 53 |
| ტორპედო | 21 | 14 | 5 | 2 | 33:7 | 47 |
| დინამო | 21 | 14 | 3 | 4 | 50:19 | 45 |
| ვიტ ჯორჯია | 21 | 10 | 7 | 4 | 29:15 | 37 |
| მერანი | 21 | 8 | 8 | 5 | 22:20 | 32 |
| კოლხეთი | 21 | 8 | 7 | 6 | 22:17 | 31 |
| ბათუმი | 21 | 7 | 4 | 10 | 29:29 | 25 |
| სიონი | 21 | 7 | 4 | 10 | 17:28 | 25 |
| თსუ | 21 | 5 | 3 | 13 | 19:37 | 18 |
| გორდა | 21 | 3 | 9 | 9 | 15:27 | 18 |
| დილა | 21 | 4 | 3 | 14 | 13:44 | 15 |
| იბერია | 21 | 0 | 3 | 18 | 3:42 | 3 |

ქუთაისი
18 მარტი
15 საათი
ტორპედო
3 000 (ტევადობა 19 432)

### ტორპედო 2:0 თსუ

1:0 აბრამიძე (18), 2:0 აშვეთია (90მ)
ტორპედო: ზოიძე (გვარამაძე 46), ქემოკლიძე, ლევან სილაგაძე, თოდუა, აბრამიძე, ჯინჭარაძე (გვირჯიშვილი 56), ბაბუნაშვილი, დიდავა, ბობოხიძე (ნ. არჩვაძე 70), ჯანაშია, აშვეთია
სათადარიგონი: მახვილაძე, ახალკაცი, თავბერიძე, გოშჩაროვი
თსუ: სტურუა, ხარებავა (დათუნაიშვილი 69), ებრალიძე, ბერიანიძე, არეშიძე, გვაზავა, ბ. ნოზაძე, ახალაძე, მესხი, მერებაშვილი (ბეროშვილი 80), ქურაშვილი (ზოშიაშვილი 80)
სათადარიგონი: მამარდაშვილი, ჯობავა, ლობჟანიძე
გაფრთხილება: ქურაშვილი (14), ხარებავა (41), არეშიძე (60)
მსაჯები: დ. სანაია (სოხუმი); გ. ცირდავა (გულრიფში), ა. სამხარაძე (სოხუმი); კ. მესხი (ზუგდიდი)
სფფ-ის ინსპექტორი: ბ. ქარქაშაძე

# მოვიდა, ჯაფარიძე მოვიდა!

ბოლნისი
18 მარტი
15 საათი
თემურ სტეფანია
1 200 (ტევადობა 3 000)

### სიონი 2:0 გორდა

1:0 ისიანი (78), 2:0 მეტრეველი (90)
სიონი: ვოლკოვი, კ. გოდერძიშვილი, ირემაშვილი, დავითაშვილი (კ. მეტრეველი 60), გაბისონია, სიდამონიძე, მ. გოგოლაძე, ისიანი, მოსეშვილი, ბ. შენგელია, ბარნოვი
სათადარიგონი: დალაქიშვილი, დ. ჯაფარიძე, ჯუნჭოშვილი
გორდა: ბედიაშვილი, კუდელაშვილი, ბურნაძე, ა. გელაძე, დ. ბერიძე, ბექაური (ა. სოხაძე 82), მელაძე (კიტეიშვილი 46), ჯულელი, ჯელაძე, თ. მეტრეველი (გ. ვ. მიქაძე 54)
სათადარიგონი: გუგუნავა, ლაშა სილაგაძე, მატარიძე, მიშველიძე
გაფრთხილება: გაბისონია (53), მიქაძე (72), გოგოლაძე (79), გელაძე (80)
გაძევება: მიქაძე (83)
მსაჯები: ხ. კვარაცხელია (ზუგდიდი); ლ. მიქელაძე, გ. ჩიგოგიძე (ორივე სამტრედია); ზ. ანიაშვილი (გორი)
სფფ-ის ინსპექტორი: მ. ლაცაბიძე

**პაატა კვანტალიანი ბოლნისიდან**

**1200 მაყურებელი** მეტისმეტი იყო ამ უსახური თამაშისთვის. გუნდები უგერგილოდ ირჯებოდნენ. ხან ასე შეუძახეს ბოლნისელებმა სტუმარ-მასპინძელს, ხან ისე. არაფერმა გაჭრა. ბოლოს მავან ქომაგს გაახსენდა, რომ შეხვედრას ბოლნისის გამგებელი ზურაბ ჯაფარიძე არ ესწრებოდა და თავისიანებს ტრიბუნიდან დაუცაცხანა, ჯაფარიძემ დარეკა, მოსვლას აპირებსო. ჰოდა, გამოცოცხლდნენ მასპინძლები და ულიმღამო ფრისკენ გადახრილი თამაში თავიანთ სასარგებლოდ შემოატრიალეს.

-„გორდას" მოგების არცთუ მცირე შანსი ჰქონდა. „სიონს" ძირითადის სამი მოთამაშე აკლდა. ასპინძელაშვილი და სოლოღაშვილი დისკვალიფიკაციის გამო, კახა გოგოლაძე კი თურქმენებმა გამოიძახეს თავიანთ ნაკრებში სათამაშოდ. „სიონის" მთავარი მწვრთნელი სპარტაკ არჩვაძე კვლავაც შეუძლოდ იყო.

პირველი ტაიმიდან ერთადერთი აღსანიშნავი მომენტი მე-16 წუთზე შეიქმნა. კვირას მოედანზე მყოფთაგან საუკეთესომ, ბესიკ შენგელიამ მეტოქის საჯარიმოს სიახლოვეს ორი მეურვე ჩამოიშორა და თექვსმეტიოდე მეტრიდან ძლიერად დაარტყა, თუმც ბურთი კარს მცირედით აიცილა.

პირველი ტაიმის დარჩენილი დრო და მეორე ნახევრის უმეტესი ნაწილი ჯარიმებისა იყო. ფეხბურთელების უგერგილობას მოედანივით უხარისხო მსაჯობაც დაერთო და მთელი მატჩის განმავლობაში 76 ჯარიმა დაინიშნა. თითოეულის შესრულებას საშუალოდ 15 წამს ანდომებდნენ.

სტუმრები მეორე ტაიმში შეცვლაზე შესულმა კიტეიშვილმა გამოაცოცხლა. მან მხარი აუბა ალადაშვილსა და ჯელაძეს და ერთი-ორჯერ „გორდამ" მწვავედ უჩხვლიტა „სიონს". 54-ე წუთზე კიტეიშვილმა ბარნოვის მოდუნებით ისარგებლა და ჯელაძე ხელსაყრელ პოზიციაში დატოვა, თუმც არმაზმა ათიოდე მეტრიდან ბურთი კარს გარედან გაარტყა. მერე კი თამაში ისევ დადგა. რამდენჯერმე არბიტრ კვარაცხელიას გაუგებარ გადაწყვეტილებებს სტუმარ-მასპინძლის გულისწყრომა და შესაბამისად, ჯარიმები მოჰყვა.

ზუგდიდელ მსაჯს განსაკუთრებით 83-ე წუთზე მოუვიდა ზედმეტი, როდესაც მოედანზე შეცვლაზე შესული გიორგი მიქაძე გასახდელის გზას გაუყენა. 17 წლის მიქაძეს კვირას დებიუტი ჰქონდა ეროვნულ ჩემპიონატში. ახალგაზრდა რუსთაველი ენერგიულად ჩაება მატჩში, მარცხენა ფრთაზე თამაშიც გამოაცოცხლა, მაგრამ მისი მონდომება მსაჯობაში ჭიპმოჭრილმა კვარაცხელიამ 73-ე წუთზე საეჭვო ჯარიმითა და უფრო საეჭვო გაფრთხილებით დააცხრო. 83-ე წუთზე კი მიქაძე გამოცდილმა ბარნოვმა „წამოიკიდა". რუსთაველი საერთოდ არ შეხებია ბარნოვს. ეს ეპიზოდი კვარაცხელიამ მეორე გაფრთხილებად და შესაბამისად, გაძევებად გაუფორმა მიქაძეს.

ამ დროისთვის „სიონს" უკვე გატანილი ჰქონდა ერთი გოლი. მეტოქის საჯარიმოს სიახლოვეს შენგელიამ ბოლომდე იბრძოლა. ბურთი მარჯვნივ შეცვლაზე შესულ კონსტანტინე მეტრეველს გაუჭრა. ამის საჯარიმოში ჩაწოდებული კი ისიანმა გოლად აქცია და 78-ე წუთზე თავისიანები დააწინაურა.

„გორდას" ანგარიშის გასათანაბრებლად საკმაო დრო ჰქონდა, მაგრამ გუგუჩაძის შეგირდებმა ვერაფერი გააწყვეს, ის კი არა, მატჩის წამატებულ ბოლო წუთზე მეორე გოლი გაუშვეს — ბარნოვ-გოგოლაძის ორსვლიანი კომბინაცია კარიდან შვიდ მეტრში დარჩენილმა მეტრეველმა აუღებელი დარტყმით დააგვირგვინა.

### პორტუგალია

XXIV ტური
პორტუ 2:2 სპორტინგი

### გერმანია

II ბუნდესლიგა. XXVI ტური
ვალდჰოფი 3:3 არმინია

### იტალია

სერია B. XXVII ტური
სიენა 1:0 კოზენცა

ნებისმიერი საფეხბურთო ანგარიში, უახლესი ინფორმაციები NHL და NBA.
ცნობები ცნობილებისგან.
ტელ. 8-22-00-90-11.
1 წუთის ღირებულება 50 თეთრი.

### ჟურნალისტთა საყურადღებოდ!

**დღეს, 12 საათზე საქართველოს სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტის საქტო დარბაზში გაიმართება დეპარტამენტის თავმჯდომარის, ირაკლი მეძმარიაშვილის პრესკონფერენცია.**

ტურის ცენტრალური მატჩი

# მერანმა მძვსეულისკენ გაქუსლა

ბათუმი
18 მარტი
15 საათი
დინამო
2 000 (ტევადობა 18 000)

**ბათუმი 1:2 მერანი**

0:1 ბოლქვაძე (41), 1:1 ყულეჯიშვილი (78), 1:2 მინაშვილი (90)
ბათუმი: ჭანტურია, მახარაძე, მინდაძე, მეავანაძე, გელა ქორიძე, რომანაძე (გველესიანი 65), ღლონტი (დარჩიძე 46), ტულუში, მუჯირი, აფხაზავა (ყულეჯიშვილი 30), მაჭუტაძე
სათადარიგონი: თოთლაძე, ჩიჩუა, ქაცარავა, გორჯალაძე
მერანი: ნაჭყეპია, გოგიტაძე, გუჯაბიძე, დავითიძე, ცქიფურიშვილი, ხუჯაძე, ჩხაიძე (კოშკაძე 63), დევიძე, ბოლქვაძე (ჭინჭარაული 74), ხუციშვილი (ბაჯელიძე 88), მინაშვილი
სათადარიგონი: კორიშინაძე, გ. ილურიძე, კრაველიშვილი, თოლორდავა
გაფრთხილება: ხუციშვილი (3), გუჯაბიძე (55), დავითიძე (73), ჭინჭარაული (86)
გაძევება: მუჯირი (71), მახარაძე (80)
მსაჯები: ლ. ფანიაშვილი, ვ. ჩოჩიშვილი, მ. ელიკაშვილი (სამივე თბილისი); ბ. დოგრაშვილი (ქუთაისი)
სფფ-ის ინსპექტორი: კ. ყრუაშვილი

**გოჩა ჯანაშია ბათუმიდან**

**გუშინწინდელმა** ბათუმურმა დაპირისპირებამ გაარკვია იმ ექვსი გუნდის ვინაობა, რომლებიც ჩემპიონობისთვის გააგრძელებენ ბრძოლას. „მერანმა" სამომავლოდ არ გადადო და საქმე ბათუმშივე მოილია.

„ბათუმს" უცილობლად უნდა მოეგო. თანაც ბოლო ტურს უნდა დალოდებოდა და „იბერიას" ძლევის პარალელურად, „მერანი" — „ლოკომოტივის" შეხვედრაზე უნდა ეფიქრა და მასპინძლის მარცხზე ეოცნება.

რთული მატჩი შედგა „დინამოზე", მსაჯებს კი მართლაც მძიმე ხვედრი ერგოთ წილად. ის, რაც ბოლო 20 წუთში მოხდა, ფეხბურთის გარდა ყველაფერი იყო. არადა, მანამდე საკმაოდ ჯიგრიანი და საინტერესო ბურთაობა გაჩაღებულიყო, თუმცა ბოლო წუთებმა ყველაფერს შავი ლაქა მოსცხო.

ყველა ელოდა, რომ მოსაგებად შემართული „ბათუმი" დასაწყისიდანვე შეუტევდა. პირიქით კი მოხდა, სტუმრებმა თავიდანვე საკუთარი თამაში მოახვიეს მეტოქეს, ბურთიც დაიჭირეს და მწყობრადაც ათამაშდნენ. ხიფათიც მალე, მეშვიდე წუთზე შექმნეს, მაგრამ დავითიძის ათიოდ მეტრიდან დარტყმული არაზუსტი გამოდგა.

ათიოდ წუთში ჩხაიძის ფლანგურ გარღვევას მინაშვილმა ვარდნაში თავური მიაყოლა, თუმც ჭანტურიას ვერაფერი დააკლო.

სტუმართა აქტიურობის ფონზე ზღვისპირელებს პირველ ტაიმში გატანის ორი შანსი მიეცათ და ორჯერვე შორეულ დარტყმებით. ერთხელ ტულუშის ტყვიასავით გასროლილი ხარიხამ აისხლიტა, ხოლო მეორედ, ღლონტს ნაჭყეპია ლამაზ ვარდნაში შეეგება.

მერანელ მინაშვილსაც მართებდა გატანა, მაგრამ დევიძის ჩინებულ პასს ოდენ ფეხის მიცაცუნება მიაყოლა. ტაიმის ბოლოსკენ სტუმრებმა მაინც იხეირეს. დევიძის ფლანგზე თავგამოდებამ შედეგი გამოიღო. მისი შეტევა ხუციშვილმა საჯარიმოში ჩაწოდებით გააგრძელა. იქ კი მინაშვილმა ბოლქვაძეს დაუგორა და მანაც ცაციათი შორეულ ცხრიანში უხადოდ დაარტყა.

შესვენების შემდეგ „მერანი" თავდაჯერებული ჩანდა, ანგარიშის შენარჩუნებაზე ზრუნვას შეუდგა და კინაღამ დაისაჯა. „ბათუმმა" მიზანმიმართულად დაიწყო საქმის გამოსწორება. შეცვლაზე შესულმა დარჩიძემაც ახალი სიო შთაბერა შეტევებს და ნელნელა სტუმართა საჯარიმოში ხიფათმაც იმატა.

მთავარი მოვლენები ბოლო 20 წუთში განვითარდა. 70-ე წუთზე სტუმართა საჯარიმოში მერანელთა მცველს ბურთი ხელზე მოხვდა და „ბათუმმა" პენალტი მოითხოვა. ვერ მოთოკა ნერვები კაპიტანმა ამირან მუჯირმა და ფანიაშვილს ხელითაც შეეხო. მსაჯმა მომხვდურს წითელი ბარათი უჩვენა.

კაცნაკლულ „ბათუმს" გათანაბრება წესით უნდა გასჭირვებოდა, მაგრამ მსგავსი არაფერი. მასპინძელთა შეტევები უფრო გამძაფრდა და მალე ანგარიშიც შეიცვალა. გველესიანის პასს ყულეჯიშვილი დაუხვდა და ნაჭყეპიას შორეულ კუთხეში აუღებელი დაურტყა.

ორ წუთში კი მონასტერიც აირია. ერთ-ერთი შეტევისას ნაჭყეპიამ ბურთი მოიგერია და პირდაპირ ყულეჯიშვილს მოახვედრა, იქიდან ასხლეტილს კი მეკარის ბაქანთან მაჭუტაძე დაუხვდა და საგოლედ დაჰკრა. წამიერი გამოდგა მასპინძელთა სიხარული, თანამსაჯ მამუკა ელიკაშვილს თამაშგარის მანიშნებელი ალამი აწეული ჰქონდა. ჰოდა, მთელი „ბათუმი" მას მიეჭრა, ამასობაში მავანმა დამცავი ღობე გადალახა და მსაჯის გასალახად დაძრულს გზად თავად ბათუმელი ფეხბურთელები გადაუდგნენ, თორემ ელიკაშვილის ჩაწიხლვა გარდაუვალი ჩანდა. ამ რია-რიაში ბევრი მოხვდა ელიკაშვილს თუ ცოტა, კაცი ნორმალურად ვერ გაარჩევდა. ერთი კი იყო, რომ მოგვიანებით წითელი ბარათით დასჯილ მახარაძისგან, ეტყობა, უფრო მოხვდა.

თამაში 7 წუთს შეწყდა. გაავებულმა გულშემატკივრებმა დასავლეთ ტრიბუნის პლასტმასის სკამები დალეწეს და ნამსხვრევები მინდორზე მიმოფანტეს. მინდორზე კი იყო ერთი გაწევ-გამოწევა, რომელიც შემდგომ ელიკაშვილისადმი ხვეწნა-მუდარით შეიცვალა. გალახული თანამსაჯი თამაშის გაგრძელებას უარობდა და გასახდელისკენ მიიწევდა. თუმც „ბათუმის" მესვეურებმა ინციდენტი ჩააცხრეს და მსაჯიც თამაშზე დაიყოლიეს.

იყო თუ არა თამაშგარე? ეს კითხვა მატჩის შემდეგ განსჯის საგანი გახდა. პრესლოჟიდან მაყურებელთ რაიმეს გადაჭრით მტკიცება გაგვიჭირდება, მაგრამ ეს ეპიზოდი მთლად უეჭვო რომ არ იყო, ესეც ცხადია.

ცხრა კაცით დარჩენილი და გატეხილი „ბათუმი" თამაშის გადარჩენას მაინც შეეცადა, თუმც გაცილებით აგრესიულად ათამაშებულ მეტოქეს ვერაფერი დასტყუა. ის კი არა, ჭანტურიას აქეთ მიეცა უამრავი სამუშაო, რომელსაც მან ჩინებულად გაართვა თავი. საერთოდ, ბათუმელთა მეკარე აშკარად გამოირჩეოდა. 3-4 ისეთი „მკვდარი" ბურთი აიღო, გაგიკვირდებოდათ და „ბათუმს" რომ ბოლომდე შერჩა მოგების შანსი, სწორედ მისი დამსახურებაა.

შეტევაში გართული მასპინძლები სტუმარმა მინაშვილმა დასაჯა. მსაჯის წამატებულ წუთებში ჭანტურიას გაუტანა და „მერანს" სამი ქულა მოუტანა. გაწევ-გამოწევა კი ცოტა ხნით კვლავაც გაგრძელდა, თუმც ყველაფერი მშვიდობიანად დასრულდა.

მოკლედ, „მერანმა" ურთულესი ბარიერი გადალახა და ექვსეულში დაიბევა ადგილი, „ბათუმი" კი დაქვეითდა და გავარდნის თავიდან ასაცილებლად ბრძოლაც მოუწევს. მანამდე ჯერი ფეხბურთის ფედერაციაზეა, რომელსაც გუშინწინდელი არეულობის შეფასება და დასკვნების გამოტანა მართებს.



„ბათუმი" — „მერანი" 1:2: მასპინძელი თემურ ტულუში (ბურთით) სტუმარ რომეო გოგიტაძის მოტყუებას ცდილობს (№2)

# სწრაფად, მაღლა... თავით

თბილისი
18 მარტი
15 საათი
26 მაისი
300 (ტევადობა 35 000)

**ლოკომოტივი 5:0 დილა**

1:0 რუსია (8), 2:0, 3:0 შენგელია (50, 60), 4:0 ჭიჭვეიშვილი (70), 5:0 რუსია (81)
ლოკომოტივი: ლომაია, ბალაშვილი, გილაური, სალუქვაძე, ცხადაძე (ლაცაბიძე 64), კვარაცხელია (ონიანი 70), ჭიჭვეიშვილი, აჩაბაძე, დათვაძე, კიდარაშვილი (გ. შენგელია 46), რუსია
სათადარიგონი: ასლანაძე, გოგნაძე, ბაქრაძე
დილა: თ. ილურიძე, ჰკოფიანი (ა. ბოკერია 60), ლ. გოჩაშვილი, გრიგალაშვილი (გოგინაშვილი 71), ფეხუაშვილი, გ. ჩიტაია, გაგნიძე, საყვარელიძე, რ. ხაჭაპურიძე, თაყაძე, ხორგუაშვილი (ქელოშვილი 79)
სათადარიგონი: სომხიშვილი, ლომიძე, დ. მაისურაძე
გაფრთხილება: საყვარელიძე (5), რუსია (77)
მსაჯები: ა. შილაკაძე, ს. შალამბერიძე, ზ. დოლიძე (სამივე თბილისი); ა. ორჯონიძე (ონი)
სფფ-ის ინსპექტორი: რ. ჩილაჩავა

**კობა ინასარიძე**

**ერთხელაც** დაამტკიცა თავისი სიძლიერე „ლოკომოტივმა", ამჯერად გორელებთან, რომლებიც უქულოდ და ხუთი გოლით გაისტუმრა.

რა თქმა უნდა, კვირას რკინიგზელთა წარმატება მოულოდნელი არავისთვის იქნებოდა, მაგრამ თუ მატჩი ასე უინტერესოდ და მასპინძელთა აშკარა უპირატესობით წარიმართებოდა, ძნელი წარმოსადგენი იყო.

ძალიან დასუსტებულა „დილა" და გუშინწინდელი თამაშის შემდეგ შეგიძლიათ, „იბერიასთან" ერთად უმაღლესი ლიგიდან გავარდნის ერთ-ერთ უპირველეს კანდიდატად ჩათვალოთ.

შესვენებამდე, გორელებმა ერთხელაც ვერ დაარტყეს „ლოკომოტივის" კარისკენ და მოედნის ცენტრიც სულ ორსამჯერ გადაკვეთეს. თამაშიც ცალკარას ჰგავდა, „ლოკომოტივი" „დილას" ნახევარზე დასახლებულიყო და პირველივე ტაიმში შექმნილი ყველა მომენტი რომ გამოეყენებინა, შესვენების შემდეგ მატჩს ინტერესი მთლად დაეკარგებოდა.





„ლოკომოტივი" — „დილა" 5:0: გორელთა განადგურება მამუკა რუსიამ (№14) დაიწყო და დაასრულა

„ლოკომოტივმა" პირველად მე-8 წუთზე გაიხარა: დათვაძის მარჯვნიდან ჩაწოდებულ ბურთს რუსიამ კარგად შეურჩია ადგილი, ტანმორჩილმა რკინიგზელმა მასზე ორი თავით მაღალ გორელებს აჯობა და ილურიძეს თავით შორეულ კუთხეში გაუტანა.

მერე, როგორც ვთქვით, „ლოკომოტივი" საკმაოდ ბევრჯერ დაემუქრა სტუმრებს, მაგრამ შესვენებამდე მეტის გატანა ვეღარ შეძლო.

მეორე ტაიმის დაწყებამდე რკინიგზელთა მწვრთნელმა გივი ნოდიამ ალეკო კიდარაშვილს, რომელიც გუშინწინ, ეტყობოდა, თამაშის იშტაზე ვერ იყო, გიორგი შენგელია ამჯობინა და გორელთა რბევაც დაიწყო. თამაში ხუთი წუთის განახლებული იყო, შენგელიამ ილურიძეს აუღებლად დაურტყა და მატჩის ბედიც ფაქტობრივად, მაშინ გადაწყდა. ორიოდ წუთში იმავე შენგელიას ერთის გატანის რეალური შანსიც ჰქონდა, მეკარესთან პირისპირ დარჩენილს შეეძლო დარტყმა, მაგრამ ბურთი გვერდით გაიგდო, მახვილი კუთხიდან კი კარში ლონივრად ვეღარ დაარტყა და გორელები გაგნიძემ გადაარჩინა. კიდევ რამდენიმე წუთში კი შენგელიამ თავისი მეორეც გაიტანა — მცველებს დაასწრო, მარცხენა ფეხით დაარტყა და ანგარიშიც გაასამა.

შემდეგ სტუმრები ოდნავ გააქტიურდნენ და ზუსტად იმ წუთს, როცა გივი ნოდიამ გამოცდილი ცხადაძე დაასვენა, სტუმრებმა ლომაიასკენ პირველად დაარტყეს, თუმც არაზუსტად. მესამე გოლიდან კიდევ ათ წუთში კი ჭიჭვეიშვილმა იყოჩაღა. მარცხენა ფლანგიდან აჩაბაძის კუთხურიდან ჩაწოდებულ ბურთზე ყველას მან დაასწრო და თავურით მეოთხე გაიტანა. ისედაც დაუძლურებული „დილა" მთლად მოიშალა. სტუმრებმა ერთი-ორჯერ კი სცადეს პრესტიჟის გოლის გატანა, მაგრამ რკინიგზელი მცველები ფხიზლობდნენ და გორელები საკუთარ კარს არ გააკარეს.

მატჩის დამთავრებამდე ცხრა წუთით ადრე კი თავისი მეორე და ისიც თავურით რუსიამ გაიტანა. იმავ აჩაბაძის პასს ისე მოხდენილად დაჰკრა, ილურიძეს შანსი აღარ დაუტოვა და კიდევ ქომაგებმა რუსიას ამბავი კი იცოდნენ, საქართველოში ერთ-ერთი ყველაზე სწრაფი რომ არის, მაგრამ თავითაც თუ ასე კარგად შეეძლო თამაში, ეს ნამდვილად საკვირველი იყო.

# პოლიცია ხუმრობს
## ორ სახელს ერთი საქმე სჯობს

თბილისი
18 მარტი
15 საათი
დინამოს ბაზა
200 მაყურებელი

**დინამო 3:0 იბერია**

1:0 მიკუჩაძე (5), 2:0 ზირაქიშვილი (67პ), 3:0 მაზიაშვილი (80)
დინამო: გრიშიკაშვილი, ხამთარაძე, სვანაძე (მუშკუდიანი 84), მაშიაშვილი, კანდელაკი, ბურდული (გაბიდაური 46), მაზიაშვილი, მანჯგავა, იაგორაშვილი (თუთარაშვილი 73), ზირაქიშვილი, მიკუჩაძე
სათადარიგონი: ბათიაშვილი, ი. შენგელია, აფციაური, ჩიგაძე
იბერია: ცინაძე, ხიზანიშვილი, ამისულაშვილი, მიქელთაძე, ძამაშვილი (გ. ნოზაძე 28), გულორდავა, კაჭარავა (კუციანი 26), ლ. ხმალაძე 64), იველიანი, ცვანია, გაგუა, ნინუა
სათადარიგონი: კობახიძე, ჩაჩუა, ქიაბრიშვილი
გაფრთხილება: მიქელთაძე (34), ხიზანიშვილი (42)
მსაჯები: ა. შალამბერიძე; ნ. რუსიშვილი, გ. კოკჩიაშვილი (სამივე ქუთაისი); მ. მაისურაძე (თბილისი)
სფფ-ის ინსპექტორი: ნ. კაკულია

მამუკა კვანტალიანი

**მორიგი** თამაში მოიგო „დინამომ“ და ამაში გასაკვირიც არაფერია. ანაც სხვას რას ველოდით საკუთარი მიწიდან შორს გადმოხვეწილი „იბერიასგან“, რომელიც ორიოდ თვის შეკრებილი გუნდია.

„ორი გუნდის სახელი ჰქვიათ და ერთის საკადრისსაც ვერ თამაშობენ“ — შენიშნა ერთ-ერთმა ენამოსწრებულმა პოლიციელმა. იყო დრო, სამტრედიულ კლუბს (ახლა ვერავინ რომ ვერ გაარკვევს სადაურია) სხვისი საქილიკო არაფერი სჭირდა. მაშინდელ „სამტრედიას“ „დინამოც“ არაერთხელ გაუმწარებია, მაგრამ...

გუშინწინ ორი სახიფათო მომენტი შექმნეს სტუმრებმა მეტოქის კართან და, რა თქმა უნდა, ვერ გამოიყენეს. შეცდომებით თამაშობდა „იბერიას“ ყველა რგოლი, მეკარე, დაცვა, ნახევარდაცვა, თავდასხმა... დრო რომ ჰქონდეს ნოდარ აკობიას, იქნებ სოლიდური გუნდიც კი შეეკრა ახალგაზრდა ფეხბურთელებისგან, მაგრამ თითქმის გასავარდნად განწირულ „იბერიას“ წამიც კი არ დარჩენია სულის მოსათქმელად.

„დინამოს“ განსხვავებული მიზნები ამოძრავებს. კლუბს ახალი პატრონი გამოუჩნდა, რომელსაც გუნდის აღორძინება და მისთვის ძველი დიდების დაბრუნება განუზრახავს. რემონტია დიღმის ბაზაზე და ცოდვა გამხელილი სჯობსო, გუნდიც გვარიანად სარემონტოა.

ათზის ჩემპიონთა რიგებში სამიოთხი ფეხბურთელია ისეთი, ჩემპიონატის გადამწყვეტ ფაზაში ბრძოლას რომ გაუძლებს. გოჩა ტყებუჩავას მათი იმედი უნდა ჰქონდეს, მაგრამ სამიოთხი მოთამაშე ვერაფრით იქნება გუნდი. „დინამოს“ გაძლიერება არ აწყენდა, თუმცა შინაურ სარბიელზე სატრანსფერო სეზონი ამოწურულია, ხოლო უცხოეთიდან მოთამაშეთა შემატებისა ჯერჯერობით რა მოგახსენოთ.

ამის მიუხედავად, „დინამო“ საგაზაფხულო ეტაპზე დაუმარცხებელია და ქულების გაყოფამდე მესამე ადგილზე მყარად მოკალათებულა.

ვერავინ იტყვის, სტუმრებმა არ იბრძოლესო, მაგრამ როცა თავს ზემოთ ძალა არ არის... ხუთი წუთიც არ იყო გასული თამაშის დაწყებიდან, მაზიაშვილმა ჯარიმიდან ბურთი საჯარიმოში ჩააწოდა. მცველები შეცდნენ და მიკუჩაძემ აუღელვებლად გაიტანა.

67-ე წუთზე „იბერიას“ ფეხბურთელებმა ისევ არასწორი პოზიცია დაიკავეს საკუთარ საჯარიმოში, წესიც მაშინ დაარღვიეს, როცა ეს სათამაშო სიტუაციით არ იყო ნაკარნახევი და ზირაქიშვილმა პენალტიდან კიდევ ერთი გოლი შემატა თავის საბომბარდირო მონაგარს.

ბოლოს მაზიაშვილმა გაისროლა შორიდან და მატჩსაც საბოლოო წერტილი დაუსვა. თამაშს ერთადერთი, რაც ალამაზებდა, დინამოელი ზირაქიშვილისა და იბერიელი ამისულაშვილის დუელი იყო. როგორ უნდა დაიჩემო, სტუმარმა აჯობა მასპინძელსო. ამისულაშვილი მცველია, ხოლო „იბერიას“ უკანა ხაზის ქმედება კრიტიკას ვერ გაუძლებს, თუმც ამისულაშვილმა საკმაო იომა და მეთორმეტე ეროვნულის გოლეადორი გუშინწინ ფერმკრთალი რომ ჩანდა, სწორედ მისი დამსახურებით. ისე ესენი ბრძოლით ისე გაერთნენ, ცოტაც და წაკინკლავდებოდნენ კიდეც, მაგრამ საქმეში შალამბერიძე ჩაერია და მოქიშპენი დროულად შეარიგა.



კოკა მიკუჩაძემ (შუაში) დაარტყა და გაიტანა

# სოსო ფილია დამღაგმგმღს მძმგს

ფოთი
18 მარტი
15 საათი
ფაზისი
1 500 (ტევადობა 6 500)

**კოლხეთი 1:1 ვიტ ჯორჯია**

0:1 ნოზაძე (30), 1:1 ჭანტურიძე (85)
კოლხეთი: ქვაჩახია, გოროზია, ტორჩინავა, ქობულაძე, აკობია, შალამბერიძე (ყურაშვილი 81), ფანჩულიძე, ლალანიძე (ჭანტურიძე 46), კვირკველია (ხუჭუა 53), ხუროძე, წივწივაძე
სათადარიგონი: მ. გვასალია, ქუხთელია, პაპავა, ნარსია
ვიტ ჯორჯია: მერლანი, საჯაია, კობიაშვილი, ჯ. მუჯირი (ინწკირველი 36), ჭანკოტაძე, ლ. ნოზაძე, დილმელაშვილი, გოგობერიშვილი, ყიფიანი (ვ. გორაშვილი 70), გიორგი ქორიძე (წუწუნავა 87), ლ. მელქაძე
სათადარიგონი: ჭურაძე, სულთანიშვილი, ადამია, რ. გოცირიძე
გაფრთხილება: ქორიძე (29), ტორჩინავა (34), მელქაძე (42)
მსაჯები: მ. მალალურაძე (თბილისი); ბ. ბრეგვაძე (ქიათურა), ლ. სილაგავა; ა. მეშკოვი (ორივე თბილისი)
სფფ-ის ინსპექტორი: მ. კობიაშვილი

იუზა კაციტაძე ბათუმიდან

**მეთორმეტე** ეროვნულის განახლებიდან არასრულ სამ კვირაში მესამე საშინაო მატჩი გამართა „კოლხეთმა“ და სამივე დედაქალაქურ გუნდთან. წინა ორ შეხვედრაში „ფაზისმა“ „დინამო“ და „ლოკომოტივი“ ისტუმრა — ჯერ ექსჩემპიონთან და მერე თასის მფლობელთან უგოლო ფრეებს ზღვისპირელებმა გუშინწინ ვიცე-ჩემპიონთან ერთიც, თუმც გოლებიანი მიაყოლეს. ჰოდა, იმის გათვალისწინებით, რომ კოლხები ნახსენებ პერიოდში ერთადერთ გასვლით თამაშშიც დაუზავდნენ მეტოქეს („ბათუმს“), მავანს, შესაძლოა, ნამეტან მშვიდობისმოყვარედაც კი მოეჩვენოს სოსო ფილიას გუნდი. ოღონდ, ეს ეჭვი უსაფუძვლო იქნება, რადგანაც „კოლხეთს“ ყოველი ქულა უშეღავათო ბრძოლის ფასად დაუჯდა. რაც მოხდა, ალბათ, ილბალმა ინება.

გაჭირვებით კი ფილიას შეგირდებს, ყველაზე მეტად გუშინწინ გაუჭირდათ. სწრაფ ტემპში დაწყებულ თამაშში უპირატესობას სტუმრები დაეუფლნენ. ათი წუთი ბურთი მეტწილად კოლხთა ნახევარზე ტრიალებდა. ამ მონაკვეთში ვიტელებმა სამი მეტად სახიფათო შეტევა მიიტანეს მეტოქის კარზე. ანგარიში ჯერ მე-2 წუთზე უნდა გახსნილიყო, როდესაც გოგობერიშვილმა ზუსტად დაუგორა დასარტყმელად ყიფიანს და ამანაც საჯარიმოს გარედან ტყვიასავით გაისროლა ცხრიანში, მაგრამ ქვაჩახიამ იყოჩაღა და ნახტომში კუთხურზე მოიგერია უძნელესი ბურთი. სამაგიეროდ, ვეტერინართა მომდევნო იერიშისას შეცდა კოლხთა გოლკიპერი. ქვაჩახია დაუდევრად გამოვარდა საჯარიმოს გარეთ ბურთის მოსაგერიებლად და ბოლო მომენტში მცველებს რომ არ ეყოჩაღად, გაშვებული მას დაბრალდებოდა. ამ ეპიზოდიდან ორ წუთში ყიფიანის ჯარიმიდან ჩაწოდებულს დილმელაშვილმა ახლოდან შეაგება თავური, მაგრამ დარტყმა ოდნავ აუცდა. დინჯად და, რაც მთავარია, გააზრებულად მოქმედებდნენ სტუმრები. განსაკუთრებით შუა მინდორში, სადაც ყიფიანი და გოგობერიშვილი გამოირჩეოდნენ. ესენი ქორიძეზე და მელქაძეზე ბევრს ხომ მუშაობდნენ, საჭიროების შემთხვევაში დაცვაშიც ასწრებდნენ.

აი, კოლხთა რიგებში კი არ გამოჩნდა კაცი, ვინც თამაშის დალაგებას შეძლებდა. უსუსურად ირჯებოდნენ მასპინძლები შუა ხაზში. საერთოდაც, მონდომების მიუხედავად, მასპინძლებს არაფერი გამოსდიოდათ კარგად გაწვრთნილ მეტოქესთან. პირველ ტაიმში ზღვისპირელებმა ერთადერთხელ შეუქმნეს ხიფათი მერლანის კარს. ეს მე-15 წუთზე მოხდა, როცა ფანჩულიძემ ხელსაყრელი პოზიციიდან თავურით გაგზავნა ბურთი კარისკენ, მაგრამ მცირედით აცილა.

„ვიტ ჯორჯია“ მერეც მიზანსწრაფულად უტევდა და მესამე ათწუთეულის ბოლოს დაწინაურებაც შეძლო. ჯერ ყიფიანმა ითამაშა ჩინებულად. გიორგი საჯარიმოს წინ დაეუფლა ბურთს, უმალ სიჩქარეაკრებილი ნოზაძე შენიშნა და მარჯვნივ ზუსტად გაუჭრა საჯარიმოში. ნოზაძემაც არ დაახანა, ერთობ მახვილი კუთხიდან უნაკლოდ დაარტყა და... უკეთეს საჩუქარს საკუთარ თავს ვერც მიუძღვნიდა ვიტელი ნახევარმცველი — ლაშას ხომ კვირას დაბადების დღე ჰქონდა. იგი 21 წლისა შესრულდა.

შესვენებამდე მოედანზე საინტერესო აღარაფერი მომხდარა, ისევე როგორც თამაშის განახლებიდან ნახევარი საათის განმავლობაში. მეტოქეები ერთმანეთს სერიოზულად არც კი დამუქრებიან. სტუმრები ახლოსაც არ აკარებდნენ საკუთარ საჯარიმოს მოიერიშეებს. მასპინძლებს ერთი გამოსავალიღა დარჩენოდათ, შორეულ დარტყმებში ეძიათ ხეირი, მაგრამ არც ამაში უმართლებდათ. შალამბერიძე და ქობულაძე თითქოს აცილებაში ეჯიბრებოდნენ ერთმანეთს.

თამაშის დამთავრებამდე ოცი წუთით ადრე ვიტელთა თავკაცი თემურ მახარაძე იძულებული შეიქნა ყიფიანი შეეცვალა. კოლხი მცველები, როგორც წესი, ხისტად მეურვეობდნენ ვიტელს. ეტყობა, გიორგიმ ფეხი იტკინა და მწვრთნელმაც მოარიდა ზედმეტ გართულებას.

მე-80 წუთზე სტუმართა სწრაფ შეტევას მეორე გოლი რომ მოჰყოლოდა, არ გაგვიკვირდებოდა. გოგიბერიშვილის მიერ საჯარიმოს გარედან უძლიერესად დარტყმული ტორჩინავას ფეხიდან კუთხურზე გადავარდა. თამაში იქეთკენ მიდიოდა, „ვიტ ჯორჯიას“ შემოდგომაზე „კოლხეთთან“ განცდილი მარცხისთვის რევანში უნდა აეღო. მაგრამ... ამ დღეს თითქოს უმწეო ზღვისპირელებმა მაინც გამოიჩინეს ხასიათის სიმტკიცე, ბოლოსკენ ძალები მოიკრიბეს და გააფთრებით შეუტიეს მეტოქეს. დაუფასდათ კიდეც. ქობულაძისგან მიღებული ფანჩულიძემ მარცხნიდან მეტოქის საჯარიმოში გაგზავნა და... ფაქტობრივად ერთადერთხელ ჩაფლავდნენ სტუმრები. ჭანტურიძემ მცველებს აჯობა და თავურით გაათანაბრა ანგარიში.

დარჩენილ დროში კი გამარჯვება მასპინძლებსაც შეეძლოთ და სტუმრებსაც. ფანჩულიძემ ამჯერად მარჯვნიდან თავზე დაასვა ბურთი მეკარის ბაქანთან მყოფ წივწივაძეს, მაგრამ ამან მიზანში ვერ მოახვედრა. მერე სამი ვიტელი ორი კოლხი მცველისა და მეკარის წინააღმდეგ აღმოჩნდა. იჩქარა წუწუნავამ, საჯარიმოში შეღწევამდე დაარტყა და ააცილა, არადა სჯობდა პარტნიორზე გაეცა პასი და მაშინ „ვიტ ჯორჯია“ ფოთიდან ერთს კი არა, სამ ქულას წაიღებდა.

***თემურ მახარაძე, „ვიტ ჯორჯიას“ მთავარი მწვრთნელი:*** „უპირველეს ყოვლისა „კოლხეთს“ ზედა ექვსეულში მოხვედრას ვულოცავ. სიმართლე გითხრათ, ვშიშობდით, რადგანაც ფოთელები შინ იშვიათად თმობენ ქულებს, თანაც ჩვენთან, ტრადიციულად, გამოსდით თამაში. მატჩის წინ რაც ბიჭებს ვუთხარი, თითქმის ყველაფერი შემისრულეს, ვაჟკაცურად იბრძოლეს. არავის გამოყოფა არ მინდა. ვატყობ, გუნდი ძალას იკრებს. თამაშით კმაყოფილი ვარ, შედეგით კი არა. მსაჯობითაც უკმაყოფილო დავრჩი. არბიტრი ხშირად, ჩვენ გვაჯარიმებდა, გადასულიდან 10-15 მეტრით წინ აწოდებინებდა მეტოქეს აუტს. ფედერაციამ რაიმე ზომებს უნდა მიმართოს, თორემ ასეთი მსაჯობით წინ ვერ წავალთ, ტყუილად ვითამაშებთ.“

***სოსო ფილია, „კოლხეთის“ მთავარი მწვრთნელი:*** „სტუმრების თამაშმა სასიამოვნო შთაბეჭდილება დატოვა. არც „დინამო“ და არც „ლოკომოტივი“ ჩვენს წინააღმდეგ ასე არ გარჯილან. მეტოქე ჩვენზე სწრაფად და გააზრებულად მოქმედებდა, „მეორე სართულზეც“ აშკარად დაგვჯაბნა. ჩემპიონატის განახლების შემდეგ მე ყველა გუნდის თამაში ვნახე და გადაუჭარბებლად შემიძლია ვთქვა, „ვიტ ჯორჯია“ ამ ეტაპზე საუკეთესოდ გამოიყურება. მეორე ტაიმში სტუმრებმა შედარებით ფრთხილად ითამაშეს, თორემ მოგება შეეძლოთ. ჩვენ შუა ხაზში გვიჭირს. გამთამაშებლის გარეშე ვართ. შეცდომა დავუშვით, როდესაც ბოლო მომენტამდე ქუთაისიდან კახა კვეტენაძის მოსვლას ველოდით. წინასწარი შეთანხმების მიუხედავად, „ტორპედომ“ იგი ჩვენთვის ვერ გაიმეტა. გამოცდილ ლალანიძეს, რა თქმა უნდა, შესწევს თამაშის დალაგების უნარი, მაგრამ, სამწუხაროდ, მას ოჯახური პრობლემები მოეძალა და სურვილის მიუხედავადაც, ალბათ, ამიტომ ვერ ავლენს სრულად თავის შესაძლებლობებს.“

საქართველოს ჩემპიონატი
12
პირველი ლიგა
პირველი წრე

**20 ტური**

17 მარტი, შაბათი

სამგურალი 3:1 მილანი
მეტალურგი 2:0 გურია
თორი 0:0 ოკეანე
შუქურა 2:1 ცხინვალი
ზუგდიდი 0:4 ხობი
თბილისი 2:0 იბერია

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მეტალურგი | 20 | 11 | 6 | 3 | 33:17 | 39 |
| გურია | 20 | 11 | 5 | 4 | 28:22 | 38 |
| შუქურა | 20 | 11 | 4 | 5 | 27:15 | 37 |
| ცხინვალი | 20 | 11 | 3 | 6 | 44:23 | 36 |
| მილანი | 20 | 11 | 3 | 6 | 29:18 | 36 |
| სამგურალი | 20 | 10 | 3 | 7 | 35:21 | 33 |
| თორი | 20 | 8 | 4 | 8 | 21:15 | 28 |
| ზუგდიდი | 20 | 7 | 3 | 10 | 29:43 | 24 |
| ხობი | 20 | 5 | 6 | 9 | 15:22 | 21 |
| ოკეანე | 20 | 4 | 4 | 12 | 20:38 | 16 |
| იბერია | 20 | 4 | 3 | 13 | 12:36 | 15 |
| თბილისი | 20 | 4 | 2 | 14 | 9:32 | 14 |


**იყიდება**



ორკარიანი ავტომანქანა
„მიცუბიში პაჯერო“
ბენზინზე
1986 წლის გამოშვება.
ფასი 3 500
ტელეფონი:
8 (99) 55 16 75

# სტუმრად გამარჯვებულნი

## ინგლისი

### XXX ტური

**ლივერპული 1:1 დერბი ქაუნთი**

0:1 ბარტონი (9), 1:1 ოუენი (62)
ლივერპული: ვესტერველდი, ბაბელი, ჰენჩოზი, ჰიპია, კარაგერი, მაკალისტერი (ფაულერი 79), ჰამანი, ბისკანი (ჯერარდი 55), ლიტმანენი (ჰეიცერი 66), ჰესკი, ოუენი
მწვრთნელი: ჟერარ ულიე
დერბი ქაუნთი: ე. ოუქსი, რიგოტი, კარბონარი, ვესტი, დ. პაუელი, ბარლი, ს. ჯონსონი, ჰიგინბოთემი (ერანიო 86), დელაპი, დ. ბარტონი, კრისტი (გუდიონსონი 81)
მწვრთნელი: ჯიმ სმიტი
გაფრთხილება: ჰამანი, ბაბელი, პაუელი, ჯონსონი
43 362 მაყურებელი

**ჩელსი 2:4 სანდერლენდი**

1:0 დესაი (15), 1:1 ჰაჩისონი (28), 2:1 გუდიონსენი (38), 2:2 ჰაჩისონი (52), 2:3 მაკენი (61), 2:4 ფილიპსი (79)
ჩელსი: კუდიჩინი, ლებეფი, დესაი, ფერერი (ტერი 70), ლე სო, უაიზი, სტანიჩი (პოიეტი 57), იოკანოვიჩი, გრონკიაერი (ძოლა 70), გუდიონსენი, ჰასელბაინკი
მწვრთნელი: კლაუდიო რანიერი
სანდერლენდი: სორენსენი, კარტერონი, გრეი, ტომასი არკა (დ. უილიამსი 72), მაკენი, კილბეინი, კრადოკი, შ. შვარცი, ჰაჩისონი, ფილიპსი (დიჩიო 88)
მწვრთნელი: პიტერ რიდი
34 9?? მაყურებელი

**ასტონ ვილა 0:0 არსენალი**

ასტონ ვილა: ჯეიმსი, ალფაი, ა. რაიტი, საუთგეიტი, ტეილორი, ს. სტოუნი, ჟინოლა, ლ. ჰენდრი, მერსონი, პაბლო ანხელი (ვასელი 65), ჯოუჩიმი (დაბლინი 77)
მწვრთნელი: ჯონ გრეგორი
არსენალი: მანინგერი, ლუძი, გრიმანდი, სილვინიო, დიქსონი, ვიეირა, პარლორუ (ვივასი 84), ლორენი, ლიუნგბერგი (პირესი 75), ბერხკამპი, ვილტორდი (ანრი 76)
მწვრთნელი: არსენ ვენგერი
გაფრთხილება: სტოუნი, საუთგეიტი, ვიეირა, გრიმანდი
გაძევება: გრიმანდი (90)
36 111 მაყურებელი

**ბრედფორდი 2:2 მანჩესტერ სიტი**

0:1 ვიკენსი (22), 1:1 ბლეიქი (52), 2:1 უორდი (57), 2:2 გოტერი (70)
ბრედფორდი: გ. უოლში, მაკოლი, ვეზეროლი, მოლენაარი, რ. ბლეიქი, ლოკი, კარბონე, უოლი, უორდი, ჯეკობსი, ჯესი
მწვრთნელი: ჯიმ ჯეფერისი
მანჩესტერ სიტი: ვივერი, ვიკენსი, ტიატო, გრენვილი (კენედი 72), გრანტი (ოსტენსტადი 58), კანჩელსკისი, დანი, ჰაუი, გოტერი, შარვე, ჰაკერბი (ჯეფ უიტლი 51)
მწვრთნელი: ჯო როილი
გაფრთხილება: მოლენაარი, უორდი, დანი
19 117 მაყურებელი

**ჩარლტონი 1:2 ლიდსი**

0:1 ვიდუკა (1), 1:1 ბარტლეტი (18), 1:2 სმიტი (46)
ჩარლტონი: ილიჩი, რუფუსი, ფიში (კონსელა 64), ტოდი, კ. პაუელი, კიშიშევი (სალაკო 81), პარკერი (სვენსონი 73), იენსენი, ჯ. რობინსონი, იოჰანსონი, ბარტლეტი
მწვრთნელი: ალან კერბიშლი
ლიდსი: მარტინი, მილსი, რ. ფერდინანდი, მატეო, ჰარტი, ბეტი, დაკური, ბოიერი, კიუელი (უილკოქსი 82), სმიტი, ვიდუკა
მწვრთნელი: დევიდ ოლირი
გაფრთხილება: იოჰანსონი, პარკერი, ტოდი, ვიდუკა, სმიტი, კიუელი, მილსი, ბეტი
20 043 მაყურებელი

**მანჩესტერ იუნ. 2:0 ლესტერი**

1:0 სოლსკიაერი (88), 2:0 სილვესტრი (90)
მანჩესტერ იუნ: რაჩუბკა, გ. ნევილი, ირვინი, სტამი, ფ. ნევილი (სილვესტრი 80), გრინინგი (იორკი 46), როი კინი, სქოულზი, ბატი (ჩედვიკი 68), შერინგემი, სოლსკიაერი
მწვრთნელი: ალექს ფერგიუსონი
ლესტერი: როისი, როუეტი, მ. ელიოტი, ჯილკრისტი, იმპი, იდი, ლუისი, მ. ჯოუნსი (გაბი 89), დილანი, აკინბაი (ბენჯამინი 70), სტარიჯი (ელისონი 84)
მწვრთნელი: პიტერ ტეილორი
გაფრთხილება: გრინინგი, დილანი
67 516 მაყურებელი





მანჩესტერი — ლესტერი 2:0. ოლე გუნარ სოლსკიაერმა მიწაზე ფეხის დაუდგმელად გაიტანა

**ნიუკასლი 1:2 მიდლსბრო**

0:1, 0:2 ბოკშიჩი (28, 33), 1:2 კორტი (60)
ნიუკასლი: გივენი, უ. ბარტონი (გრიფინი 85), ე. ქუინი, კოლდუელი, ა. ჰიუზი, სოლანო, ლი, აკუნია (კორდონე 85), სპიდი, ამეობი (გალაჰერი 84), კორტი
მწვრთნელი: ბობი რობსონი
მიდლსბრო: შვარცერი, ფლემინგი, ფესტა, ვიკერსი, კუპერი, ინსი, კარამბე (მასტო 65), სტამპი, ოკონი, ვილანი, ბოკშიჩი (რიკარდი 88)
მწვრთნელი: ტერი ვენეიბლზი
გაფრთხილება: ჰიუზი, ინსი, სტამპი, ვილანი
გაძევება: სტამპი (45)
51 751 მაყურებელი

**საუთჰემპტონი 1:0 ევერტონი**

1:0 ტესემი (58)
საუთჰემპტონი: პ. ჯოუნსი, ლუნდეკვამი, რიჩარდსი, ელ ხალეჯი (დოდი 86), პეტრესკუ, ბრიჯი, ოკლი, დრეიპერი, ტესემი, პახარსი, ბიტი
მწვრთნელი: გლენ ჰოდლი
ევერტონი: ჟერარი, უოტსონი, გაფი, ვეირი, ბოლი, ზავიერი, გრაველსენი, ჯემილი (ანსუორთი 81), პემბრიჯი (ბისტონე 79), დ. ფერგიუსონი, ალექსანდერსონი (გესქოინი 72)
მწვრთნელი: უოლტერ სმიტი
გაფრთხილება: ბრიჯი, ბიტი, ბისტონე
15 251 მაყურებელი

**ტოტენჰემი 3:0 ქოვენთრი**

1:0 ივერსენი (29), 2:0 ფერდინანდი (34), 3:0 რებროვი (59)
ტოტენჰემი: სალივანი, იანგი, ფრიონდი, ს. კემპბელი, პერი, დოჰერტი, კლემენსი, კინგი, ლ. ფერდინანდი, ივერსენი, რებროვი
ქოვენთრი: კირკლენდი, შოუ, ბრინი, ტომპსონი (ტელფერი 64), პ. ქუინი, კარსლი, ისტიჩი (ჩიპო 63; ედვორთი 77), ჰიუჯი, ჰარტსონი, ჰალი, ბელამი
მწვრთნელი: გორდონ სტრაჩანი
გაფრთხილება: კარსლი, ბრინი
35 606 მაყურებელი

**ვესტ ჰემი 0:1 იფსვიჩი**

0:1 როიზერი (60)
ვესტ ჰემი: ჰისლოპი, ს. პირსი, ი. პირსი, შემელი (მონკუ 46), უინტერბერნი, სონგი, ჯ. კოული (ტოდოროვი 46), კარიკი, ლამპარდი, დი კანიო, კანო
მწვრთნელი: ჰარი რედნაპი
იფსვიჩი: რ. რაიტი, უილნისი, მაკგრილი, ჰრეიდარსონი, მაკინი, მეჯილტონი, ჰოლანდი, ჯ. რაიტი, მ. სტიუარტი (ბერჩილი 89), ა. არმსტრონგი, როიზერი (კლაპამი 75)
მწვრთნელი: ჯორჯ ბარლი
26 046 მაყურებელი

**გასულ** შაბათ-კვირას მთავარი ის იყო, რომ ჩემპიონთა ლიგის საგზურისთვის მებრძოლი გუნდებიდან სამმა გასვლითი თამაში მოიგო, ორმა მთავარმა კი ფრედ დაამთავრა შეხვედრა.

შაბათს, „სტემფორდ ბრიჯზე", მოგებაზე დამშეულმა „სანდერლენდმა" ჩრდილოური ბათქა-ბუთქი გაუმართა „ჩელსის" და მოუგო კიდეც, თუმცა ორჯერ აგებდა. ჩელსელთა მთავარ მეგოლეს, ჯიმი ფლოიდ ჰასელბაინკს სამიზნე წამხდარი ჰქონდა და ჯანფრანკო ძოლაც ბევრით ვერაფრით დაეხმარა გუნდს, რომელიც სირბილში აჰყვა სტუმრებს და ასე სირბილ-სირბილ წააგო. „ჩელსის" გამხსნელი გოლი მეტად ლამაზი იყო, ეიდურ გუდიონსენის მოხდენილი გადაცემა მარსელ დესაიმ თავით შეაგდო კარში. მაგრამ „სანდერლენდს" ჰყავდა დონ ჰაჩისონი, რომელმაც ჰა თუ იქედან, ჰა თუ აქედან დაურტყა და დაურტყა გუდიჩინის და გევინ მაკკანთან ერთად მოგების მთავარი შემოქმედი შეიქნა. შეხვედრის ბოლო, მეექვსე გოლიც სტუმრებისა იყო — კევინ ფილიპსმა „ჩელსის" მეკარისა და მცველის უხარისხო კავშირები გამოიყენა — 4-2.

ლონდონის გარეუბან ჩარლტონიდან „ლიდსმა" სამი ქულა წაიღო. მარკ ვიდუკამ მეთორმეტე წამზე გახსნა ანგარიში. შინ ყოველთვის თავდადებით მოთამაშე „ატლეტიკმა" შონ ბარტლეტის თავურით გაათანაბრა. მეორე ტაიმი წამების დაწყებული იყო, როცა ალან სმიტმა გოლად აქცია ჰარი კიუელის საუცხოო გარღვევა. ამ მოგებით „ლიდსი" მეხუთე ადგილზე აცოცდა. წინა ტურში დუბლის შემსრულებელმა და ერთი აუღებელი ჯარიმის გამტანმა, იფსვიჩელმა ჰოლანდიელმა მარტინ როიზერმა კვლავ გაიტანა საჯარიმო დარტყმით. და ეს ერთადერთი გოლი, „აპტონ პარკზე" რომ გავიდა იმ დღეს, სამი ქულის მომტანი შეიქნა.

„იფსვიჩი" მესამეა და ქულით უსწრებს მეოთხეზე მდგომ „სანდერლენდს".

კვირას კი ორივე შეხვედრა ფრედ დასრულდა. შინ „დერბისთან" ვერმომგები „ლივერპული" მეექვსე ადგილამდე ჩამოვარდა, ბირმინგემიდან უგოლოდ წასულმა „არსენალმა" კი, თუმც დაიბრუნა მეორე ადგილი, კიდევ ორი ქულით, ჯამში კი თექვსმეტით, ჩამორჩა ლიდერს.

„ლივერპულმა" „დერბის" ვერ აჯობა, თუმცა, მეკარეს, სანდერ ვესტერველდს უნდა უმადლოდეს, რომელმაც ბოლო წუთზე ტეიდურ გუდიონსონის დარტყმული ბურთი აიღო. ამ შეხვედრაში ანგარიში სტუმართა დეონ ბარტონმა გახსნა და „ლივერპულს" გვარიანი ოფლისღვრა დასჭირდა ანგარიშის გასათანაბრებლად. მასპინძლებს არ ჰყავდათ რობი ფაულერი, სამაგიეროდ, ათამაშებულიყო მაიკლ ოუენი, რომელმაც ზედიზედ მესამე თამაშში გაიტანა გოლი და ეგებ „ლივერპულს" მოეგო კიდეც, ამ ბიჭს იღბალი რომ ჰქონოდა. „დერბი" კი მშვენივრად გამოიყურებოდა. მომჯობინებული გიო ქინქლაძე განაცხადში იყო, ოღონდ არ უთამაშია.

მენეჯერი ჟერარ ულიე შედეგით უკმაყოფილო იყო, ოუენით კი კმაყოფილი: „მაიკლმა საბოლოოდ მოიშუშა ტრავმები, ის ძველებურად თამაშობს და ბევრი შეუძლია."

ბირმინგემის „ვილა პარკზე" არსენ ვენგერმა ტონი ადამსი და ტიერი ანრი არ გამოიყვანა, მეკარე დევიდ სიმენს კი სწორედ თამაშის წინ აეტკივდა ზურგი. ამის მიუხედავად, მეთოფეებს მოგება შეეძლოთ, თუმცა, „ვილაც" არ გამოიყურებოდა ურიგოდ.

სანახევროდ რეზერვისტებით მოთამაშე „მანჩესტერ იუნაიტედმა" შეხვედრის ბოლო ორ წუთში მაინც გატეხა ორგანიზებულად მოთამაშე „ლესტერი". მიკაელ სილვესტრმა კი თავისი პირველი გოლი გაიტანა „იუნაიტედის" შემადგენლობაში.

თუკი ორგანიზებაზე მიდგება საქმე, „საუთჰემპტონი" უნდა ვახსენოთ, გლენ ჰოდლის გუნდმა ამჯერად „ევერტონი" დაამარცხა და კვლავ არ გაუშვა გოლი. ახლა სამხრეთელები მერვე ადგილზე არიან, ბოლო თორმეტი მატჩიდან ათში გოლი არ გაუშვიათ და უეფას საგზურს უმიზნებენ, რაც გაუგონარი ამბავია კლუბის ისტორიაში. თუმცაღა, არავინ იცის, შერჩება, თუ არა ჰოდლი „საუთჰემპტონს" სეზონის ბოლომდე, რადგან ამბობენ, რომ სულ მალე ის, პარასკევს გადაყენებული ჯორჯ გრემის ადგილს დაიჭერს „ტოტენჰემში". უმწვრთნელოდ დარჩენილმა „ტოტენჰემმა" კი 3-0 მოუგო „ქოვენთრის".

ორი სხვა განწირულის, „ბრედფორდისა" და „სიტის" შეხვედრა 2-2 დამთავრდა. „მიდლსბრომ" კი ნიუკასლში ალენ ბოკშიჩის ხუთ წუთში შესრულებული დუბლით კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ ცხრილის ბოლოში ყოფნის მიუხედავად, წლეულს არ გავარდება.

**ირაკლი გამაყრელიძე**

| № | სულ თ | სულ მ | სულ ფ | სულ წ | სულ ბ | სულ ს | სულ ქ | შინ თ | შინ მ | შინ ფ | შინ წ | შინ ბ | შინ ს | შინ ქ | სტუმრად თ | სტუმრად მ | სტუმრად ფ | სტუმრად წ | სტუმრად ბ | სტუმრად ს | სტუმრად ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 მანჩესტერი | 30 | 21 | 7 | 2 | 68:19 | 49 | 70 | 15 | 13 | 1 | 1 | 42:7 | 35 | 40 | 15 | 8 | 6 | 1 | 26:12 | 14 | 30 |
| 2 არსენალი | 30 | 15 | 9 | 6 | 47:29 | 18 | 54 | 15 | 12 | 3 | 0 | 37:8 | 29 | 39 | 15 | 3 | 6 | 6 | 10:21 | -11 | 15 |
| 3 იფსვიჩი | 30 | 15 | 4 | 11 | 44:36 | 8 | 49 | 15 | 8 | 4 | 3 | 25:13 | 12 | 28 | 15 | 7 | 0 | 8 | 19:23 | -4 | 21 |
| 4 სანდერლენდი | 30 | 13 | 9 | 8 | 37:30 | 7 | 48 | 15 | 8 | 6 | 1 | 18:8 | 10 | 30 | 15 | 5 | 3 | 7 | 19:22 | -3 | 18 |
| 5 ლიდსი | 30 | 13 | 8 | 9 | 44:38 | 6 | 47 | 15 | 7 | 3 | 5 | 23:19 | 4 | 24 | 15 | 6 | 5 | 4 | 21:19 | 2 | 23 |
| 6 ლივერპული | 28 | 13 | 7 | 8 | 48:31 | 17 | 46 | 14 | 10 | 3 | 1 | 29:9 | 20 | 33 | 14 | 3 | 4 | 7 | 19:22 | -3 | 13 |
| 7 ლესტერი | 29 | 13 | 6 | 10 | 31:31 | 0 | 45 | 15 | 9 | 4 | 2 | 22:13 | 9 | 31 | 14 | 4 | 2 | 8 | 9:18 | -9 | 14 |
| 8 საუთჰემპტონი | 29 | 12 | 8 | 9 | 34:34 | 0 | 44 | 15 | 9 | 2 | 4 | 22:15 | 7 | 29 | 14 | 3 | 6 | 5 | 12:19 | -7 | 15 |
| 9 ჩელსი | 29 | 11 | 9 | 9 | 52:37 | 15 | 42 | 15 | 10 | 3 | 2 | 39:17 | 22 | 33 | 14 | 1 | 6 | 7 | 13:20 | -7 | 9 |
| 10 ჩარლტონი | 30 | 11 | 9 | 10 | 39:42 | -3 | 42 | 15 | 9 | 4 | 2 | 24:11 | 13 | 29 | 15 | 2 | 5 | 8 | 15:31 | -16 | 11 |
| 11 ტოტენჰემი | 30 | 10 | 9 | 11 | 36:38 | -2 | 39 | 15 | 9 | 5 | 1 | 26:11 | 15 | 32 | 15 | 1 | 4 | 10 | 10:27 | -17 | 7 |
| 12 ასტონ ვილა | 29 | 9 | 11 | 9 | 31:30 | 1 | 38 | 14 | 5 | 6 | 3 | 18:14 | 4 | 21 | 15 | 4 | 5 | 6 | 13:16 | -3 | 17 |
| 13 ნიუკასლი | 29 | 11 | 5 | 13 | 34:41 | -7 | 38 | 14 | 7 | 2 | 5 | 19:15 | 4 | 23 | 15 | 4 | 3 | 8 | 15:26 | -11 | 15 |
| 14 ვესტ ჰემი | 30 | 8 | 11 | 11 | 35:38 | -3 | 35 | 15 | 4 | 6 | 5 | 18:15 | 3 | 18 | 15 | 4 | 5 | 6 | 17:23 | -6 | 17 |
| 15 დერბი ქაუნთი | 30 | 8 | 11 | 11 | 31:45 | -14 | 35 | 15 | 7 | 6 | 2 | 19:17 | 2 | 27 | 15 | 1 | 5 | 9 | 12:28 | -16 | 8 |
| 16 ევერტონი | 30 | 8 | 8 | 14 | 31:44 | -13 | 32 | 15 | 4 | 7 | 4 | 20:20 | 0 | 19 | 15 | 4 | 1 | 10 | 11:24 | -13 | 13 |
| 17 მიდლსბრო | 30 | 6 | 13 | 11 | 33:36 | -3 | 31 | 15 | 3 | 6 | 6 | 15:18 | -3 | 15 | 15 | 3 | 7 | 5 | 18:18 | 0 | 16 |
| 18 სიტი | 30 | 6 | 9 | 15 | 33:49 | -16 | 27 | 15 | 3 | 3 | 9 | 17:22 | -5 | 12 | 15 | 3 | 6 | 6 | 16:27 | -11 | 15 |
| 19 ქოვენთრი | 30 | 5 | 9 | 16 | 26:51 | -25 | 24 | 15 | 2 | 6 | 7 | 11:21 | -10 | 12 | 15 | 3 | 3 | 9 | 15:30 | -15 | 12 |
| 20 ბრედფორდი | 29 | 3 | 8 | 18 | 20:55 | -35 | 17 | 14 | 2 | 5 | 7 | 13:24 | -11 | 11 | 15 | 1 | 3 | 11 | 7:31 | -24 | 6 |

### ბომბარდირები

| | |
|---|---|
| ჰასელბაინკი (ჩელსი) | 16 |
| მ. სტიუარტი (იფსვიჩი) | 15 |
| ანრი (არსენალი) | 15 |
| შერინგემი (მანჩესტერ იუნ.) | 14 |
| ვიდუკა (ლიდსი) | 14 |

### XXXI ტური

31 მარტი

არსენალი — ტოტენჰემი
ბრედფორდი — ნიუკასლი
ჩარლტონი — ლესტერი
ჩელსი — მიდლსბრო
ქოვენთრი — დერბი ქაუნთი
ლივერპული — მანჩესტერ იუნ.
სიტი — ასტონ ვილა
საუთჰემპტონი — იფსვიჩი
სანდერლენდი — ლიდსი
ვესტ ჰემი — ევერტონი

## პირველი დივიზიონი

### XXXVIII ტური

**ვულვერჰემპტონი 3:1 ვესტ ბრომვიჩი**

1:0, 2:0 ნდა (23, 45), 3:0 პოლეტი (66), 3:1 კლემენტი (82)
ვულვერჰემპტონი: ა. ოუქსი, პოლეტი, ლესკოტი, მუსკატი, ნეილორი, რობინსონი, პრუდლოკი, ენდრიუსი, სინტონი, ნდა, ბრენჩი
მწვრთნელი: დევიდ ჯოუნსი
25 069 მაყურებელი

**ბლეკბერნი 1:1 უიმბლდონი**

0:1 ოუელი (50), 1:1 იანსენი (73)

**ქრიუ 1:0 პორტსმუთი**

1:0 ეშტონი (11)

**კრისტალ პალასი 0:2 ფულემი**

0:1, 0:2 ბოა მორტე (15, 69)

**ჰადერსფილდი 2:1 შეფილდ იუნ.**

1:0 სმიტი (25), 1:1 ასაბა (35), 2:1 ფეისი (78)

**ნორვიჩი 1:2 პრესტონი**

1:0 რობერტსი (32), 1:1 ჰილი (34), 1:2 გრიგენი (48)

**ნოტინგემი 0:2 ბოლტონი**

0:1 ჰოლდსუორთი (61), 0:2 ფარელი (90)

**ქუინზ პარკი 0:1 გრიმსბი**

0:1 გროვსი (80)

**შეფილდ უენსდი 2:0 ბარნლი**

1:0 მენდონი (42), 2:0 სიბონი (70პ)

**სტოკპორტი 2:0 ბირმინგემი**

1:0, 2:0 კუკი (41, 83)

**ტრანმერი 2:3 ბარნსლი**

1:0 ტეილორი (1), 2:0 კუმასი (20), 2:1 დიერი (65), 2:2 შიპერლი (82), 2:3 რანკინი (90)

**ჯილინგემი — უოტფორდი**

გადაიდო

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ფულემი | 37 | 26 | 7 | 4 | 77:25 | 85 |
| ბოლტონი | 37 | 20 | 11 | 6 | 63:37 | 71 |
| ბლექბერნი | 35 | 20 | 9 | 6 | 55:32 | 69 |
| ბირმინგემი | 36 | 21 | 5 | 10 | 51:37 | 68 |
| პრესტონი | 37 | 19 | 6 | 12 | 51:43 | 63 |
| ვესტ ბრომვიჩი | 38 | 18 | 8 | 12 | 50:45 | 62 |
| ნოტინგემი | 37 | 18 | 5 | 14 | 47:42 | 59 |
| უოტფორდი | 37 | 17 | 7 | 13 | 61:52 | 58 |
| შეფილდ იუნ. | 37 | 16 | 8 | 13 | 42:38 | 56 |
| ბარნლი | 36 | 15 | 7 | 14 | 35:42 | 52 |
| უიმბლდონი | 35 | 13 | 12 | 10 | 56:38 | 51 |
| ბარნსლი | 38 | 13 | 8 | 17 | 42:47 | 47 |
| ვულვზი | 36 | 12 | 10 | 14 | 39:38 | 46 |
| ქრიუ | 37 | 13 | 6 | 18 | 37:48 | 45 |
| პორტსმუთი | 38 | 9 | 16 | 13 | 38:44 | 43 |
| ნორვიჩი | 38 | 11 | 10 | 17 | 36:48 | 43 |
| ჯილინგემი | 36 | 9 | 14 | 13 | 46:50 | 41 |
| გრიმსბი | 37 | 10 | 9 | 18 | 33:51 | 39 |
| უენსდი | 37 | 11 | 6 | 20 | 40:62 | 39 |
| კრისტალ პალასი | 37 | 9 | 10 | 18 | 47:57 | 37 |
| სტოკპორტი | 38 | 7 | 16 | 15 | 47:61 | 37 |
| ჰადერსფილდი | 36 | 8 | 11 | 17 | 37:47 | 35 |
| ქუინზ პარკი | 37 | 6 | 15 | 16 | 35:60 | 33 |
| ტრანმერი | 35 | 8 | 8 | 19 | 36:57 | 32 |

## მეორე დივიზიონი

38-ე ტური: ბერი — ნოთსი 1:1; როტერჰემი — როვერსი 3:0; სტოკი — კემბრიჯი 2:3; სუინდონი — სუონსი 1:1; უიგანი — ბორნმუთი 1:1; რედინგი — რედინგი 1:2; უიკომბი — ოლდემი 2:1; ბრისტოლი — მილუოლი 2:1; კოლჩესტერი — ბრენტფორდი 3:1. ლუტონი — ოქსფორდი, ნორთჰემპტონი — პორტვეილი და პიტერბორო — უოლსოლი გადაიდო

## მესამე დივიზიონი

38-ე ტური: ბარნეტი — საუთენდი 2:1; ბლეკპული — მენსფილდი 2:2; კარდიფი — კარლაილი 4:1; ჩელტნემი — ჰალიფაქსი 4:2; ჩესტერფილდი — როჩდეილი 1:1; ჰარტლპული — ბრაიტონი 2:2; ჰალი — ექსეტერი 2:1; კიდერმინსტერი — დარლინგტონი 0:0; სკანთორპი — პლიმუთი 4:1; შრიუსბერი — ლეიტონი 1:1; იორკი — ლინკოლნი 0:0. ტორკი — მაკლსფილდი გადაიდო

## გერმანია

### XXVI ტური

**კიოლნი 0:0 ვოლფსბურგი**

კიოლნი: პრიოლი, ბულაიჩი, სინკალა, ქიციორი, კელერი, ვოიგტი, შერცი (დონკოვი 82), კროიცი, კურტი (პივალიევიჩი 65), ა. არველაძე (ბარანეკი 65), ტიმი
მწვრთნელი: ევალდ ლინენი
ვოლფსბურგი: რაიტმაიერი, შნური, გრაინერი, ბილისკოვი, ვაისერი, ბიგენი, აკონორი, კუმბაიერი, ს. მიულერი (მუნტეანუ 77), რიშე (აკპობორი 70), იუსკოვიაკი (ტ. მარიჩი 56)
მწვრთნელი: ვოლფგანგ ვოლფი
გაფრთხილება: ბილისკოვი
27 500 მაყურებელი

**შალკე 0:0 ფრაიბურგი**

შალკე: რეკი, ჰაიტო, ვალდოხი, ვან ჰუგდალემი (ბელდი 87), ნემეცი, ბიოსკენსი, ლატალი (კამფუისი 80), ბიომე, მიოლერი, სანდი, მპენზა
მწვრთნელი: ჰუბ სტივენსი
ფრაიბურგი: გოლცი, შ. მიულერი, დიარა, კელი, ა. ცაიერი, კობიაშვილი, კულიბალი (ბაია 73), კოლი (რუმანი 73), ვ. ბუტი, სელიმი, იაშვილი (ბრუნსი 80)
მწვრთნელი: ფოლკერ ფინკე
გაფრთხილება: ბიოსკენსი, ჰაიტო, კელი, სელიმი
გაძევება: ცაიერი (85)
34 214 მაყურებელი

**დორტმუნდი 1:3 ლევერკუზენი**

0:1 შნაიდერი (7), 0:2 კირსტენი (10), 1:2 ვიორნსი (15), 1:3 ბრდარიჩი (90)
დორტმუნდი: ლემანი, ვიორნსი, ოლისე (ნიჯაკი 82), კოლერი, ჰაინრიხი, ნერლინგერი (ადო 57), ევანილსონი (სორენსენი 69), დედე, რიკენი, როსიცკი, ბობიჩი
მწვრთნელი: მათიას ზამერი
ლევერკუზენი: მატიშეკი, ჟივკოვიჩი, ლუსიო, რ. კოვაჩი, რეები, რამელოვი, ბ. შნაიდერი (ნოვოტნი 64), ბალაკი, ზე რობერტო, კირსტენი (ბრდარიჩი 79), ნოივილი (ვრანიეში 77)
მწვრთნელი: ბერტი ფოგტსი
გაფრთხილება: ნერლინგერი, ოლისე, როსიცკი, ჰაინრიხი, კოვაჩი, რამელოვი, ბრდარიჩი, ბალაკი
გაძევება: ბალაკი (75)
68 600 მაყურებელი

**მიუნხენი 0:2 ბაიერნი**

0:1 ელბერი (48), 0:2 პაულო სერჯიო (80)
მიუნხენი: იენჩი, ტ. ჰოფმანი, ვოტავა, რისეტი, შტრანცლი (ბიეროფკა 54), ჩერნი, ბორიმიროვი, ტაისი, ჰესლერი, მაქსი (აგოსტინო 67), შროტი
მწვრთნელი: ვერნერ ლორანტი
ბაიერნი: კანი, კუფური, ანდერსონი, ლინკე, იერემისი (ფინკე 68), ლიზარაზუ, ეფენბერგი, სალიჰამიჯიჩი, შოლი (პაულო სერჯიო 69), ელბერი, იანკერი (სანოლი 12)
მწვრთნელი: ოტმარ ჰიცფელდი
გაფრთხილება: შოლი, იერემისი, სალიჰამიჯიჩი
69 000 მაყურებელი

**უნტერჰახინგი 0:0 შტუტგარტი**

უნტერჰახინგი: ტრემელი, შტრემელი, ა. ჰერცოგი, ზაიფერტი, ჰაბერი, შვარცი, შტრაუბე, ცემანი (ჩიჟეკი 86), ჰირში, ობერლაიტნერი (ბრაიტენრაიტერი 54), რაკლი (ამანფუნგი 64)
მწვრთნელი: გიუნტერ ლორანც კოსტნერი
შტუტგარტი: ჰილდებრანდი, მარკეში, ბორდონი (მაისნერი 46), კარნელი, ტიაში, ტოდტი, ჯორჯევიჩი (ბინკელი 62), ზაიცი, ბალაკოვი, დუნდი, განია (ადჰემარი 78)
მწვრთნელი: ფელიქს მაგატი
გაფრთხილება: ტოდტი, ბორდონი
12 000 მაყურებელი

**ვერდერი 1:2 კაიზერსლაუტერნი**

0:1, 0:2 ლოკვენცი (11, 39), 1:2 ჰერცოგი (58)
აილტონმა ვერ გაიტანა პენალტი (23, მეკარე)
ვერდერი: როსტი, ფ. ბაუმანი, ბარტენი (სტალტერი 81), ვერლაატი, ტრარესი (ბანოვიჩი 57), ფ. ერნსტი, ფრინგსი, ბოდე, ა. ჰერცოგი, აილტონი (ლი 57), პიზარო
მწვრთნელი: თომას შაფი
კაიზერსლაუტერნი: გ. კოხი, რამზი, ბასლერი, კლოსე, ბუკი, რატინიო (კომლიენოვიჩი 85), ბიელიცა, შტრასერი, ხრისტოვი, პეტერსონი (გრამოცისი 74), ლოკვენცი
მწვრთნელი: ანდრეას ბრემე
გაფრთხილება: ბარტენი, ფრინგსი, ბანოვიჩი, ერნსტი, კოხი, რატინიო, შტრასერი, ხრისტოვი
29 250 მაყურებელი

**ჰანზა 2:0 ბოხუმი**

1:0, 2:0 აგალი (71, 80)
ჰანზა: პიკენჰაგენი, იაკობსონი, ბენკენი (ცალმანი 69), ოსვალდი, შროდერი, ლანცი, ვიბრანი, ემარა (მაიაკი 87), რიდლევიჩი, ბაუმგარტი (არვიდსონი 67), აგალი
მწვრთნელი: ვოლფგანგ შლიუნცი (თანაშემწე)
ბოხუმი: ვან დუინჰოვენი, მამიჩი, ფარენჰორსტი (ტობლაკი 82), სუნდერმანი, ფრაიერი (ბალუშინსკი 69), კოლდინგი, მაიხელბეკი, შინდცილორცი (მ. მარიჩი 72), ბაკლი, ბასტურკი, კრისტიანსენი
მწვრთნელი: როლფ შაფშტალი
გაფრთხილება: აგალი, ბენკენი, სუნდერმანი, ფარენჰორსტი, ვან დუინჰოვენი, ბასტურკი
გაძევება: კრისტიანსენი (90)
15 000 მაყურებელი

**კოტბუსი 3:0 ჰერტა**

1:0 მიროუტა (19), 2:0 ფრანკლინი (43), 3:0 ჰელბიგი (72)
კოტბუსი: პიპლიცა, ვატა, ბეკი (მუჟდიროვიჩი 24), მატიუში, სკერბე, რეეკამფი, აკრაპოვიჩი, კობილანსკი, მიროუტა, ლაბაკი (ს. ილიევი 56), ფრანკლინი (ჰელბიგი 66)
მწვრთნელი: ედუარდ გაიერი
ჰერტა: კირალი, შმიდტი, ვან ბურიკი, სიმუნიჩი (დაისლერი 46), კონსტანტინიდისი, ვაიტი, დარდაი, ჰარტმანი (დაეი 73), ვოში, ალვეში (რასი 46), პრეეცი
მწვრთნელი: იურგენ რიობერი
გაფრთხილება: ფრანკლინი, მუჟდიროვიჩი, აკრაპოვიჩი, დარდაი, სიმუნიჩი
19 780 მაყურებელი

**აინტრახტი 1:1 ჰამბურგი**

0:1 კოვაჩი (54), 1:1 სობოტჩიკი (78)
აინტრახტი: ჰაინენი, რადა, პრეისი (სობოტჩიკი 72), კუტრე, კრაბსი, მუტცელი, გუიე-მიენი, გებჰარდტი, ჰელდტი, ჩენ იანგი, კრივალოვიჩი (ფიორტოფტი 65)
მწვრთნელი: როლფ დომენი
ჰამბურგი: ჰ. ბუტი, ჰანაჩი, კინცი, იუფგალუში, ნ. კოვაჩი, ჰოლერბახი (მერჩი 68), ტოფტინგი (პრეგერი 46), ბარბარეზი, ჰაინცი, მაჰდავიკია, მეიერი
მწვრთნელი: ფრანკ პაგელსდორფი
გაფრთხილება: ჩენ იანგი, გებჰარდტი, ჰელდტი, ტოფტინგი
33 000 მაყურებელი




REUTERS მიუნხენიდან

მიუნხენი — ბაიერნი 0:2. მიუნხენურ დერბიში გოლები ბრაზილიელებმა გაიტანეს, პირველი ჯოვანი ელბერმა

# ბებერ(ტ)ი ხარისა...

## ფოგტსმა ზამერს კიდევ ერთი გაკვეთილი ჩაუტარა

„ვესტფალენშტადიონზე", დორტმუნდის „ბორუსიას" საშინაო არენაზე, თამაშის წინ დიქტორი ფეხბურთელების სახელებს აცხადებს ხოლმე, გვარებს ტრიბუნები გაჰყვირიან. ამჯერად ყოველი სახელის მერე ქომაგები მხოლოდ ერთ გვარს გაიძახოდნენ: „ჰერლიხ, ჰერლიხ!".

გეხსომებათ, შარშან 9 ნოემბერს, „დორტმუნდის" ნიჭიერ ფორვარდს ექიმებმა საშინელი დიაგნოზი დაუსვეს — ტვინის კიბო. ამბობდნენ, მთავარია გადარჩეს და ფეხბურთის თამაშზე ვინღა ფიქრობსო, მაგრამ მკურნალობამ წარმატებით ჩაიარა და თავდამსხმელიც მინდორზე დაბრუნებას აპირებს. შაბათს ჰერლიხი „ვესტფალენშტადიონზე" დაბრუნდა, თუმცა ჯერ მხოლოდ მაყურებელთა შორის იჯდა და თავისიანებს ქომაგობდა.

სხვა სასიხარულო მასპინძელ გულშემატკივრებს თითქმის არაფერი ჰქონიათ. მასწავლებელმა ფოგტსმა მოსწავლე ზამერს აჯობა, „ლევერკუზენმა"— „დორტმუნდს". სტუმრები უკვე მე-7 წუთზე დაწინაურდნენ. გოლი იშვიათი გამოდგა: სადღაც მოედნის ცენტრთან ოლისემ ბურთი ლევერკუზენელ შნაიდერს ჩააბარა, მანაც კარიდან წინ გამოსული ლემანი შეამჩნია და... 50 მეტრიდან გაუტანა.

ვნებები არც დამცხრალიყო, რომ ფოგტსის ბიჭებმა მეორე გაიტანეს. ბალაკის საჯარიმო დარტყმას კირსტენმა მართებული გაგრძელება მოუძებნა. მართალია, კიდევ ხუთ წუთში „ყვითლებმა" ერთი გაქვითეს, მაგრამ... ოლისეს შორიდან დარტყმული სტუმართა კარის ძელს მოხვდა, ჰაინრიხის დამატებული მეკარე მატიშეკმა მოიგერია, ვიორნსის თავურს კი ველარაფერი მოუხერხეს.

მეორე ტაიმში „ბაიერის" პოლონელი მეკარე მატიშეკი გაგიჟდა. ისეთი ბურთები მოიგერია, ტოლდო და მისთანები მონაგონი იყო: რიკენი, როსიცკი და ბობიჩი გაკვირვებისგან ერთმანეთსლა ეკითხებოდნენ, რა ხდებაო. თუმცა, სიმართლე ისიცაა, რომ რამდენიმე ეპიზოდში პოლონელ მეკარეს ბედმა გაუღიმა.

დამთავრებამდე თხუთმეტი წუთით ადრე სტუმრები ათნი დარჩნენ — ბალაკმა მეორე ყვითელი მიიღო და მინდორი დატოვა, „დორტმუნდიც" უფრო გააფთრდა, მაგრამ ვერაფერს გახდა და ბოლო წუთზე მესამეც გაუშვა.

საინტერესოა, რომ „დორტმუნდს" აქამდე შინ ზედიზედ შვიდი მატჩი არ წაეგო, ხოლო „ლევერკუზენი" ბოლო ექვს გასვლით მატჩში ხუთჯერ უქულოდ დარჩენილიყო. ახლა, ფოგტსის გუნდმა ცხრილში მეორე ადგილზე აინაცვლა და „გასვლის კომპლექსიც" მოიხსნა.

მიუნხენში 193-ე დერბი გაიმართა და „ქალაქის ჩემპიონი" „ბაიერნი" გახდა. პირველ ტაიმში ორივე გუნდს შეეძლო თავის გამოჩენა. ბაიერნელი კუფურის დარტყმული ბურთი „მასპინძელთა" ავსტრიელმა კაპიტანმა ჩერნიმ კარის ხაზიდან გამოიტანა. მერე კი „სტუმართა" მეკარე კანი რამდენიმე ძნელ მოსაგერიებელს გაუმკლავდა.

ანგარიში მეორე ტაიმის დასაწყისში გაიხსნა: სალიჰამიჯიჩის დარტყმული მეკარე იენჩმა მოიგერია, მაგრამ დასწრებაზე ელბერმა გაიტანა. 1:0. მეორეც ბრაზილიელმა შეაგდო. დამთავრებას ათი წუთი უკლდა, როცა შეცვლაზე შესულმა პაულო სერჯიომ მოედნის სიღრმიდან ჩინებული პასი მიიღო და უძლიერესი ბავარიული კლუბის გარკვევის ამბავიც ამით დაასრულა. ერთი, რაც იმ საღამოს ბაიერნელებს ხინჯად დარჩათ, კაპიტან ეფენბერგის ერთობ უსახური თამაში გახლდათ.

ქართველების „ფრაიბურგი" „შემოდგომის ჩემპიონ" „შალკეს" ესტუმრა. „შალკეს" ცუდი დღეები უდგას. უკვე მეხუთე მატჩია ველარ მოუგიათ და 384 წუთია არ გაუტანიათ... „ფრაიბურგთანაც" მინიმუმ ათი საგოლე მომენტი შექმნეს, მაგრამ ვერ შეაგდეს. ერთხელ ბიომეს დარტყმული კარის ხაზიდან მცველმა დიარამ გამოიტანა, მერე მიოლერ-ვალდოხის კომბინაცია სასწაულით არ გავიდა და ასე...

უფრო მეტიც, გელზენკირხენელებს გაუმართლათ კიდეც, როცა 59-ე წუთზე სტუმარი სელიმი დაავიწყდათ და მანაც სულ ახლოდან ძელს გაარტყა. ჩვენებურთაგან კობიაშვილი და იაშვილი თამაშობდნენ. თუმცა, „კიკერმა" მათი გარჯა მხოლოდ 3,5 ქულით შეაფასა, რაც საშუალოზე ოდნავ დაბალია.

საინტერესო გახლდათ „კოტბუს" — „ჰერტას" ანგარიშიც. ლიგაში ადგილის შესანარჩუნებლად მებრძოლმა „ენერგიამ" ჩემპიონთა ლიგაში მოხვედრაზე მეოცნებე ბერლინელები 3:0 დაანგრია.

კვირას კი ანდრეას ბრემეს „ლაუტერნმა" სტუმრად „ვერდერს" 3:1 მოუგო და მესამე ადგილზე აცოცდა, თანაც მეორე — „ლევერკუზენი" მხოლოდ ბურთების უკეთესი სხვაობით უსწრებს, ხოლო ლიდერ „ბაიერნთან" ჩამორჩენა სულ 3 ქულაა.

**სოლომონ ბულისკერია**

| № | სულ თ | სულ მ | სულ ფ | სულ წ | სულ ბ | სულ ს | სულ ქ | შინ თ | შინ მ | შინ ფ | შინ წ | შინ ბ | შინ ს | შინ ქ | სტუმრად თ | სტუმრად მ | სტუმრად ფ | სტუმრად წ | სტუმრად ბ | სტუმრად ს | სტუმრად ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 ბაიერნი | 26 | 15 | 4 | 7 | 51:28 | 23 | 49 | 13 | 10 | 1 | 2 | 31:13 | 18 | 31 | 13 | 5 | 3 | 5 | 20:15 | 5 | 18 |
| 2 ლევერკუზენი | 26 | 14 | 4 | 8 | 46:30 | 16 | 46 | 12 | 9 | 1 | 2 | 27:8 | 19 | 28 | 14 | 5 | 3 | 6 | 19:22 | -3 | 18 |
| 3 ლაუტერნი | 26 | 14 | 4 | 8 | 39:33 | 6 | 46 | 13 | 7 | 3 | 3 | 19:11 | 8 | 24 | 13 | 7 | 1 | 5 | 20:22 | -2 | 22 |
| 4 დორტმუნდი | 26 | 13 | 6 | 7 | 44:34 | 10 | 45 | 13 | 8 | 1 | 4 | 25:16 | 9 | 25 | 13 | 5 | 5 | 3 | 20:17 | 3 | 20 |
| 5 შალკე | 26 | 12 | 7 | 7 | 43:26 | 17 | 43 | 13 | 8 | 4 | 1 | 21:7 | 14 | 28 | 13 | 4 | 3 | 6 | 22:19 | 3 | 15 |
| 6 ჰერტა | 26 | 14 | 1 | 11 | 47:44 | 3 | 43 | 13 | 8 | 1 | 4 | 30:21 | 9 | 25 | 13 | 6 | 0 | 7 | 17:23 | -6 | 18 |
| 7 კიოლნი | 26 | 10 | 7 | 9 | 44:39 | 5 | 37 | 14 | 7 | 4 | 3 | 27:14 | 13 | 25 | 12 | 3 | 3 | 6 | 17:25 | -8 | 12 |
| 8 ვერდერი | 26 | 10 | 7 | 9 | 36:38 | -2 | 37 | 13 | 8 | 3 | 2 | 25:14 | 11 | 27 | 13 | 2 | 4 | 7 | 11:24 | -13 | 10 |
| 9 ვოლფსბურგი | 26 | 9 | 9 | 8 | 49:34 | 15 | 36 | 13 | 6 | 5 | 2 | 32:15 | 17 | 23 | 13 | 3 | 4 | 6 | 17:19 | -2 | 13 |
| 10 ფრაიბურგი | 26 | 9 | 9 | 8 | 33:29 | 4 | 36 | 12 | 5 | 4 | 3 | 21:10 | 11 | 19 | 14 | 4 | 5 | 5 | 12:19 | -7 | 17 |
| 11 მიუნხენი | 26 | 9 | 7 | 10 | 33:42 | -9 | 34 | 13 | 6 | 3 | 4 | 16:18 | -2 | 21 | 13 | 3 | 4 | 6 | 17:24 | -7 | 13 |
| 12 ჰანზა | 26 | 10 | 4 | 12 | 27:37 | -10 | 34 | 13 | 6 | 3 | 4 | 18:18 | 0 | 21 | 13 | 4 | 1 | 8 | 9:19 | -10 | 13 |
| 13 ჰამბურგი | 26 | 9 | 5 | 12 | 49:48 | 1 | 32 | 12 | 7 | 2 | 3 | 27:16 | 11 | 23 | 14 | 2 | 3 | 9 | 22:32 | -10 | 9 |
| 14 კოტბუსი | 26 | 9 | 2 | 15 | 32:43 | -11 | 29 | 14 | 8 | 0 | 6 | 22:18 | 4 | 24 | 12 | 1 | 2 | 9 | 10:25 | -15 | 5 |
| 15 აინტრახტი | 26 | 8 | 5 | 13 | 31:47 | -16 | 29 | 13 | 6 | 3 | 4 | 20:16 | 4 | 21 | 13 | 2 | 2 | 9 | 11:31 | -20 | 8 |
| 16 უნტერჰახინგი | 26 | 7 | 7 | 12 | 25:44 | -19 | 28 | 14 | 6 | 5 | 3 | 16:13 | 3 | 23 | 12 | 1 | 2 | 9 | 9:32 | -23 | 5 |
| 17 შტუტგარტი | 26 | 6 | 9 | 11 | 35:40 | -5 | 27 | 13 | 6 | 5 | 2 | 27:16 | 11 | 23 | 13 | 0 | 4 | 9 | 8:24 | -16 | 4 |
| 18 ბოხუმი | 26 | 5 | 5 | 16 | 22:50 | -28 | 20 | 13 | 4 | 3 | 6 | 16:22 | -6 | 15 | 13 | 1 | 2 | 10 | 6:28 | -22 | 5 |

### ბომბარდირები

| | |
|---|---|
| ბარბარესი (ჰამბურგი) | 17 |
| სანდი (შალკე) | 15 |
| ელბერი (ბაიერნი) | 14 |
| პრეეცი (ჰერტა) | 13 |
| ნოივილი (ლევერკუზენი) | 12 |
| აგოსტინო (მიუნხენ 1860) | 11 |
| პიზარო (ვერდერი) | 11 |

### XXVII ტური

30 მარტი
ვოლფსბურგი — ჰანზა
31 მარტი
ჰერტა — მიუნხენ 1860
შტუტგარტი — დორტმუნდი
ჰამბურგი — უნტერჰახინგი
ფრაიბურგი — აინტრახტი
ბაიერნი — ვერდერი
ლევერკუზენი — შალკე
18 მარტი
კაიზერსლაუტერნი — დორტმუნდი
ბოხუმი — კოტბუსი

## მეორე ბუნდესლიგა

### XXVI ტური

**როიტლინგენი 0:1 დუისბურგი**

0:1 ვანა (40)
როიტლინგენი: კურკო, ვოლდმანი (კასტი 30; ბარბორიკო 76), მალხოვი, ტრაუბი, ჰოფაკერი, ადუბე, იანიჩი, ლექსა, ბეკერი, სუმიალა (მორგანი 46), დიაბა
მწვრთნელი: რალფ ვი
6 187 მაყურებელი

**ნიურნბერგი 0:1 ფიურტი**

0:1 ამანატიდისი (21)
ფიურტი: რაიხოლდი, რაიტერი, შვარაბელა, სხოორდონკ, სურმანი, რაიხელი, აზუზი, რუმანი, ამანატიდისი (ტიური 65), ფელგენაუერი (ვლბერფელდი 60), კიოიო (მესენბუტლი 83)
მწვრთნელი: გიუნტერ ერკენბრეხერი
35 700 მაყურებელი

**ალემანია 1:0 ზაარბრიუკენი**

1:0 ქაიე (6)

**მაინცი 2:0 ოსნაბრიუკი**

1:0 ნკუფო (34), 2:0 ტურკი (59)

**ზანქტ პაული 3:0 ქემნიცი**

1:0 რატი (27), 2:0 კოლინგერი (66), 3:0 კონეცკი (85)

**ობერჰაუზენი 3:1 ულმი**

1:0 კ. ბაუმანი (20), 2:0 შარპენბერგი (34), 2:1 ლეანდრო (38), 3:1 იუდტი (85)

**ალენი 2:1 მიონხენგლადბახი**

1:0 ფაიზერი (13), 1:1 ვიტეჩეკი (25), 2:1 ფენგლერი (41)

**კიკერსი 2:0 ჰანოვერი**

1:0 კეულერი (14), 2:0 რასპე (51)

**ვალდჰოფი — არმინია**

წუხელ გვიან დამთავრდა (იხ. მეორე გვერდზე) და მისი შედეგი ცხრილში შეტანილი არაა

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ნიურნბერგი | 26 | 17 | 4 | 5 | 50:26 | 55 |
| მიონხენგლადბახი | 26 | 13 | 9 | 4 | 50:25 | 48 |
| ფიურტი | 26 | 12 | 7 | 7 | 41:27 | 43 |
| ზანქტ პაული | 25 | 12 | 7 | 6 | 53:41 | 43 |
| ვალდჰოფი | 25 | 12 | 6 | 7 | 37:31 | 42 |
| როიტლინგენი | 25 | 11 | 6 | 8 | 50:41 | 39 |
| დუისბურგი | 25 | 11 | 5 | 9 | 40:30 | 38 |
| ჰანოვერი | 26 | 10 | 7 | 9 | 40:31 | 37 |
| ალენი | 25 | 10 | 7 | 8 | 41:40 | 37 |
| ობერჰაუზენი | 24 | 10 | 5 | 9 | 32:32 | 35 |
| ზაარბრიუკენი | 25 | 9 | 7 | 9 | 35:45 | 34 |
| ალემანია | 25 | 9 | 6 | 10 | 34:49 | 33 |
| არმინია | 25 | 6 | 8 | 11 | 34:33 | 26 |
| მაინცი | 25 | 6 | 8 | 11 | 26:34 | 26 |
| კიკერსი | 24 | 6 | 8 | 10 | 23:31 | 26 |
| ულმი | 26 | 6 | 7 | 13 | 31:40 | 25 |
| ოსნაბრუკი | 26 | 5 | 9 | 12 | 23:40 | 24 |
| ქემნიცი | 25 | 2 | 4 | 19 | 19:63 | 10 |

# დეპორტივოს ნაქცევა 12 მილიონი ღირს

## ესპანეთი

### XXVII ტური

**სოსიედადი 1:1 ალავესი**

1:0 დე პაულა (42), 1:1 კონტრა (58)
სოსიედადი: ალბერტო, ფუენტესი (არანსაბალი 74), ლორენი, პიკაბეა, ლოპეს რეკარტე, დე პედრო (გურუზაგა 61), ხოხლოვი, ლუის ალბერტო, ხაბი ალონსო (ტაიფუნი 66), დე პაულა, იდიაკესი
მწვრთნელი: ჯონ ტოშაკი
ალავესი: კიკე, იბონ ბეგონია (სარიერი 69), ჟელი, ეგენი, კარმონა, კონტრა, ი. ტომიჩი (ივან ალონსო 46), პაბლო, დესიო, ხავი მორენო (მაგნო 87), კრუიფი
მწვრთნელი: ხოსე მანუელ ესნალ პარდო
გაფრთხილება: იდიაკესი, დესიო, იბონ ბეგონია, პაბლო, კონტრა, დე პაულა
30 000 მაყურებელი

**მალიორკა 1:0 რეალი**

1:0 ლუკე (38)
მალიორკა: ლეო ფრანკო, ფერნანდო ნინიო, მიგელ სოლერი, ნადალი, ოლაიზოლა, იბაგასა (ჩიჩი სოლერი 80), მარკოსი, ენგონგა (ნოვო 61), ფინიდი, ლუკე (ლეო ბიაჯინი 63), ეტოო
მწვრთნელი: ლუის არაგონესი
რეალი: კასილიასი, სალგადო, რობერტო კარლოსი, იერო, კარანკა (მუნიტისი 65), მაკელელე, ელგერა, მაკმანამანი (სავიო 65), ფიგუ, რაული, მორიენტესი (გუტი 65)
მწვრთნელი: ვისენტე დელ ბოსკე
გაფრთხილება: სალგადო, იერო, რაული
23 000 მაყურებელი

**ნუმანსია 1:1 ბარსელონა**

0:1 კლუივერტი (31), 1:1 რუბენ ნავარო (62)
ნუმანსია: ნუნიესი, პაჩეტა, სორია, ანტია, მანელი (როხუ 60), ნაგორე, ხოსე მანუელი, ოქტავიო, რუბენ ნავარო (მარინი 84), ივან პერესი (ოხედა 46), ინიაკი
მწვრთნელი: მარიანო გარსია რემონი
ბარსელონა: რეინა, ფ. დე ბური, რაიციგერი, გაბრი (ხერარდი 68), კოკუ, გვარდიოლა (ხავი 79), ლუის ენრიკე, პეტი, ოვერმარსი (დანი 79), რივალდო, კლუივერტი
მწვრთნელი: ლორენს სერა ფერერი
გაფრთხილება: გვარდიოლა, ანტია, ოქტავიო, ოხედა
10 000 მაყურებელი

**ლას პალმასი 2:0 დეპორტივო**

1:0 ხოსიკო (4), 2:0 ალვარო (44)
ლას პალმასი: ნაჩო გონსალესი, ოლიასი, პაკუი, ალვარო, ხორხე (ელოი 85), სემვისი, ხოსიკო (რამონი 80), ედუ ალონსო, ტურდო, გიარე, ანხელი
მწვრთნელი: სერჯიო კრესიჩი
დეპორტივო: სონგო, პაპდუელა, რომერო (მაკაი 55), პელდერი (ემერსონი 54), ნაიბეტი, მანუელ პაბლო, ვიქტორი, ვალერონი (ტურუ ფლორესი 78), დონატო, პანდიანი, დიეგო ტრისტანი
მწვრთნელი: ხავიერ ირურეტა
გაფრთხილება: ნაიბეტი, პელდერი, პაკუი, ედუ ალონსო, გიარე, დონატო, ემერსონი
20 000 მაყურებელი

**სელტა 3:2 ვალენსია**

0:1 ხუან სანჩესი (30), 1:1, 2:1, 3:1 კარპინი (50პ, 59პ, 66), 3:2 ვაგნერი (88ს.კ.)
კილი გონსალესმა ვერ გაიტანა პენალტი (90, მეკარე)
სელტა: კავალიერო, იაგო (ხუანფრანი 46), ბერიზო, კასერესი,ველასკო, ხაიო, მოსტოვოი (ჯორა 73), კარპინი, გუსტავო ლოპესი (ედუ 46), კატანია, ვაგნერი
მწვრთნელი: ვიქტორ ფერნანდესი
ვალენსია: კანისარესი, ალბელდა (ილიე 64), პელეგრინო, ჯუკიჩი, აიალა, ვისენტე, ბარახა, ანგულო, კარეუ (დიეგო ალონსო 69), ხუან სანჩესი, კილი გონსალესი
მწვრთნელი: ექტორ რაულ კუპერი
გაფრთხილება: მოსტოვოი, კარეუ, ალბელდა, ჯუკიჩი, კანისარესი, ანგულო, კატანია, კასერესი, ხაიო, ვაგნერი
გაძევება: ვაგნერი (90)
22 000 მაყურებელი

**რაიო ვალეკანო 0:2 ოვიედო**

0:1 დანჯუ (6), 0:2 ოლი (65)
რაიო ვალეკანო: კელერი, დე კინტანა (ბოლო 27), ურბანო, ბალესტეროსი, ალკასარი, სემპრანოსი, მიჩელი, პელდერი (ივან იგლესიასი 47), პოშნერი, გლაუჩიო (ბარტელტი 63), ბოლიჩი
მწვრთნელი: ხუანდე რამოსი
ოვიედო: ესტებანი, ონოპკო, რაბარივონი, ბორისი, დანჯუ, ივან ანია (ივო 88), ამიევა, ხაიმე კეიტა, პაუნოვიჩი (ხუან გონსალესი 86), ოლი (რუბენი 80)
მწვრთნელი: რადომირ ანტიჩი
გაფრთხილება: ბორისი, რაბარივონი, ურბანო
5 000 მაყურებელი

**სარაგოსა 2:2 ბილბაო**

1:0 ჟამელი (17), 1:1 ტიკო (19), 2:1 ესნაიდერი (28), 2:2 ურსაისი (74)
სარაგოსა: ხუანმი, პაბლო, პაკო ხიმესი, აგუადო, მარტინ ველისკა (ფერონი 83), გურენკო, აკუნია, ხოსე იგნასიო, ჟამელი (იორდი 80), ესნაიდერი, მონტენეგრო (გარიტანო 72)
მწვრთნელი: ლუის კოსტა
ბილბაო: ლაფუენტე, ფელიპე, ლარასაბალი, რიოსი, ი. ლარაინსარი (იესტე 60), ორბაისი, ტიკო, ალკისა, ოსკარ ვალესი, ურსაისი (ესკურო 76), ხ. ეჩებერია (კარლოს მერინო 60)
მწვრთნელი: ფრანსისკო ჩიჩო როხო
გაფრთხილება: ლარაინსარი, პაბლო, ურსაისი, ტიკო, ფელიპე
23 000 მაყურებელი

**ესპანიოლი 1:0 ვალიადოლიდი**

1:0 ტამუდო (79)
ესპანიოლი: მორა, როტჩენი, ლოპო, არტეაგა (მორალესი 57), ნან რიბერა (ივან დიასი 57), გალკა, სერხიო, როხერი, ნავასი, ტამუდო, სერანო (მარტინ პოსე 52)
მწვრთნელი: ფრანსისკო პაკო ფლორესი
ვალიადოლიდი: ბიზარი, მარკოსი, პენია, სანტამარია, ტორეს გომესი, ფერნანდო, ფერნანდო სალესი, ეუსებიო (აროლდ ლოზანო 59), ტურიელი, კამინერო, ალბერტო (პაჩონი 65)
მწვრთნელი: ფრანსისკო ფერარო
გაფრთხილება: პენია, სანტამარია, ნავასი, მორალესი, ტამუდო
15 300 მაყურებელი

**ოსასუნა 3:3 მალაგა**

0:1 რუფეტე (21), 0:2 დელი ვალდესი (32), 1:2 ალექსი (34), 2:2 განკედო (71), 3:2 ივან როსადო (76), 3:3 ზარატე (90)
ოსასუნა: ნუნო, იბან პერესი, აიტორ ოკიო (ხოსე 70), კრუჩაგა, ალფრედო, ლორენსი (ტრუჩაკი 52), განკედო, ალექსი, ალფონსო, ივან როსადო, არმენტანო (ლეკუმბერი 79)
მწვრთნელი: მიგელ ანხელ ლოტინა
მალაგა: კონტრერასი, როტეტა, ფერნანდო სანსი, დ. ლარაინსარი (მარტინ რივასი 57), როხასი, სანდრო (ისნატა 78), დე ლოს სანტოსი, მუზილია (ზარატე 78), რუფეტე, დარიო სილვა, დელი ვალდესი
მწვრთნელი: ხოაკინ პეირო ლუკასი
გაფრთხილება: ალექსი, არმენტანო, რუფეტე, დარიო სილვა, მარტინ რივასი
17 862 მაყურებელი

**ვილიარეალი 4:2 რასინგი**

1:0 კანია (10), 2:0 ხორხე ლოპესი (36), 3:0 პალერმო (52), 4:0 კრაიოვეანუ (73), 4:1 მაგალანესი (75), 4:2 მაცონი (88)
ვილიარეალი: ლოპეს ვალეხო, კიკე ალვარესი, არუაბარენა, ბერუე, ხავი როკა, კანია (კრაიოვეანუ 72), ხავი გარსია, ამორი (მარიოს ზელეტო 76), ვიქტორი, ხორხე ლოპესი, პალერმო (მოიზესი 66)
მწვრთნელი: ვიქტორ მანრიკე
რასინგი: სებალიოსი, ხუანმა, არსენო, რამისი, მელბერგი, რეგუერო (მაგალანესი 63), მაცონი, ისმაელი, კოლსა (ამავისკა 46), ვიგარ დორადო, მამბარონი (ესპინოზა 46)
მწვრთნელი: გრეგორიო მანსანო
გაფრთხილება: კიკე ალვარესი, არსენო, ამორი, ხავი როკა, რამისი
15 000 მაყურებელი

ბასკურ უქმეებზე ესპანელ მორაგბეთა ბასკმა უფროსმა ენრიკე როლდანმა დიდად აქო ქართველი მორაგბენი. ბასკმა ტერორისტებმა ორგან ბომბი ააფეთქეს, ხოლო ბასკურ დერბიში მეტოქენი მშვიდობიანად გაიყარნენ.




სელტა — ვალენსია 3:2. ყმაწვილი ვალენსიელი ვისენტე (№4) ხუან ველასკოს შეჩერებას ცდილობს

**ჯონ ტოშაკმა** „ალავესთან“ მატჩში არც სანსებასტიანელთა ლიტველი ბომბარდირი ედგარას იანკაუსკასი ათამაშა და არც ქართველი გიორგი დემეტრაძე. უესლსელს სეზონში რვა გოლის გამტანი ლიტველი სათადარიგოდ ჰყავდა, ხოლო ჩვენებური განაცხადშიც არ შეუყვანია.

საქმე ისე აეწყო, რომ „სოსიედადს“ შინ 14 იანვრის მერე აღარ წაუგია და არც ახლა დამარცხდა, მაგრამა „ალავესთან“ ფრემ ბასკებს საშუალება არ მისცა „ნუმანსიას“ დასწეოდნენ. არადა, მეჩვიდმეტე ადგილი მათ ჰაერივით სჭირდებათ, რაკი მეთვრამეტე სეგუნდა დივიზიონში გავარდნას ნიშნავს.

დღევანდელი მიმოხილვა „სოსიედადით“ დემეტრაძის გამო დავიწყეთ, თორემ ესპანეთში ისეთი ამბები დატრიალდა, „სოსიედადი“ რა სახსენებელია.

„რეალმა“ წააგო, „ვალენსიამ“ წააგო, „დეპორტივომ“ წააგო, „ბარსელონა“ ფრესლა გამორჩა — მეტი რა უნდა მომხდარიყო?!

თანამიმდევრობით რომ მივყვეთ, პირველად ფეხი „დეპორტივოს“ გადაუბრუნდა. ლაკორუნიელებს შუა კვირაში მილანიდან გამოყოლილი გადაღლილობა ეტყობოდათ და ორჯერვე სტანდარტული სიტუაციის გათამაშებისას შეცდნენ. მათ კარში პირველი გოლი ლასპალმასელი ვისენტ სემვისის ჩაწოდებულ კუთხურს მოჰყვა. სტუმრებმა საჯარიმოში ჩაკიდებული ბურთი უხერხულად მოიგერიეს და დამატებაზე ხოსე მორენო ხოსიკომ ივარგა. ეს მატჩის დასაწყისშივე მოხდა, ტაიმის მიწურულს კი იმავე სემვისის კუთხურს მასპინძელთა ბრაზილიელმა ალვარომ მეორეც მიაყოლა. სამი ქულის მოხვეჭამ „ლას პალმასს“ ხასიათიც გამოუკეთა — კუნძულელებს აქამდე ზედიზედ ხუთი თამაში ვერ მოეგოთ. თუმცა ერთი გამარჯვება რაა, როცა თამაშამდე 24 საათით ადრე „ლას პალმასის“ ბედი ბეწვზე ეკიდა. ვალებში ჩაფლულ და მეპეტრონეებისგან დალალატებულ კანარელებს გაკოტრება და აქედან გამომდინარე, გაუქმება ელოდათ. არადა, გადასარჩენად ბევრიც არ სჭირდებოდათ, 12.4 მილიონი დოლარი — საფეხბურთო მასშტაბებით არცთუ დიდი თანხა.

ხსნა ზედ „დეპორტივოსთან“ მატჩის წინ მოვიდა. კლუბის აქციები ვიღაც ფულიანმა ძიებმა იყიდეს და ფეხბურთელებიც დაამშვიდეს, ცივ ნიავს არ მოგაკარებთო. ესენიც ადგნენ და მოიგეს.

„დეპორტივოს“ მარცხით, უპირველესად, „რეალს“ უნდა ესარგებლა — უახლოეს მდევართან ხუთქულიანი სხვაობის რვამდე გაზრდა ხუმრობა როდია. მაგრამ „მალიორკა“? ეს ის გუნდია, რომელმაც ერთადერთმა შეძლო „რეალის“ „სანტიაგო ბერნაბეუზე“ დამარცხება, ხოლო წინა ტურებში „დეპორტივოსა“ და „ბარსელონას“ ოთხი ქულა აართვა.

მერვე წუთზე რაულმა გაიტანა, მაგრამ მსაჯმა საკმაოდ საკამათო თამაშგარე შენიშნა. მადრიდელები გაბრაზდნენ და კიდევ რამდენიმე უაღრესად სახიფათო მომენტი შექმნეს.

შესვენებამდე ექვსი წუთით ადრე ტომით კატალონიელმა ალბერტო ლუკემ იკერ კასილიასს პირველი გოლი გაუტანა და თამაშმაც სახე იცვალა. უკვე „მალიორკა“ გადაბარგდა მეტოქის ნახევარზე და საფინალო სასტვენამდე ასე გაგრძელდა. თუმცა გვარიანი უპირატესობა მასპინძლებმა გოლად ვერ აქციეს და იმ ერთით დაკმაყოფილდნენ. ორი დიდებული მომენტი გააფუჭა ძველმა რეალელმა სამუელ ეტოომ.

ასე რომ, თუ „რეალი“ ჩემპიონი გახდა, „მალიორკა“ ერთადერთი გუნდი იქნება, რომელსაც ის ორჯერვე ჰყავს დამარცხებული (თეორიულად იმავეს გაკეთება „ნუმანსიასაც“ შეუძლია, მაგრამ ნაკლებ სავარაუდოა).

მატჩის შემდეგ ვისენტე დელ ბოსკემ მასპინძელთა გამარჯვების სრულიანობა აღიარა, არაფერი მეთქმის, „მალიორკამ“ ჩვენზე ბევრად უკეთესად ითამაშაო.

„მალიორკა“ — „რეალის“ პარალელურად, „ბარსელონამ“ სორიაში იბრძოლა და გამარჯვებასთან ახლოსაც იყო. 32-წუთზე პატრიკ კლუივერტმა მეკარეს ბურთი თავზე გადაუგდო და მასპინძელთა ნაკლებად სახიფათო იერიშების ფონზე ეს გოლი საკმარისი უნდა ყოფილიყო. მაგრამ ერთ მომენტში რუბენ ნავარომ ივაჟკაცა (ან ფრანკ დე ბურმა და ხოსეპ გვარდიოლამ ვერ ივარგეს) და ანგარიშიც გათანაბრდა.

დრო კიდევ საკმარისი იყო და „ბარსელონაც“ გააფთრებით უტევდა, თუმცა უგოლო შეტევას, აბა, რა ფასი აქვს.

როცა ვალენსიელები მინდორზე გავიდნენ, სხვა თამაშების შედეგები უკვე იცოდნენ. მოიგებდნენ და „ბარსელონასთან“ სხვაობას ექვს ქულამდე გაზრდიდნენ, „დეპორტივოსაც“ მეორე ადგილს ჩამოართმევდნენ.

ხუან სანჩესის გოლმა „ვალენსიას“ მიზანი რეალური გახადა და შესვენებაზე კუპერის გუნდი მშვენიერ ხასიათზე გავიდა. არადა, ჯობდა, ფრთხილად ყოფილიყვნენ. ცხრაწუთიან მონაკვეთში ორმა გაუფრთხილებელმა მოქმედებამ მსაჯს მათ კარში ორი პენალტი დაანიშნინა, რომელიც ვალერი კარპინმა გოლებად აქცია. დაბნეულ სტუმრებს რუსმა ექვს წუთში მესამეც შეუგდო და „ვალენსიას“ ოცნებას წყალი შეუყენა.

და მაინც, „ვალენსიას“ ვიგოდან ქულის წაღება შეეძლო. 89-ე წუთზე ვაგნერის ავტოგოლმა და წუთის შემდეგ გაძევებამ სტუმრები გაახელა, მასპინძელთა საჯარიმოს მიაჯაჭვა და შედეგმაც არ დააყოვნა: მეხუთე წამატებულ წუთზე მაურისიო პელეგრინოს წაქცევისთვის პენალტი დაინიშნა. ბურთთან არგენტინელი კილი გონსალესი მივიდა, რომელიც ერთ წამში მატჩის გმირი უნდა გამხდარიყო, მაგრამ ბედმა სხვაგვარად ინება — მეორე არგენტინელს, მეკარე პაბლო კავალიეროს თერთმეტმეტრიანი აალებინა და გმირობაც მას უბოძა.

**გიორგი დარჯანია**

### ბომბარდირები

| | |
|---|---|
| ხავი მორენო (ალავესი) | 18 |
| რივალდო (ბარსელონა) | 16 |
| რაული (რეალი) | 16 |
| კლუივერტი (ბარსელონა) | 13 |
| დელი ვალდესი (მალაგა) | 13 |
| დიეგო ტრისტანი (დეპორტივო) | 12 |
| კატანია (სელტა) | 12 |

### XXVIII ტური

1 აპრილი

ოვიედო — ალავესი
ვალიადოლიდი — რაიო ვალეკანო
ვალენსია — ესპანიოლი
მალაგა — სელტა
ბილბაო — ოსასუნა
რასინგი — სარაგოსა
დეპორტივო — ვილიარეალი
ბარსელონა — ლას პალმასი
რეალი — ნუმანსია
მალიორკა — სოსიედადი

| | სულ | | | | | | | შინ | | | | | | | სტუმრად | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| № | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ |
| 1 რეალი | 27 | 17 | 5 | 5 | 60:30 | 30 | 56 | 13 | 11 | 1 | 1 | 38:11 | 27 | 34 | 14 | 6 | 4 | 4 | 22:19 | 3 | 22 |
| 2 დეპორტივო | 27 | 15 | 6 | 6 | 52:31 | 21 | 51 | 13 | 10 | 3 | 0 | 30:7 | 23 | 33 | 14 | 5 | 3 | 6 | 22:24 | -2 | 18 |
| 3 ვალენსია | 27 | 14 | 7 | 6 | 43:21 | 22 | 49 | 14 | 11 | 1 | 2 | 27:6 | 21 | 34 | 13 | 3 | 6 | 4 | 16:15 | 1 | 15 |
| 4 ბარსელონა | 27 | 13 | 7 | 7 | 55:38 | 17 | 46 | 13 | 9 | 2 | 2 | 34:14 | 20 | 29 | 14 | 4 | 5 | 5 | 21:24 | -3 | 17 |
| 5 მალიორკა | 27 | 12 | 9 | 6 | 37:33 | 4 | 45 | 13 | 9 | 3 | 1 | 23:14 | 9 | 30 | 14 | 3 | 6 | 5 | 14:19 | -5 | 15 |
| 6 ვილიარეალი | 27 | 12 | 6 | 9 | 38:32 | 6 | 42 | 13 | 6 | 4 | 3 | 18:15 | 3 | 22 | 14 | 6 | 2 | 6 | 20:17 | 3 | 20 |
| 7 ალავესი | 27 | 11 | 6 | 10 | 39:34 | 5 | 39 | 14 | 8 | 2 | 4 | 22:14 | 8 | 26 | 13 | 3 | 4 | 6 | 17:20 | -3 | 13 |
| 8 მალაგა | 27 | 11 | 5 | 11 | 44:42 | 2 | 38 | 14 | 8 | 3 | 3 | 25:16 | 9 | 27 | 13 | 3 | 2 | 8 | 19:26 | -7 | 11 |
| 9 სელტა | 27 | 10 | 8 | 9 | 35:38 | -3 | 38 | 14 | 7 | 6 | 1 | 22:14 | 8 | 27 | 13 | 3 | 2 | 8 | 13:24 | -11 | 11 |
| 10 ესპანიოლი | 27 | 10 | 6 | 11 | 34:30 | 4 | 36 | 14 | 7 | 2 | 5 | 18:11 | 7 | 23 | 13 | 3 | 4 | 6 | 16:19 | -3 | 13 |
| 11 ბილბაო | 27 | 9 | 9 | 9 | 36:39 | -3 | 36 | 13 | 8 | 3 | 2 | 27:16 | 11 | 27 | 14 | 1 | 6 | 7 | 9:23 | -14 | 9 |
| 12 ლას პალმასი | 27 | 10 | 5 | 12 | 28:43 | -15 | 35 | 13 | 7 | 2 | 4 | 14:16 | -2 | 23 | 14 | 3 | 3 | 8 | 14:27 | -13 | 12 |
| 13 რაიო ვალეკანო | 27 | 8 | 10 | 9 | 45:46 | -1 | 34 | 14 | 6 | 5 | 3 | 25:16 | 9 | 23 | 13 | 2 | 5 | 6 | 20:30 | -10 | 11 |
| 14 სარაგოსა | 27 | 7 | 11 | 9 | 38:39 | -1 | 32 | 13 | 6 | 6 | 1 | 31:16 | 15 | 24 | 14 | 1 | 5 | 8 | 7:23 | -16 | 8 |
| 15 ვალიადოლიდი | 27 | 7 | 11 | 9 | 30:32 | -2 | 32 | 14 | 7 | 6 | 1 | 19:9 | 10 | 27 | 13 | 0 | 5 | 8 | 11:23 | -12 | 5 |
| 16 ოვიედო | 27 | 9 | 4 | 14 | 35:48 | -13 | 31 | 14 | 8 | 3 | 3 | 31:20 | 11 | 27 | 13 | 1 | 1 | 11 | 4:28 | -24 | 4 |
| 17 ნუმანსია | 27 | 7 | 6 | 14 | 27:46 | -19 | 27 | 13 | 5 | 4 | 4 | 15:15 | 0 | 19 | 14 | 2 | 2 | 10 | 12:31 | -19 | 8 |
| 18 სოსიედადი | 27 | 6 | 7 | 14 | 29:55 | -26 | 25 | 14 | 3 | 6 | 5 | 17:25 | -8 | 15 | 13 | 3 | 1 | 9 | 12:30 | -18 | 10 |
| 19 ოსასუნა | 27 | 5 | 9 | 13 | 30:43 | -13 | 24 | 14 | 3 | 6 | 5 | 17:20 | -3 | 15 | 13 | 2 | 3 | 8 | 13:23 | -10 | 9 |
| 20 რასინგი | 27 | 6 | 5 | 16 | 32:47 | -15 | 23 | 13 | 6 | 3 | 4 | 21:18 | 3 | 21 | 14 | 0 | 2 | 12 | 11:29 | -18 | 2 |

## მეორე დივიზიონი

### XXIX ტური

**ბადახოსი 0:0 კორდობა**

**ელჩე 2:1 ატლეტიკო**

1:0 ბენია (31), 1:1 სალვა (59), 2:1 სერბანი (46)

**ხეტაფე 0:1 სევილია**

0:1 კასკერო (45)

**ლევანტე 2:0 სალამანკა**

1:0, 2:0 კასერესი (50, 58)

**ბეტისი 0:2 ტენერიფე**

0:1 ლუის გარსია (30), 0:2 მიხტა (85)

**კომპოსტელა 3:2 ესტრემადურა**

1:0 ხოსე კარლოსი (7), 1:1 კარანკა (19), 1:2 აგანსო (64), 2:2 რუბენი (66), 3:2 ხუანიტო (78)

**ალბასეტე 0:0 ლეგანესი**

**სპორტინგი 1:2 ლეიდა**

0:1 ფრანი (20), 1:1 ალბერტო (71), 1:2 ფრანი (84)

**უელვა 4:1 მურსია**

0:1 ლორეტო (7), 1:1 დავიდი (22), 2:1 კამაჩო (69), 3:1 ბოდიპო (81), 4:1 ბენიტესი (88)

**ხაენი 1:0 ეიბარი**

1:0 პეპელუ (93)

**ფეროლი 1:2 უნივერსიდადი**

0:1 ალექსისი (41პ), 1:1 მანელი (67), 1:2 ჯონათანი (90)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სევილია | 29 | 16 | 7 | 6 | 44:26 | 55 |
| ტენერიფე | 29 | 15 | 8 | 6 | 44:22 | 53 |
| ბეტისი | 29 | 13 | 10 | 6 | 28:20 | 49 |
| უელვა | 29 | 11 | 14 | 4 | 33:19 | 47 |
| სალამანკა | 29 | 14 | 5 | 10 | 34:30 | 47 |
| ალბასეტე | 29 | 12 | 10 | 7 | 29:24 | 46 |
| ატლეტიკო | 29 | 12 | 9 | 8 | 41:30 | 45 |
| ლევანტე | 29 | 9 | 14 | 6 | 35:29 | 41 |
| ეიბარი | 29 | 9 | 13 | 7 | 22:18 | 40 |
| სპორტინგი | 29 | 10 | 10 | 9 | 35:32 | 40 |
| ბადახოსი | 29 | 8 | 16 | 5 | 25:23 | 40 |
| მურსია | 29 | 10 | 9 | 10 | 42:39 | 39 |
| კორდობა | 29 | 9 | 10 | 10 | 25:27 | 37 |
| ესტრემადურა | 29 | 10 | 6 | 13 | 29:35 | 36 |
| ხაენი | 29 | 8 | 10 | 11 | 16:28 | 34 |
| ლეგანესი | 29 | 6 | 15 | 8 | 35:32 | 33 |
| ელჩე | 29 | 7 | 12 | 10 | 30:37 | 33 |
| ფეროლი | 29 | 8 | 7 | 14 | 31:37 | 31 |
| კომპოსტელა | 29 | 7 | 7 | 15 | 27:51 | 28 |
| ხეტაფე | 29 | 6 | 8 | 15 | 28:43 | 26 |
| უნივერსიდადი | 29 | 3 | 14 | 12 | 21:38 | 23 |
| ლეიდა | 29 | 4 | 10 | 15 | 25:39 | 22 |

## იტალია

### XXIII ტური

### მილანი 4:0 ბარი

1:0 კოკო (7), 2:0 შევჩენკო (45პ), 3:0 სერჯინიო (79), 4:0 შევჩენკო (90)
მილანი: ს. როსი, ჰელვეგი, კოსტაკურტა, მალდინი, კოკო (შამოტი 32), გატუზო, ალბერტინი, ძაპპაძი, სერჯინიო (კომანდინი 88), შევჩენკო, ბირჰოფი (ხოსე მარი 61)
მწვრთნელი: ჩეზარე მალდინი
ბარი: ჟილე, ინოჩენტი, ნეგროუზი, მაცარელი, ბელავისტა (მასინგა 54), დ. ანდერსონი, მარკიჩი, მ. მარკოლინი (პეროტა 46), საიდი, პოჯი (კასანო 21), ოსმანოვსკი
მწვრთნელი: ეუჯენიო ფასკეტი
გაფრთხილება: ნეგროუზი, საიდი
45 000 მაყურებელი

### ლაციო 4:1 იუვენტუსი

1:0 ნედვედი (22), 2:0 კრესპო (46), 2:1 დელ პიერო (60), 3:1 ნედვედი (66), 4:1 კრესპო (82)
ლაციო: პერუცი, კოლონეზე (პანკარო 42), ნესტა, ნეგრო, პანკარო, პობორსკი (კასტრომანი 80), დ. ბაჯო, ხ. ვერონი (სტანკოვიჩი 76), სიმეონე, ნედვედი, კრესპო
მწვრთნელი: დინო ძოფი
იუვენტუსი: ვან დერ სარი, ბირინდელი, ტუდორი, მონტერო, პესოტო, კონტე (ძამბროტა 46), ტაკინარდი (ოლივე 68), დავიდსი, ზიდანი, ფ. ინძაგი (ტრეზეგე 46), დელ პიერო
მწვრთნელი: კარლო ანჩელოტი
გაფრთხილება: პანკარო, პობორსკი, დავიდსი
გაძევება: დავიდსი (59), ტრეზეგე (88)
65 000 მაყურებელი

### რეჯინა 0:0 რომა

რეჯინა: ტაიბი, ჯირანევი, ვარგასი, კანეირა, ვოკარი, ძანკეტა (რ. ვერონი 71), ბრევი, მამედე (მოცარტი 83), მორაბიტო (ბერნინი 55), კოცა, დიონიჯი
მწვრთნელი: ნევიო ორლანდი (თანაშემწე)
რომა: ანტონიოლი, ალდაირი, სამუელი, ძაგო, კაფუ, ტომაზი (ასუნსაო 82), ემერსონი, კანდელა, ტოტი, მონტელა, დელვეკიო (გიგუ 53; კ. ძანეტი 69)
მწვრთნელი: ფაბიო კაპელო
გაფრთხილება: სამუელი, მორაბიტო, მამედე, კაფუ, ტოტი
25 872 მაყურებელი

### უდინეზე 1:3 პარმა

0:1 დი ვაიო (14), 1:1 ფიორე (57პ), 1:2, 1:3 ამოროზო (69პ, 81)
უდინეზე: დე სანქტისი, ძამბონი, სოტილი, ბერტოტო, ალბერტო (ვალემი 69), ჯანიკედა, ჯულვა, პისტააროდი (მარკოტა 30), ფიორე, იოერგენსენი (მაჩადინი 63), სოსა
მწვრთნელი: ლუჯი დე კანიო
პარმა: ბუფონი, ტურამი, ტორიზი, ფ. კანავარო, სარტორი, ბოლანო, ფუზერი (აპია 46), ჟუნიორი, მიკუ, მბომა, დი ვაიო (ამოროზო 46)
მწვრთნელი: რენცო ულივიერი
გაფრთხილება: სოტილი, ბოლანო
18 000 მაყურებელი

### ფიორენტინა 1:1 ბოლონია

0:1 ჩიპრიანი (14), 1:1 მიატოვიჩი (53)
ფიორენტინა: ტოლდო, რეპკა, ადანი, პიერინი, დი ლივიო, ლასისა, კ. ამორუზო (როსიტო 68), განძი (მარკო როსი 37), რუი კოშტა, კიეზა, ლეანდრო (მიატოვიჩი 53)
მწვრთნელი: რობერტო მანჩინი
ბოლონია: პალიუკა, გამბერინი, პალილინი, კასტელინი, ბრიოსკი, მარქსი (პაჩენტინი 61), ლაშა, ნერვო, ლოკატელი (ოლივე 73), ჩიპრიანი, სინორი
მწვრთნელი: ფრანჩესკო გვიდოლინი
გაფრთხილება: ოლივე, რუი კოშტა
32 000 მაყურებელი

### ლეჩე 1:2 ინტერი

0:1 რეკობა (27), 1:1 პიანჯერელი (46), 1:2 რეკობა (59)
ლეჩე: კიმენტი, დაინელი (ოსორიო 65), ვიალი, ანჯუსკიწ, სალვერი, ჯორჯეტი, პიანჯერელი, ტონეტო, კოლონელო (მატო 75), ვუკოინევი (ვაზარი 46), კ. ლუკარელი
მწვრთნელი: ალბერტო კავაზინი
ინტერი: ფერონ, ხ. ძანეტი, ბლანი, კორდობა, სერენა, ბროკი (გრესკო 74), იუგოვიჩი, დი ბიაჯო, დალმა (კოუ 87), რეკობა, ჰაქან შუქური (ფერანტე 59)
მწვრთნელი: მარკო ტარდელი
გაფრთხილება: პიანჯერელი, იუგოვიჩი, ბროკი
28 337 მაყურებელი

# თებერვალი დადგაო...


REUTERS ფოტოები

ლაციო — იუვენტუსი 4:1. აი, ვინ მოსრა „იუვე": ერნან კრესპო და პაველ ნედვედი (№18)

### ნაპოლი 0:0 პერუჯა

ნაპოლი: ფონტანა, ბალდინი, კიროგა, ტრიოზე, ბაჩიჩი (მორიერო 79), მაგონი (იანკულოვსკი 68), ხუსაინი, პინედა, ედმუნდო, ნ. ამორუზო, ბელუჩი (პეკაი 59)
მწვრთნელი: ემილიანო მონდონიკო
პერუჯა: ტარდიოლი, რივალტა, მატერაცი, დი ლორენტო, ზე მარია, ჯოვანი ტედესკო (გინაზე 83), ლივერანი, ბაიოკო, პიერი (სოლიანო 88), ვრიზასი, საუდატი (ანი 68)
მწვრთნელი: სერსე კოზმი
გაფრთხილება: ხუსაინი, ედმუნდო, ბაჩიჩი, ლივერანი
გაძევება: იანკულოვსკი (89)
30 000 მაყურებელი

### ვერონა 1:0 ვიჩენცა

1:0 ბონაცოლი (56)
ვერონა: ფერონი, ოდო, ლაურსენი, გონელა, ტეოდორანი, კამორანეზი, ჯ. კოლუჩი (მელისი 85), ლ. კოლუჩი, სალვეტი, ბონაცოლი (კოსატო 68), მუტუ (იტალიანო 79)
მწვრთნელი: ატილიო პეროტი
ვიჩენცა: სტერკელე, დალ კანტო (ბეგეტო 87), ტომაზი, ძანჩი, კარდონე, სომეზე, კოვარი, დაბო, ძაული (ბრენჩიჩი 62), კალონი, ტონი (მ. ქვაპონზიტო 67)
მწვრთნელი: ედუარდო რეია
გაფრთხილება: კოვარი, ძანჩი, კოსატო, ბონაცოლი
15 669 მაყურებელი

### ბრეშა 0:3 ატალანტა

0:1 განცი (11), 0:2 მორფეო (45), 0:3 განცი (63)
ბრეშა: სრნიჩევი, გალი, ბელორი, ბონერა, დაინა (კ. ქვაპონზიტო 83), ბიზოლი, ილანა (ტარე 46), ბაჯიო (კოზმინსკი 76), პირლო, რ. ბაჯო, უბნერი
მწვრთნელი: კარლო მაცონე
ატალანტა: პელიცოლი, სიგილია, პაგანინი (ლორენცი 88), კარერა, კ. ძენონი, ბერეტა, დ. ძენონი, ძაური, განცი (ნაპი 80), მორფეო, ვენტოლა (დონატი 84)
მწვრთნელი: ჯოვანი ვავასორი
გაფრთხილება: გალი, დ. ძენონი, დაინა, პირლო
6 500 მაყურებელი

„ლაციომ" ცხრაკაცა „იუვენტუსს" 4:1 მოუგო. ამით, ერთი, რომ ტიტულის დასაცავად — დიდი ჩამორჩენის მიუხედავად — წინ ნაბიჯი გადადგა და მეორეც, თავისი მტერთა-მტერი, „რომა" ამოასუნთქა. დღეს, 23 ტურის შემდეგ, „რომას" მინუს „იუვენტუსი" უდრის შვიდს. აქამდე ექვსს უდრიდა. აი, „რომას" სტუმრად, „რეჯინასთან" რომ მოეგო, მაშინ სხვაობა კიდევ უფრო მეტი, ცხრა ქულა იქნებოდა.

მაგრამ, ფაბიო კაპელოს სამწუხაროდ, მისმა ფეხბურთელებმა სრულად ვერ ისარგებლეს ტურინელთა პირველი დამარცხებით ბოლო ექვს ტურში. წინა შვიდი შეხვედრის მსგავსად ახლაც, რომ გაემარჯვათ...

და რადგანაც ამდენი რიცხვი ვახსენეთ, ბარემ ერთიც დავამატოთ: „ლაციოს" „იუვენტუსთან" ასეთი ანგარიშით ბოლო ექვსი წელიწადია არ მოუგია.

„სტადიო ოლიმპიკოზე" ტურინელთა კარში გოლები ორმა კაცმა გაიტანა, ჩეხმა პაველ ნედვედმა და არგენტინელმა ერნან კრესპომ — თითოშ ორი. ნედვედმა ანგარიში გახსნა — კრესპოს აწონ-დაწონილ დაბალ პასს შორეულ ძელთან ჩაუსაფრდა და კარში დაუმიზნა, ხოლო კრესპომ, შესვენების შემდეგ, პირველივე შეტევა დაასრულა გოლით.

ანგარიშის მიუხედავად, „იუვენტუსი" დამარცხებული არ ჩანდა, ბურთს აკონტროლებდა და ვინ იცის, რას იზამდა, 58-ე წუთზე ჰოლანდიელი ნახევარმცველი და ნახევარგუნდი ედგარ დავიდსი რომ არ გაეძევებინათ. დავიდსი პიერლუიჯი კოლინას პირველ ტაიმში ნედვედის წინააღმდეგ უხეშობის გამო უკვე ჰყავდა გაფრთხილებული, ხოლო 58-ზე, როდესაც ჰოლანდიელმა, მოედნის ცენტრში დიეგო სიმეონესაც უთავაზა, მსაჯმა უკიდურესი ზომა მიიღო. თუმცა... თავად ფეხბურთელი (მაყურებლის დიდი ნაწილიც) მომენტების შეფასებაში კოლინას არ დაეთანხმა, რაც მოედნიდან გასვლისას ბურთის მოსროლით და ცრემლით გამოხატა.

გაძევებიდან ერთ წუთში ალესანდრო დელ პიერომ სხვაობა შეამცირა — ჩახვეულ დარტყმათა უბადლო ოსტატმა ანჯელო პერუცის ბურთი „ცხრიანში" ჩაუჭედა.

მაგრამ გამოხდა კიდევ ექვსი წუთი და „ბებერი ქალბატონის" საჯარიმოში ნედვედ-კრესპოს მორიგი კომბინაცია დატრიალდა — ბოლო დარტყმა ნედვედისა იყო — 3:1.

კრესპომ კი თავისი მეორე გოლი 81-ე წუთზე შეაგდო, მორიგი იუვენტუსელის, ფრანგი დავიდ ტრეზეგეს გაძევებამდე ცოტა ხნით ადრე. ტრეზეგე პაოლო ნეგროზე ზურგსუკნიდან თავდასხმისთვის დაისაჯა.

ამრიგად, ნაახალწლევს მწვრთნელად დინო ძოფის დანიშვნის შემდეგ, „ლაციომ" 11 შეხვედრიდან ცხრა მოიგო, ხოლო „იუვეს" ერთ შეხვედრაში ოთხი გოლი 1998 წლის თებერვლის შემდეგ არ გაუშვია. საგულისხმოა, რომ იმ ოთხიდან სამი ისევ და ისევ კრესპომ გაიტანა: „პარმა" — „იუვენტუსი" 4:2. ხოლო რაკი თებერვალი ვახსენეთ, ისიც დავძინოთ, რომ მიმდინარე ჩემპიონატში ტურინელებს 11 თებერვლის შემდეგ არ გაუშვიათ გოლი.

ამასობაში კი, „რომამ", როგორც მოგახსენეთ, ზედიზედ შვიდი გამარჯვების შემდეგ, კალაბრიაში, ერთობ სუსტ „რეჯინასთან" ველარ მოიგო. გოლის გატანა ერთ მოწინააღმდეგესაც შეეძლო და მეორესაც.

„პარმამ" უდინეში იყოჩაღა, თუმცა „უდინეზეს" წინააღმდეგ აგერ უკვე ზედიზედ მეოთხე გუნდი ყოჩაღობს. „პარმა" მარკო დი ვაიომ დააწინაურა — მეორე თამაშში მეხუთედ შეაგდო — შემდეგ იტალიის ნაკრების წევრმა, სტეფანო ფიორემ გაათანაბრა პენალტით, მაგრამ ყოფილმა უდინელმა მარსიო ამოროზომ სამ წუთში ისევ „პარმა" გაიყვანა წინ — ესეც პენალტი გახლდათ, საკუთრივ ამოროზოს წაქცევის გამო დანიშნული.

თამაშის დამთავრებამდე ცხრა წუთით ადრე კი ამოროზომ მესამე და სამართალიც შეაგდო.

„ფიორენტინამ" „ბოლონიას" უმასპინძლა და სეზონის მეთერთმეტე ფრე ითამაშა, თუმცა საამისოდ ანგარიშის გათანაბრება მოუხდა — ბრაზილიელი ლიმას პასით ჯაკომო ჩიპრიანიმ თავურით გოლი მე-13 წუთზევე გაიტანა. გაქვითვა კი იუგოსლაველ პრედრაგ მიატოვიჩს ელოდა. ის თავიდან სათადარიგოთა სკამზე იჯდა, შემდეგ კი მოედანზე შევიდა და მეორე ტაიმის მე-9 წუთზე, ასხლეტილს ახლო მანძილიდან დაამატა.

აი, „ინტერმა" კი უნდა იმღეროს გამარჯვების გზებზე ვდგებიო, ალვარო რეკობამ ორი გოლი შეაგდო „ლეჩეს" კარში და მართალია მასპინძლებმა ერთით უპასუხეს, მილანელებმა სეზონში მეოთხე სტუმრული სამი ქულა იზეიმეს.

**ბაჩუნა ძიძია**



კარლო ანჩელოტი რომაელებმა ყურებამდე გააწითლეს

| | სულ | | | | | | | შინ | | | | | | | სტუმრად | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| № | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ |
| 1 რომა | 23 | 17 | 4 | 2 | 44:17 | 27 | 55 | 11 | 9 | 2 | 0 | 21:7 | 14 | 29 | 12 | 8 | 2 | 2 | 23:10 | 13 | 26 |
| 2 იუვენტუსი | 23 | 14 | 6 | 3 | 40:19 | 21 | 48 | 11 | 8 | 2 | 1 | 22:7 | 15 | 26 | 12 | 6 | 4 | 2 | 18:12 | 6 | 22 |
| 3 ლაციო | 23 | 14 | 4 | 5 | 44:26 | 18 | 46 | 12 | 8 | 2 | 2 | 25:11 | 14 | 26 | 11 | 6 | 2 | 3 | 19:15 | 4 | 20 |
| 4 პარმა | 23 | 11 | 6 | 6 | 38:21 | 17 | 39 | 12 | 7 | 2 | 3 | 24:9 | 15 | 23 | 11 | 4 | 4 | 3 | 14:12 | 2 | 16 |
| 5 ატალანტა | 23 | 9 | 9 | 5 | 28:19 | 9 | 36 | 12 | 4 | 6 | 2 | 12:8 | 4 | 18 | 11 | 5 | 3 | 3 | 16:11 | 5 | 18 |
| 6 ინტერი | 23 | 9 | 7 | 7 | 29:26 | 3 | 34 | 11 | 6 | 4 | 1 | 16:8 | 8 | 22 | 12 | 3 | 3 | 6 | 13:18 | -5 | 12 |
| 7 მილანი | 23 | 8 | 9 | 6 | 37:35 | 2 | 33 | 12 | 6 | 5 | 1 | 28:17 | 11 | 23 | 11 | 2 | 4 | 5 | 9:18 | -9 | 10 |
| 8 ბოლონია | 23 | 9 | 5 | 9 | 29:29 | 0 | 32 | 12 | 7 | 2 | 3 | 15:11 | 4 | 23 | 11 | 2 | 3 | 6 | 14:18 | -4 | 9 |
| 9 პერუჯა | 23 | 8 | 7 | 8 | 28:30 | -2 | 31 | 12 | 5 | 4 | 3 | 17:12 | 5 | 19 | 11 | 3 | 3 | 5 | 11:18 | -7 | 12 |
| 10 ფიორენტინა | 23 | 6 | 11 | 6 | 37:33 | 4 | 29 | 11 | 5 | 3 | 3 | 22:17 | 5 | 18 | 12 | 1 | 8 | 3 | 15:16 | -1 | 11 |
| 11 ლეჩე | 23 | 7 | 8 | 8 | 29:35 | -6 | 29 | 12 | 5 | 4 | 3 | 19:19 | 0 | 19 | 11 | 2 | 4 | 5 | 10:16 | -6 | 10 |
| 12 უდინეზე | 23 | 9 | 1 | 13 | 36:40 | -4 | 28 | 12 | 6 | 0 | 6 | 24:21 | 3 | 18 | 11 | 3 | 1 | 7 | 12:19 | -7 | 10 |
| 13 ვერონა | 23 | 6 | 6 | 11 | 28:41 | -13 | 24 | 11 | 6 | 3 | 2 | 17:15 | 2 | 21 | 12 | 0 | 3 | 9 | 11:26 | -15 | 3 |
| 14 ვიჩენცა | 23 | 6 | 5 | 12 | 22:34 | -12 | 23 | 11 | 4 | 3 | 4 | 12:13 | -1 | 15 | 12 | 2 | 2 | 8 | 10:21 | -11 | 8 |
| 15 ნაპოლი | 23 | 5 | 7 | 11 | 23:35 | -12 | 22 | 12 | 4 | 4 | 4 | 15:15 | 0 | 16 | 11 | 1 | 3 | 7 | 8:20 | -12 | 6 |
| 16 ბრეშა | 23 | 4 | 9 | 10 | 25:35 | -10 | 21 | 11 | 2 | 6 | 3 | 11:14 | -3 | 12 | 12 | 2 | 3 | 7 | 14:21 | -7 | 9 |
| 17 რეჯინა | 23 | 5 | 4 | 14 | 17:36 | -19 | 19 | 11 | 4 | 3 | 4 | 8:12 | -4 | 15 | 12 | 1 | 1 | 10 | 9:24 | -15 | 4 |
| 18 ბარი | 23 | 4 | 4 | 15 | 18:41 | -23 | 16 | 11 | 4 | 1 | 6 | 12:16 | -4 | 13 | 12 | 0 | 3 | 9 | 6:25 | -19 | 3 |

### ბომბარდირები

| | |
|---|---|
| შევჩენკო (მილანი) | 17 |
| კრესპო (ლაციო) | 16 |
| ბატისტუტა (რომა) | 14 |
| უბნერი (ბრეშა) | 13 |
| კიეზა (ფიორენტინა) | 12 |
| ლუკარელი (ლეჩე) | 11 |

### XXIV ტური

31 მარტი
ბარი — ლეჩე
ვიჩენცა — ფიორენტინა
1 აპრილი
პარმა — ბოლონია
იუვენტუსი — ბრეშა
პერუჯა — ინტერი
მილანი — ლაციო
ატალანტა — ნაპოლი
რეჯინა — უდინეზე
რომა — ვერონა

## სერია B

### XXVII ტური

### ტრევიზო 0:1 ვენეცია

0:1 მანიერო (24)

### ტორინო 1:0 პიაჩენცა

1:0 ასტა (84)

### სალერნიტანა 0:0 ტერნანა

### რავენა 0:2 ემპოლი

0:1 დი ნატალე (65), 0:2 მაკარონე (71)

### ჯენოა 0:0 პესკარა

### კროტონე 1:0 პისტოიეზე

1:0 რეგი (55)

### ჩიტადელა 0:1 მონცა

0:1 ფლორიო (72)

### კალიარი 1:1 სამპდორია

0:1 ფლაკო (21), 1:1 კამარატა (86)

### ანკონა 5:2 კიევო

1:0 პარენტე (5), 1:1 კორადი (7), 2:1 მ. ვიერი (17), 2:2 კორადი (31), 3:2 მ. ვიერი (36), 4:2 ფაგო (91), 5:2 მ. ვიერი (93)

### სიენა — კოზენცა

მატჩი გვიან დამთავრდა (იხ. მეორე გვერდზე) და მისი შედეგი ცხრილში შეტანილი არაა

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| კიევო | 27 | 15 | 7 | 5 | 39:25 | 52 |
| ტორინო | 27 | 15 | 4 | 8 | 32:26 | 49 |
| ვენეცია | 27 | 12 | 11 | 4 | 41:30 | 47 |
| სამპდორია | 27 | 11 | 12 | 4 | 38:23 | 45 |
| პიაჩენცა | 27 | 13 | 6 | 8 | 32:19 | 45 |
| კროტონე | 27 | 13 | 5 | 9 | 37:37 | 44 |
| ტერნანა | 27 | 11 | 10 | 6 | 39:26 | 43 |
| კოზენცა | 26 | 12 | 7 | 7 | 31:27 | 43 |
| ანკონა | 27 | 11 | 7 | 9 | 37:32 | 40 |
| ემპოლი | 27 | 11 | 6 | 10 | 30:31 | 39 |
| კალიარი | 27 | 9 | 11 | 7 | 38:26 | 38 |
| სიენა | 26 | 7 | 11 | 8 | 29:31 | 32 |
| ჩიტადელა | 27 | 7 | 10 | 10 | 29:39 | 31 |
| სალერნიტანა | 27 | 7 | 9 | 11 | 23:26 | 30 |
| პისტოიეზე | 27 | 7 | 7 | 13 | 32:37 | 28 |
| ჯენოა | 27 | 5 | 12 | 10 | 25:31 | 27 |
| ტრევიზო | 27 | 6 | 8 | 13 | 26:37 | 26 |
| მონცა | 27 | 7 | 3 | 17 | 28:52 | 24 |
| პესკარა | 27 | 3 | 12 | 12 | 21:33 | 21 |
| რავენა | 27 | 2 | 12 | 13 | 21:40 | 18 |

## სერია C1A

27-ე ტური: [illegible] — [illegible] 1:1; [illegible] — [illegible] 0:0; [illegible] — [illegible] 1:0; [illegible] — [illegible] 1:0; [illegible] — [illegible] 1:0; [illegible] — [illegible] 2:0; [illegible] — [illegible] 0:0; [illegible] — [illegible] 1:0

## სერია C1B

27-ე ტური: [illegible] — [illegible] 0:1; [illegible] — [illegible] 0:0; [illegible] — [illegible] 2:1; [illegible] — [illegible] 0:1; [illegible] — [illegible] 2:1; [illegible] — [illegible] 1:1; [illegible] — [illegible] 2:1; [illegible] — [illegible] 0:0; [illegible] — [illegible] 1:2

იტალიის ჩემპიონატი
ოცდამესამე ტურის მატჩი

მილანი 4:0 ბარი

კახა კალაძე: 90 წუთი

# პატივი ვცეთ ბიჭებს

„მილანმა“ „ბარის“ ოთხი უპასუხო გოლი შეუგდო. ეს გახლდათ ჩეზარე მალდინის დებიუტი ალბერტო ძაკერონის გადადგომის შემდეგ სეზონის ჩამამთავრებლის თანამდებობაზე. მწვრთნელმა ამ დებიუტში ექსპერტებისგან 7 ქულა მიიღო, ფეხბურთელები კი ასე შეაფასეს:

როსი 6,5; ჰელვეგი 7; კოსტაკურტა 6,5; მალდინი 7; კოკო 6,5; (შამოტი 6,5); გატუზო 5,5; ალბერტინი 6; კალაძე 6; სერჟინიო 7 (კომანდინი სულ ორი წუთით შევიდა), ბირჰოფი 5,5 (ხოსე მარი 5); შევჩენკო 6,5

აღსანიშნავია, რომ მილანელთაგან პირველ ტაიმში დაშავდა კოკო, რომელიც ცოტა ხნის წინ იტალიის ნაკრების მწვრთნელმა, ჯოვანი ტრაპატონიმ „სკუადრა ძურაში“ იხმო, ოღონდ, უიღბლო კოკოს ტრაპატონის ნაცვლად პროფესორ ფერეტისთან უწევს წასვლა.

მატჩის შემდგომ ჩეზარე მალდინიმ თქვა: „დღეს ძალიან კარგად ვითამაშეთ. მთავარი იყო მივმხვდარიყავით იმ ნიუანსებს, რომელთა გათვალისწინებით გაცილებით ურისკოდ შეიძლება თამაში. მე თუ მკითხავთ, გუნდში ბევრი ნიჭიერი მცველია და ამიტომ არ მესმოდა, რატომ უშვებდა აქამდე გუნდი მარტივ შეცდომებს. ახლა, ვფიქრობ, სწორი მიმართულებით გადავდგით ნაბიჯი. მართალია, წინ დიდი სამუშაო გველის, მაგრამ ახლა სანაკრებო მატჩები ახლოვდება და ამ „ფანჯრის“ დროს ბევრი რაღაცის სწავლა შეიძლება. კიდევ კარგი რამდენიმე ფეხბურთელი გამომიჯანმრთელდა. ერთი სიტყვით, დაცვაში სანერვიულო არაფერი მაქვს, „ბარისთან“ ყველამ კარგად ითამაშა. კოკოს ტრავმის გამო შესულმა შამოტმაც კი. ვცდილობდით, მოწინააღმდეგისთვის ბევრი არაფერი დაგვეთმო. ნახევარდაცვაში კი ბევრი რამ არის გამოსასწორებელი. ერთადერთი გამთამაშებელი ალბერტინია. სხვებს კი უფრო შეტევაზე უჭირავთ თვალი.

მატჩამდე ერთობ შეფიქრიანებული გახლდით, რადგან გუნდში მიმდინარე პროცესებზე ბევრი არაფერი ვიცოდი. წინა კვირაში ვიხილე, როგორ გავარდა „მილანი“ ჩემპიონთა ლიგიდან და ვეჭვობდი, რომ ბიჭები დემორალიზებულნი იქნებოდნენ, მაგრამ, საბედნიეროდ, მათ ღირსების აღდგენის დიდი სურვილი აქვთ. ჩემს წინადადებებს ისინი სრულიად გამოეხმაურნენ და ამისთვის პატივისცემის ღირსნი არიან.

და ბოლოს, ბევრს ლაპარაკობენ შევჩენკოზე, რომელიც ჩვენი ერთ-ერთი წამყვანი ფეხბურთელი გახლავთ. აშკარაა, ამ ბიჭს თავისი სტილი აქვს და ჩვენ ყველა ღონეს ვხმარობთ, რათა მოედანზე მოხერხებული პირობები შევუქმნათ, მაგრამ თავადაც უნდა ისწავლოს სხვანაირად თამაშის ზოგიერთი ხერხი“.

სერჟინიო: „დღეს მთელი გუნდი ჩინებული იყო. მე ისეთ პოზიციაზე მათამაშეს, შეტევის ფართო საშუალებას რომ მაძლევდა, ხოლო დაცვა ნაკლებად მეხებოდა. იმედი მაქვს, ასეც გაგრძელდება. რამდენი ხანია ასე ლაღად და თავდაჯერებით აღარ გვითამაშია“.

შევჩენკო: „ბედნიერი ვარ. ჩემპიონთა ლიგიდან გავარდნის შემდეგ გამარჯვება ძალიან გვჭირდებოდა. ასე კარგად თამაშის შემდეგ უკრაინის ნაკრებში მხარგამართული წავალ, ხოლო, რომ დავბრუნდები „ლაციოს“ შევხვდებით...“


REUTERS მონაცემები

სტუმარი რამდენიმე ნეაპოლელთან კახა კალაძის გაჩერებას ამაოდ ცდილობს

## გაფრთხილება

საქართველოში სიგარეტის წევის შედეგად ყოველწლიურად 10-12 ათასი ადამიანი იღუპება, მსოფლიოში 3-4 მილიონი

დაარქვით სიგარეტს სახელი, გადააგდეთ შხამი!

თამბაქოს საწინააღმდეგო პროგრამის ცენტრი

დამატებითი ინფორმაციისა და უფასო კონსულტაციისთვის 38-84-44

## ავსტრია

26-ე ტურის რაპიდი — შტურმი 0:0; ბრეგენცი — ლინცერი 1:2; გრაცერი — ზალცბურგი 1:4; რიდი — ადმირა 0:1; ტიროლი — ავსტრია 1:2

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ტიროლი | 26 | 13 | 7 | 6 | 48:25 | 46 |
| რაპიდი | 26 | 13 | 7 | 6 | 48:29 | 46 |
| ავსტრია | 26 | 12 | 6 | 8 | 38:24 | 42 |
| გრაცერი | 26 | 11 | 6 | 9 | 35:30 | 39 |
| შტურმი | 26 | 11 | 5 | 10 | 41:33 | 38 |
| ზალცბურგი | 26 | 10 | 8 | 8 | 36:32 | 38 |
| რიდი | 26 | 9 | 6 | 11 | 37:38 | 33 |
| ბრეგენცი | 26 | 7 | 5 | 14 | 32:52 | 26 |
| ადმირა | 26 | 6 | 7 | 13 | 22:53 | 25 |
| ლინცერი | 26 | 5 | 9 | 12 | 28:49 | 24 |

# ხეირი ზიანისგან

## საფრანგეთი

XXIX ტური

**ბორდო 2:0 პარი სენ ჟერმენი**
1:0 დიუგარი (41), 2:0 ვერელი (61)

**ტულუზი 0:2 ლილი**
0:1 სტერიოვსკი (8), 0:2 ეკერი (90)

**ნანტი 4:1 სედანი**
1:0 კაპრონი (13ა.კ.), 1:1 ნდიეფი (58), 2:1 მოლდოვანი (61), 3:1 მონტერუბიო (71), 4:1 ოლემბე (86)

**ოსერი 0:3 ლიონი**
0:1, 0:2 ანდერსონი (16, 66პ), 0:3 გოვუ (83)

**მონაკო 4:3 ტრუა**
1:0 რადუჩოიუ (2), 2:0 პრსო (15), 2:1 ბუტალი (24), 2:2 გუსე (46), 3:2 პანუჩი (79), 4:2 გალთარდო (87), 4:3 ნიანგი (90)

**გენგამი 1:6 რენი**
0:1 დელიე (10), 0:2 ლუკასი (15), 0:3 ეშუაფნი (33), 1:3 ფიორეზე (48), 1:4 დელიე (54), 1:5 შაბუი (65), 1:6 არიბაგე (83)

**სენტ ეტიენი 2:1 ბასტია**
1:0 პედრონი (32), 2:0 ალექსი (79), 2:1 ნე (81)

**მარსელი 0:0 სტრასბური**

**ლანსი 1:1 მეცი**
1:0 ფუერტესი (28), 1:1 ბატიკლი (31)

**საფრანგეთის** ჩემპიონატის დასრულებამდე ხუთი ტურით ადრე ჩემპიონობისთვის ბრძოლას, ფაქტობრივად, ოთხი გუნდიღა შემორჩა. მეხუთე, „სედანი“, ნანტში დამარცხდა და ახლა ლიდერებს ექვსი ქულით ჩამორჩება. ასე რომ, მათი დაწევის შანსი თითქმის აღარ აქვს.

„ნანტს“ ერთი საათი დასჭირდა მოწინააღმდეგის გასატეხად. რუმინელი მოლდოვანის გოლის შემდეგ კი მასპინძლებმა აღმაფრენით ითამაშეს და საბოლოოდ 4:1 მოიგეს. თავიდან ნანტელებს ეგონათ, ეგაა და მეტოქეს იოლად ვაჯობებთო, როცა უკვე მე-13 წუთზე გახსნეს ანგარიში. ამაში მათ „სედანის“ მცველი კაპრონიც მოეხმარა, რომელმაც და როშას ჩაწოდება საკუთარ კარში ჩაჭრა. ამის მერე ლიდერებს თამაშის გაკონტროლება არ უნდა გასჭირვებოდათ, რადგან სტუმრები გაშვებულმა გოლმა დააბნია კიდეც. მოლდოვანს კიდევ ორჯერ შეეძლო თავის გამოჩენა, მაგრამ მისი დარტყმების შემდეგ, 24-ე წუთზე, ბურთი ძელმა მოიგერია, 30-ე წუთზე კი — „სედანის“ მეკარე საშიმ.

ოთხი წუთის შემდეგ უკვე და როშას აჯობა ძელმა და „ნანტიც“ შედარებით დამშვიდდა. ჭექა-ქუხილმა გადაიარაო და სტუმრებმაც ხელი გამოიღეს. მათ რამდენჯერმე მწვავედ შეუტიეს და მეორე ტაიმში ნდიეფის გოლიც ლოგიკურიც იყო. ანგარიშის გათანაბრებამ მასპინძლები გამოაღვიძა და მოლდოვანმაც მყის დააწინაურა თავისიანები ზიანის მშვენიერი პასის შემდეგ. ათი წუთის მერე რუმინელმა მონტერუბიოს გოლშიც დაიდო წილი, მატჩის მიწურულს კი ოლემბეს სოლო რეიდმა საბოლოო წერტილი დასვა.

პირველი ადგილი მაინც „ლილმა“ შეინარჩუნა ბურთების უკეთესი შეფარდების წყალობით. ლილელებმა ბოლო ექვსი მატჩიდან მეხუთე მოიგეს (ფრე 1:1 „ნანტთან“) და „ტულუზიც“ უფრო მიუახლოვეს მეორე დივიზიონს. თუმცა თავიდან სამხრეთელები უკეთ გამოიყურებოდნენ და ჩრდილოელთა კარის დარაჯ გრეგორი ვიმბეს უკვე მე-2 წუთზე მოუხდა თავისი ოსტატობის ჩვენება. მან კოლუმბიელ ვიქტორ ბონილიას არ გაატანინა. ოღონდ, ბურთი მასპინძელთა საჯარიმოში ჩააწოდა, სადაც სტერიოვსკიმ ოდარს ლამაზი გოლი გაუტანა.

ტულუზელებს ანგარიშის გასათანაბრებლად ცდა და ძალა არ დაუკლიათ. მათ პირველ ტაიმში ორი საგოლე მომენტი შექმნეს. ჯერ ბალდეს თავურის შემდეგ ბურთი ძელმა და ხარიზამ ერთდროულად მოიგერია, 36-ე წუთზე კი ბონილიას ისევ ვიმბემ აჯობა. ტაიმის მიწურულს მასპინძელთა მთავარმა მწვრთნელმა რობერ ნუზარემ თავდასხმაში ერთ კოლუმბიელს მეორეც მიახმარა, მაგრამ კონგო ბონილიასავით სახიფათო ფორვარდი არ ყოფილა. „ტულუზი“ მეორე ტაიმშიც ბევრს უტევდა, მაგრამ ვერაფერს გახდა გუნდთან, რომელსაც ჩემპიონატში საუკეთესო დაცვა ჰყავს. ვიმბეს კართან ჯარიმებსა და კუთხურებს ვერ დათვლიდით, თუმცა გოლი მაინც საპირისპირო კარში გავიდა — მსაჯის მიერ წამატებულ დროში ჯონი ეკერის მიერ შესრულებული საჯარიმო დარტყმის შემდეგ ბურთს ცოცხალმა კედელმა მიმართულება შეუცვალა და ოდარიც მეორედ გაწბილდა.

შაბათს, სტუმრადვე მოიგო ოქროს მედლებისთვის მებრძოლმა კიდევ ერთმა გუნდმა. „ლიონმა“ „ოსერს“ მისსავე „აბატი დეშანის“ სტადიონზე სამი უპასუხო გოლი გაუტანა. მთელი 90 წუთის მანძილზე მატჩის სადავეები „ლიონს“ ეპყრა ხელთ და გამარჯვება წამითაც არ დაუყენებია ეჭვქვეშ. ანგარიში ბრაზილიელმა სონი ანდერსონმა გახსნა. მან მარცხენა ფლანგზე მალბრანკის პასი მიიღო, ცენტრისკენ გადაინაცვლა და კულის ჯობნაც არ გასჭირვებია. მეორე ტაიმში ანდერსონმა დუბლი შეასრულა, როცა გოვუსთან უხეშობისთვის ჟორესი მსაჯმა პენალტით დასაჯა. ოსერელებს ერთის გატანა მაინც უნდოდათ და მთელი ძალები შეტევაში გადაისროლეს, მაგრამ მიუხედავად იმისა, რომ სისეს და ჟენშანს საგოლე მომენტები ჰქონდათ, მასპინძლებმა ანგარიშში სხვაობის შემცირება მაინც ვერ მოახერხეს. მეტიც, 83-ე წუთზე გოვუმ მათ მესამე გოლიც გაუტანა და დიდი ანგარიშით მარცხიც აგემა.

„ბორდო“ დედაქალაქის „პარი სენ ჟერმენს“ კვირას ეთამაშებოდა და დიუგარისა და ვერელის გოლების წყალობით შინ უქულოდაც გაისტუმრა. ამ გამარჯვებით ჟირონდელებმა ჩემპიონობის შანსი შეინარჩუნეს. ერთ-ერთი მთავარი მატჩი მათ 6 აპრილს ელით ლილში, მანამდე კი...

„სხვათა შედეგები ვიცოდით და შეცდომის უფლება არ გვქონდა. რომ არ გაგვემარჯვა, ფაქტობრივად, პირველობის იმედიც გადაგვეწურებოდა“ — თქვა მასპინძელთა ვიცე-კაპიტანმა ფრანსუა გრენემ.

„ლიდერებისთვის კიდევ უფრო წინ წასვლის საშუალება არ უნდა მიგვეცა. ახლა ვეცდებით, ლილში პატარა სენსაცია მოვახდინოთ“ — ეს კი მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონ კრისტოფ დიუგარის სიტყვებია, რომელიც საფრანგეთის ჩემპიონი ჯერ არასოდეს გამხდარა.

საინტერესოა, რომ მატჩამდე პარიზელთა მთავარი მწვრთნელი ლუის ფერნანდესი აცხადებდა, პსჟ-ს დარჩენილი ექვსივე მატჩის მოგება ძალუძს და უეფას თასის საგზურისთვისაც ვიბრძოლებთო, მაგრამ „ბორდომ“ ტრაბახა პარიზელს ცივი წყალი გადაასხა და მის გუნდს ინტერტოტოს საგზურიც სანატრელი გაუხადა.

აქამდე „რენს“ გენგამში „რუდურუს“ სტადიონზე ერთი გოლიც ვერ გაეტანა, ახლა კი აიწყვიტა და ერთბაშად ექვსი შეაგდო. ამ მოგებამ ბრეტონელები გათამაშების ცხრილში ოთხი საფეხურით აღაზევა და სტუმრად ყველაზე შედეგიანი გუნდის სახელიც დაუნარჩუნა (7 მოგება). ისე, ხანდახან შინ ქულების აღებაც არ გვაწყენდაო, იხუმრა მატჩის შემდეგ რენელთა მთავარმა მწვრთნელმა პოლ ლე გუენმა.

შვიდი გოლი გავიდა მონაკოშიც, სადაც სათავადოს გუნდმა „ტრუას“ უმასპინძლა და გაჭირვებით გაიმარჯვა (4:3).


REUTERS მონაცემები

ლანსი — მეცი 1:1. ესტებან ფუერტესმა ფარიდ მონდრაგონს ბურთი გადაავლო და ანგარიშიც გაიხსნა

ამიტომაც 29-ე ტური წლევანდელ ჩემპიონატში ყველაზე უხვგოლიანი გამოდგა (31 გოლი) და რომ არა მეცელი ჟერალდ ბატიკლის მიერ ლანსში გაცუდებული თერთმეტმეტრიანი...

### ბაბი ბურთი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ლილი | 29 | 15 | 8 | 6 | 35:19 | 53 |
| ნანტი | 29 | 16 | 5 | 8 | 49:34 | 53 |
| ლიონი | 29 | 12 | 13 | 4 | 42:25 | 49 |
| ბორდო | 29 | 13 | 10 | 6 | 40:25 | 49 |
| სედანი | 29 | 13 | 8 | 8 | 39:31 | 47 |
| რენი | 29 | 12 | 6 | 11 | 39:31 | 42 |
| ტრუა | 29 | 11 | 9 | 9 | 42:43 | 42 |
| გენგამი | 29 | 11 | 8 | 10 | 34:38 | 41 |
| ოსერი | 29 | 11 | 7 | 11 | 30:34 | 40 |
| ბასტია | 29 | 11 | 6 | 12 | 36:34 | 39 |
| მონაკო | 29 | 11 | 5 | 13 | 45:42 | 38 |
| პარი სენ ჟერმენი | 29 | 10 | 6 | 13 | 36:39 | 36 |
| ლანსი | 29 | 8 | 10 | 11 | 31:32 | 34 |
| მარსელი | 29 | 9 | 6 | 14 | 26:34 | 33 |
| მეცი | 28 | 7 | 10 | 11 | 28:39 | 31 |
| სენტ ეტიენი | 29 | 9 | 7 | 13 | 37:47 | 27 |
| ტულუზი | 29 | 5 | 10 | 14 | 26:41 | 25 |
| სტრასბური | 28 | 5 | 8 | 15 | 24:51 | 23 |

„სენტ ეტიენს“ დაკლებული აქვს 7 ქულა

### ბომბარდირები

| | |
|---|---|
| სონი ანდერსონი (ლიონი) | 16 |
| ვიქტორ ბონილია (ტულუზი) | 14 |
| პედრო პაულეტა (ბორდო) | 14 |
| ფრედერიკ ნე (ბასტია) | 13 |

### მეორე დივიზიონი

მე-31-ე ტური: ბოვე — კაენი 0:1; კრეტეი — მარტიგი 0:0; გენიონი — ანჟერი 2:0; ლავალი — კანი 2:1; ლე ავრი — ლე მანი 3:0; ნიცა — შატორუ 1:4; ნიმი — ნიორი 2:1; ნანსი — აიაჩო 2:0; ლორიანი — მონპელიე 2:1; ვალანსიენი — სოშო 1:1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სოშო | 31 | 17 | 10 | 4 | 52:21 | 61 |
| ლორიანი | 31 | 16 | 10 | 5 | 44:27 | 58 |
| მონპელიე | 31 | 15 | 12 | 4 | 40:21 | 57 |
| ნანსი | 31 | 15 | 8 | 8 | 44:23 | 53 |
| ლავალი | 31 | 15 | 7 | 9 | 37:30 | 52 |
| ნიორი | 31 | 12 | 12 | 7 | 47:34 | 48 |
| შატორუ | 29 | 11 | 11 | 7 | 39:27 | 44 |
| ნიმი | 31 | 11 | 10 | 10 | 43:43 | 43 |
| ლე ავრი | 30 | 9 | 13 | 8 | 38:34 | 40 |
| გენიონი | 30 | 10 | 9 | 11 | 30:36 | 39 |
| ბოვე | 31 | 8 | 12 | 11 | 30:35 | 36 |
| კაენი | 31 | 9 | 9 | 13 | 30:45 | 36 |
| ვალანსიენი | 31 | 8 | 11 | 12 | 29:33 | 35 |
| კრეტეი | 31 | 8 | 11 | 12 | 28:32 | 35 |
| ლე მანი | 31 | 7 | 14 | 10 | 29:37 | 35 |
| აიაჩო | 31 | 9 | 8 | 14 | 22:32 | 35 |
| ნიცა | 31 | 10 | 4 | 17 | 32:48 | 34 |
| მარტიგი | 31 | 6 | 14 | 11 | 25:38 | 32 |
| კანი | 31 | 6 | 10 | 15 | 35:51 | 28 |
| ანჟერი | 31 | 4 | 9 | 18 | 27:54 | 21 |

### თასის მოთამაშეების ნახევარფინალი

ნანტი — ამიენი; გრენობლი — ტრუა; სტრასბური — ლიონი

მატჩები გაიმართება 31 მარტს



REUTERS

# ჰეთთრიქიანი ჰენრიკ ლარსონი

## შოტლანდია

### ლიგის თასის ფინალი

### სელტიკი 3:0 კილმარნოკი

1:0, 2:0, 3:0 ლარსონი (47, 74, 81)

სელტიკი: გოულდი, მალბი, ვეგა, ვალგაერენი, პეტროვი, ლენონი, ლამბერტი, მორავჩიკი (სმიტი 82), ჰეტა (კრეინი 12; ბოიდი 88), ლარსონი, სატონი

მწვრთნელი: მარტინ ონილი

კილმარნოკი: მარშალი, ინსი, მაკგოუენი, დინდელო (კანერო 72), მაკლარსონი, მაჰუდი, მიტჩი, დიურანი (რეილი 38), ჰეი, კოკარი (მაკლარენი 52), დარგო

გაძევება: სატონი (60)

48 830 მაყურებელი

**მორჩა**, დამთავრდა — წლევანდელ სქოთურ სეზონში თითქმის ყველაფერი გაირკვა, ერთის გარდა: მოიპოვებს თუ არა „სელტიკი" ქვეყნის თასს, საკითხავი, აი, ესაა.

ჩემპიონი რახანია ცნობილია, შაბათს მეორეადგილოსნობა და აქედან გამომდინარე, ჩემპიონთა ლიგის მეორე საგზურიც, ფაქტობრივად, „რეინჯერსმა" გაინაღდა, ხოლო თუ ვინ გახდება ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირი და ქვეყნის საუკეთესო ფეხბურთელი, ამას, აბა, რა კითხვა უნდა.

შვედმა ჰენრიკ ლარსონმა კვირას მორიგი ჰეთ თრიქი შეასრულა და თავისი „სელტიკის" სასეზონო ჰეთ თრიქს ჩაუყარა საფუძველი — თუ ამან ქვეყნის თასიც მოიპოვა, სამივე სამამულო ჯილდო მას დარჩება, ასეთი რამ კი გლაზგოს კათოლიკური საზოგადოების უსაყვარლეს გუნდს 1969 წლის მერე აღარ ღირსებია.

მაშინ, შორეულ 60-იანებში, „სელტიკს" ლეგენდარული ჯოკ სტეინი წვრთნიდა და ათეულობით ადგილობრივ ტურნირს რომ თავი ვანებოთ, ოდენ გლაზგოელი ბიჭებით დაკომპლექტებულ გუნდს 1967 წელს თვით ჩემპიონთა თასიც მოაგებინა. „ის უდიდესი მწვრთნელი გახლდათ. მას რომ გავუტოლდე, მეტად და მეტად დიდი გზა მაქვს გასავლელი" — ამბობს თანამედროვე „სელტიკის" წარმატებათა ირლანდიელი სულისჩამდგმელი მარტინ ონილი.

თავის ისტორიაში რიგით მეთორმეტე ლიგის თასი ონილის გუნდმა „ჰემპდენ პარკზე" მოიპოვა. „კილმარნოკმა" 47 წუთი გაძლო, მერე კი ლარსონმა აიშვა და სეზონის პირადი მონაგარი 47 გოლამდე გაზარდა, შვედმა ჯერ მეტოქის მცველთა მიერ მოგერიებული ბურთი შეარჭო გორდონ მარშალის კარში, მერე ლუბომირ მორავჩიკის ჩინებული პასი გარდასახა, ბოლოს კი საკუთარი ნახევრიდან მიზნამდე ისე მივიდა, პარტნიორთა დახმარება არ დასჭირვებია. „ნამდვილად ვეღარ ვიფიქრებდი, რომ შარშანდელი უმძიმესი ტრავმის მერე ამდენი გოლის გატანას მოვახერხებდი. თასის მოპოვება კი ნაღდად გადასარევი რამაა და არა აქვს მნიშვნელობა, რა ჰქვია ამ თასს" — თქვა მატჩის გმირმა კვირა საღამოს, ორშაბათს კი მთელი „სელტიკი" თავის თასიანად თავის ბულგარელ ნახევარმცველ სტილიან პეტროვს ესტუმრა — ამან გასულ ოთხშაბათს ფეხი მოიტეხა და ფინალის ყურება შინ, ტელევიზორშიღა მოახერხა. ტრავმის გამო არა, მაგრამ ერთიორ შეხვედრაში „სელტიკს" თავდამსხმელი კრის სატონიც დააკლდება, რადგან ინგლისელი გუშინწინდელი ფინალის მე-60 წუთზე გააძევეს, თუმცა, როგორც ნახეთ, ამას თამაშის მსვლელობაზე გავლენა არ მოუხდენია.

თუ „რეინჯერსის" მწვრთნელ დიკ ადვოკაატს დავუჯერებთ, გასული უქმეები მისი გუნდისთვისაც ჩინებული გამოდგა. ალბათ ასეცაა — თუ პროტესტანტთა დღევანდელ მდგომარეობას გავიხსენებთ, მეორე ადგილი მათთვის წლეულს ნამდვილად მიღწევა იქნება.

შაბათს „რეინჯერსი" 57 წუთის განმავლობაში ახლოს იდგა ერთ კვირაში ზედიზედ მესამე წაგებასთან, მაგრამ მილიონერებისგან დაკომპლექტებული გუნდი ორმა ჩვენთვის უცნობმა ფეხბურთელმა იხსნა: ჯერ „ფულემიდან" ხუთშაბათს ნათხოვარმა ფრანგმა ნახევარმცველმა ფაბრის ფერნანდესმა გაისროლა უზადოდ 22 მეტრიდან, ბოლოსწინა წუთზე კი 20 წლის მცველმა რობერტ მალკოლმმა გაუტანა შოტლანდიის ნაკრების ყოფილ მეკარე ენდი გორამს. ამასობაში რეინჯერთა მთავარმა მოცილე „ჰიბერნიანმა" დანფერმლაინში წააგო და ბოლოლა კონკურენტს უკვე ექვსი ქულით ჩამორჩა.

შუა კვირაში „რეინჯერსის" გამამწარებელმა „დანდიმ" ამჯერად შინ ვერაფერი მოუხერხა დედაქალაქის „ჰართსს", თუმცა კი 4-5 ჩინებული შესაძლებლობა ჰქონდა. „დღესაც რომ პირველივე მომენტი გოლად გვექცია, როგორც „აიბროქსზე" მოხდა, სამ ქულას მოვიპოვებდით, თუმცა უკმაყოფილო სულაც არ ვარ. ჩვენი თამაში დღითიდღე უკეთესი ხდება და ნახავთ, რომ მომავალ სეზონში გაცილებით ძლიერები ვიქნებით" — თქვა დანდელთა მწვრთნელმა ივანო ბონეტიმ.

მასპინძლები ედინბურგელთა ფინელმა გოლკიპერმა ნიემიმ არ გაახარა — სამჯერ ისეთი ბურთები მოიგერია, დამრტყმელები, მათ შორის ერთხელ გიორგი ნემსაძეც, სახტად დატოვა.

**ზიზა ძოწახიძე**

### XXXI ტური

**დანდი იუნ. 1:1 აბერდინი**

0:1 ვინტერი (12), 1:1 მილერი (40პ)

**დანფერმლაინი 2:1 ჰიბერნიანი**

1:0 კროუფორდი (29), 2:0 პემპერი (67), 2:1 მიურეი (87)

**მოზერუელი 1:2 რეინჯერსი**

1:0 გუდმენი (2), 1:1 ფერნანდესი (69), 1:2 მალკოლმი (89)

**სენტ მირენი 1:0 სენტ ჯონსტონი**

1:0 მაკგარი (28)

### გადადებული მატჩი

**დანდი 0:0 ჰართსი**

დანდი: როკატი, დელ რიო, სმიტი, კოინი, მაროკო, არტერო, ნემსაძე, რაე, გარიდო (კარანსა 49), კანიჟა, სარა (მილნი 83)

მწვრთნელი: ივანო ბონეტი

7 327 მაყურებელი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სელტიკი | 30 | 25 | 4 | 1 | 77:23 | 79 |
| რეინჯერსი | 30 | 21 | 3 | 6 | 58:28 | 66 |
| ჰიბერნიანი | 31 | 17 | 9 | 5 | 52:23 | 60 |
| კილმარნოკი | 30 | 13 | 6 | 11 | 34:39 | 45 |
| ჰართსი | 32 | 12 | 8 | 12 | 48:43 | 44 |
| დანფერმლაინი | 31 | 11 | 7 | 13 | 30:45 | 40 |
| დანდი | 31 | 10 | 8 | 13 | 42:37 | 38 |
| მოზერუელი | 31 | 10 | 6 | 15 | 36:45 | 36 |
| აბერდინი | 29 | 7 | 11 | 11 | 30:41 | 32 |
| სენტ ჯონსტონი | 30 | 7 | 10 | 13 | 30:44 | 31 |
| დანდი იუნ. | 30 | 4 | 7 | 19 | 26:53 | 19 |
| სენტ მირენი | 31 | 5 | 3 | 23 | 20:62 | 18 |



დანდი — ჰარტსი 0:0. კლოდიო კანიჟამ და დანდელებმა მოედანი უგოლოდ დატოვეს



ცსკა — კრილია 0:3. სამარელებმა არმიელები დედაქალაქში დაასამარეს

## რუსეთი

### II ტური

**ჩერნომორეცი 1:2 სპარტაკი**

0:1 კალინიჩენკო (37), 1:1 ტლისოვი (56), 1:2 ვ. ბულატოვი (86)

**ტორპედო 1:1 დინამო**

0:1 ბულიკინი (15), 1:1 გაშკინი (35პ)

**ალანია 0:1 ფაკელი**

0:1 ბოლტრუშევიჩი (6)

**ანჟი 1:1 სატურნი**

1:0 ბუდუნოვი (78), 1:1 ძამიხოვი (83)

**ლოკომოტივი 1:0 ტორპედო ზილ**

1:0 მამინოვი (44)

**ზენიტი 3:1 როსტსელმაში**

1:0 ტარახოვი (10), 2:0 ილენკო (15), 3:0 ტარახოვი (58), 3:1 ბუხმეიერი (69)

**სოკოლი 1:0 როტორი**

1:0 ფედკოვი (11პ)

**ცსკა 0:3 კრილია სოვეტოვი**

0:1 ტიხონოვი (14), 0:2 ანჯელო (47), 0:3 რ. ბულატოვი (52ს.გ.)

**მეორე** ტურის სენსაცია „კრილია სოვეტოვის" ცსკა-სთან მოგება გახლდათ. ალექსანდრ ტარხანოვის გუნდმა ზედიზედ მეორედ გაიმარჯვა მოსკოვში, წინა კვირას „დინამოსთან" და აი, ახლა არმიელებთან. აღმოჩნდა, რომ რუსეთის ჩემპიონატების ისტორიაში პროვინციულმა გუნდმა ასეთი რამ პირველად მოახერხა.

სამარელებმა დედაქალაქელები სამი უპასუხო ბურთით დაასამარეს. „კრილიას" ლიდერები ექს-სპარტაკელი ანდრეი ტიხონოვი და ბრაზილიელი შემტევი ანჯელო არიან. მათ სამივე გოლში მიიღეს მონაწილეობა. ტიხონოვმა ანგარიში სწორედ ანჯელოს გადაცემით გახსნა, მერე ტიხონოვის საჯარიმოს ბრაზილიელის გოლი მოჰყვა, მალევე ამათი კომბინაციით დაბნეულმა ბულატოვმა ბურთი საკუთარ კარში ჩაჭრა.

საინტერესოა, რომ პირველი მატჩისგან განსხვავებით, არმიელთა ფანები წყნარად იყვნენ. მხოლოდ მეორე გოლის შემდეგ გადმოაგდეს მინდორზე ორიოდ მაშხალა. ეს იყო და ეს. შეგახსენებთ, ერთი კვირის წინ ნოვოროსიისკში პოლიციამ ცსკას 30 ფანი დააკავა.

აი, ასე გახდა „კრილია" ლიდერი: „ეიფორიაში ნამდვილად არ ვარ, რადგან „სპარტაკში" მოგებებს მიჩვეული გახლდით. თუმცა, როცა კალენდარი ვნახე, ვიფიქრე, „დინამოსთან" და ცსკა-სთან ორი ქულა რომ აგვაღებინა კარგი იქნება-მეთქი. სინამდვილეში სამჯერ მეტი მოვიპოვეთ. წარმატებული სტარტი მომავალშიც ღირსეულად თამაშს გვავალდებულებს. სამარელი ქომაგი ხომ ჩვენგან მხოლოდ გამარჯვებას მოითხოვს" — თქვა მატჩის მერე ტიხონოვმა.

ცსკა კი ორი თამაშიდან არცერთი ქულითა და ხუთი გაშვებული ბურთით ფსკერზეა. ასეთს საშინელ სიზმარშიც ვერ წარმოვიდგენდიო — ამბობს არმიელთა მწვრთნელი პაველ სადირინი და განა ტყუის? სულ რაღაც ათი დღის წინ ხომ ცსკას ჩემპიონობის ერთ-ერთ კანდიდატად მიიჩნევდნენ...

წლევანდელ ჩემპიონატში პირველად მოიგეს შარშანდელმა ფავორიტებმა „სპარტაკმა" და „ლოკომოტივმა". სახალხო გუნდმა ნოვოროსიისკში „ჩერნომორეცს" სძლია, ხოლო „რკინიგზელებმა" დებიუტანტი „ტორპედო-ზილი" შესვენებამდე წუთით ადრე მამინოვის გოლით დაამარცხეს. ჯანაშია ბოლოსკენ შეცვალა პიმენოვმა. სხვათა შორის, ზაზა ერთადერთი ქართველი გამოდგა, რუსთა პირველობის მეორე ტურში მინდორზე რომ გავიდა.

ისევ წააგო „ალანიამ", ამჯერად შინ, „ფაკელთან": „ეს ყველაზე ცუდი მატჩი იყო იმათგან, ჩემი ხელმძღვანელობით რომ გუნდს უთამაშია" — თქვა ვლადიკავკაზელთა მწვრთნელმა, ალექსანდრ ავერიანოვმა.

საფეხბურთო კულუარებში კი უკვე ალაპარაკდნენ, წლეულს „ალანია" გავარდნის ერთ-ერთი კანდიდატი იქნებაო.

**სოლომონ გულისაშვილი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| კრილია სოვეტოვი | 2 | 2 | 0 | 0 | 4:0 | 6 |
| ზენიტი | 2 | 1 | 1 | 0 | 3:1 | 4 |
| ფაკელი | 2 | 1 | 1 | 0 | 3:2 | 4 |
| სატურნი | 2 | 1 | 1 | 0 | 2:1 | 4 |
| სპარტაკი | 2 | 1 | 1 | 0 | 2:1 | 4 |
| ლოკომოტივი | 2 | 1 | 1 | 0 | 1:0 | 4 |
| სოკოლი | 2 | 1 | 1 | 0 | 1:0 | 4 |
| ჩერნომორეცი | 2 | 1 | 0 | 1 | 3:2 | 3 |
| ტორპედო | 2 | 0 | 2 | 0 | 3:3 | 2 |
| ანჟი | 2 | 0 | 2 | 0 | 2:2 | 2 |
| ტორპედო ზილ | 2 | 0 | 1 | 1 | 1:2 | 1 |
| დინამო | 2 | 0 | 1 | 1 | 1:2 | 1 |
| როტორი | 2 | 0 | 1 | 1 | 0:1 | 1 |
| როსტსელმაში | 2 | 0 | 1 | 1 | 1:3 | 1 |
| ალანია | 2 | 0 | 0 | 2 | 0:2 | 0 |
| ცსკა | 2 | 0 | 0 | 2 | 0:5 | 0 |

## პოლონეთი

მე-17 ტური: შლიონსკი — პოგონი 1:0; სტომილი — პოლონია 0:3; კატოვიცე — ოდრა 2:2; ვისლა — გროცლინი 1:1; რუხი — გურნიკი 3:2; პლოცკი — ვიძევი 4:4; ლეგია — რაძიონკოვი 3:0; ამიცა — ზაგლებე 1:1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ვისლა | 17 | 12 | 3 | 2 | 44:14 | 39 |
| პოგონი | 17 | 11 | 2 | 4 | 23:13 | 35 |
| ლეგია | 17 | 9 | 6 | 2 | 29:14 | 33 |
| პოლონია | 17 | 9 | 3 | 5 | 25:15 | 30 |
| ზაგლებე | 17 | 9 | 2 | 6 | 28:21 | 29 |
| ამიცა | 17 | 7 | 4 | 6 | 30:27 | 25 |
| ოდრა | 17 | 6 | 4 | 7 | 18:26 | 22 |
| კატოვიცე | 17 | 4 | 9 | 4 | 14:12 | 21 |
| შლიონსკი | 17 | 5 | 4 | 8 | 18:24 | 19 |
| ვიძევი | 17 | 5 | 4 | 8 | 23:33 | 19 |
| სტომილი | 17 | 5 | 4 | 8 | 13:23 | 19 |
| გროცლინი | 17 | 4 | 6 | 7 | 16:22 | 18 |
| რუხი | 17 | 5 | 3 | 9 | 19:27 | 18 |
| პლოცკი | 17 | 5 | 3 | 9 | 22:32 | 18 |
| გურნიკი | 17 | 4 | 4 | 9 | 16:21 | 16 |
| რაძიონკოვი | 17 | 5 | 1 | 11 | 15:29 | 16 |

## საბერძნეთი

23-ე ტური: ათინაიკოსი — ოფი 2:3; პანიონიოსი — იონიკოსი 4:0; ირაკლისი — პანილიაკოსი 1:0; არისი — ეთნიკოსი 2:0; კალამატა — პანაჰაიკი 3:3; ოლიმპიაკოსი — პაოკ 1:0; ქსანტი — პანათინაიკოსი 0:2; იანინა — აეკ 2:2

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ოლიმპიაკოსი | 23 | 20 | 2 | 1 | 67:16 | 62 |
| პანათინაიკოსი | 23 | 15 | 5 | 3 | 42:13 | 50 |
| აეკ | 23 | 13 | 4 | 6 | 44:29 | 43 |
| პაოკ | 23 | 11 | 7 | 5 | 48:37 | 40 |
| ირაკლისი | 23 | 12 | 3 | 8 | 35:27 | 39 |
| არისი | 23 | 11 | 4 | 8 | 26:24 | 37 |
| იონიკოსი | 23 | 9 | 7 | 7 | 33:33 | 34 |
| ქსანტი | 23 | 9 | 4 | 10 | 17:23 | 31 |
| პანიონიოსი | 23 | 6 | 9 | 8 | 27:29 | 27 |
| ეთნიკოსი | 23 | 7 | 4 | 12 | 22:40 | 25 |
| იანინა | 23 | 5 | 8 | 10 | 30:40 | 23 |
| პანაჰაიკი | 23 | 5 | 6 | 12 | 28:43 | 21 |
| ოფი | 23 | 4 | 7 | 12 | 25:42 | 19 |
| ათინაიკოსი | 23 | 5 | 4 | 14 | 31:45 | 19 |
| პანილიაკოსი | 23 | 4 | 7 | 12 | 18:35 | 19 |
| კალამატა | 23 | 3 | 9 | 11 | 31:48 | 18 |

## ჰოლანდია

XXV ტური

### აიაქსი 9:0 სპარტა

1:0 ვამბერტო (8), 2:0 ვან დერ მეიდე (9), 3:0 ვან დერ გუნი (24), 4:0 დე კლერი (28), 5:0, 6:0 არველაძე (39, 48პ), 7:0 ვან დერ გუნი (59), 8:0, 9:0 არველაძე (65, 86)

აიაქსი: გრიმი, ვიერკლო, დე კლერი, პასანენი, იაკუბუ, გალაშეკი, ვან დერ ვაარტი, ვან დერ გუნი (მერსი 81), ვან დერ მეიდე, შ. არველაძე, ვამბერტო

მწვრთნელი: კო ადრიაანსე

39 120 მაყურებელი

### პსვ ეინდჰოვენი 5:1 უტრეხტი

1:0 ნიკოფოროვი (20), 2:0, 3:0 რომედალი (26, 37), 4:0 ვან ბომელი (48), 4:1 კუიტი (61), 5:1 კეჟმანი (90)

პსვ ეინდჰოვენი: ვატერეუსი, ვან დერ ვეიდენი, ნიკოფოროვი, ჰოფლანდი (ფაბერი 42), ვან ბომელი, ფოგელი, ზახოვაიძე, რომედალი, ბუმა, კეჟმანი, ვან ნისტელროოი (ბრუგინკი 66)

მწვრთნელი: ერიკ გერეტსი

31 000 მაყურებელი

### ფეიენოორდი 5:1 ტვენტე

0:1 ბუტი (3), 1:1 კალუ (4), 2:1 ბოსველტი (15პ), 3:1 კორნელი (64), 4:1 ტომასონი (65), 5:1 სმოლარეკი (73)

### ვალვაიკი 3:2 ტილბურგი

0:1 კალუვე (12), 1:1 ნასიმენტუ (37), 1:2 სუაი (55), 2:2 დინტერენი (82), 3:2 გუდიონსონი (88)

### ნაიმეგენი 1:0 გრონინგენი

1:0 ვისგერბოდი (7)

### ბრედა 2:2 ჰერენვენი

1:0 სალმონი (4), 1:1 იენსენი (8), 1:2 ოლბოკი (89), 2:2 სტიუარტი (90)

### როდა 3:1 გრააფსხაპი

1:0 ანასტასიუ (13პ), 2:0 ზაფარინი (31), 2:1 ვალკე (52), 3:1 ანასტასიუ (65)

### ალკმაარი 0:2 სიტარდი

0:1, 0:2 ჰამინგი (38, 52)

### როზენდალი 0:3 ვიტესი

0:1 მარტენი (24), 0:2 მამა (54), 0:3 მარტენი (86)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| პსვ ეინდჰოვენი | 25 | 18 | 6 | 1 | 54:15 | 60 |
| ფეიენოორდი | 25 | 18 | 2 | 5 | 54:23 | 56 |
| აიაქსი | 25 | 15 | 5 | 5 | 69:30 | 50 |
| როდა | 25 | 13 | 5 | 7 | 45:30 | 44 |
| ვალვაიკი | 25 | 12 | 8 | 5 | 34:22 | 44 |
| ვიტესი | 25 | 12 | 7 | 6 | 44:36 | 43 |
| ტილბურგი | 25 | 10 | 7 | 8 | 45:37 | 37 |
| უტრეხტი | 24 | 10 | 5 | 9 | 40:39 | 35 |
| ნაიმეგენი | 25 | 7 | 13 | 5 | 32:30 | 34 |
| ჰერენვენი | 24 | 7 | 10 | 7 | 30:31 | 31 |
| ბრედა | 25 | 8 | 7 | 10 | 31:37 | 31 |
| ტვენტე | 25 | 7 | 8 | 10 | 36:48 | 29 |
| გრონინგენი | 25 | 7 | 7 | 11 | 30:37 | 28 |
| ალკმარი | 25 | 7 | 6 | 12 | 35:50 | 27 |
| სპარტა | 25 | 5 | 5 | 15 | 35:56 | 20 |
| სიტარდი | 25 | 4 | 6 | 15 | 18:48 | 18 |
| გრააფსხაპი | 25 | 5 | 2 | 18 | 29:55 | 17 |
| როზენდალი | 25 | 4 | 1 | 20 | 31:69 | 13 |

## ჩეხეთი

მე-20 ტური: სიგმა — იაბლონეცი 1:0; ტეპლიცე — ბუდეიოვიცე 4:1; ბრნო — ბლშანი 0:0; პრჟიბრამი — ჟიჟკოვი 2:1; ბოჰემიანსი — პლზენი 3:1; ბანიკი — დრნოვიცე 2:0; სპარტა — სლავია 4:4; ლიბერეცი — სინოტი 2:1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სპარტა | 20 | 16 | 2 | 2 | 53:19 | 50 |
| სიგმა | 20 | 10 | 7 | 3 | 37:19 | 37 |
| პრჟიბრამი | 20 | 10 | 5 | 5 | 31:20 | 35 |
| ტეპლიცე | 20 | 10 | 3 | 7 | 35:22 | 33 |
| ლიბერეცი | 20 | 9 | 4 | 7 | 31:27 | 31 |
| ჟიჟკოვი | 20 | 8 | 6 | 6 | 32:31 | 30 |
| სლავია | 20 | 6 | 9 | 5 | 27:26 | 27 |
| სინოტი | 20 | 6 | 8 | 6 | 26:23 | 26 |
| ბოჰემიანსი | 20 | 6 | 8 | 6 | 27:27 | 26 |
| დრნოვიცე | 20 | 7 | 5 | 8 | 21:23 | 26 |
| ბანიკი | 20 | 5 | 8 | 7 | 20:30 | 23 |
| იაბლონეცი | 20 | 5 | 7 | 8 | 17:27 | 22 |
| ბლშანი | 20 | 5 | 6 | 9 | 18:26 | 21 |
| ბრნო | 20 | 5 | 4 | 11 | 16:25 | 19 |
| ბუდეიოვიცე | 20 | 3 | 6 | 11 | 24:45 | 15 |
| პლზენი | 20 | 2 | 6 | 12 | 17:42 | 12 |

## დანია

მე-20 ტური: ლიუნგბიუ — ოლბორგი 0:0; ჰერფიოლგე — სილკებორგი 0:2; კოპენჰაგენი — ოდენსე 2:1; ვიბორგი — ბრონდბიუ 1:3; ორჰუსი — ჰადერსლევი 1:0; მიდტიულანდი — აკადემისკი 4:2

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სილკებორგი | 20 | 10 | 8 | 2 | 32:24 | 38 |
| ბრონდბიუ | 20 | 11 | 3 | 6 | 50:26 | 36 |
| ლიუნგბიუ | 20 | 11 | 2 | 7 | 33:33 | 35 |
| კოპენჰაგენი | 20 | 9 | 7 | 4 | 33:18 | 34 |
| ვიბორგი | 20 | 10 | 4 | 6 | 35:21 | 34 |
| მიდტიულანდი | 20 | 9 | 6 | 5 | 36:30 | 33 |
| ოდენსე | 20 | 9 | 2 | 9 | 32:26 | 29 |
| ოლბორგი | 20 | 7 | 6 | 7 | 29:31 | 27 |
| ორჰუსი | 20 | 7 | 2 | 11 | 28:38 | 23 |
| აკადემისკი | 20 | 4 | 7 | 9 | 28:33 | 19 |
| ჰერფიოლგე | 20 | 4 | 5 | 11 | 23:42 | 17 |
| ჰადერსლევი | 20 | 1 | 4 | 15 | 19:56 | 7 |

## ბელგია

XXVI ტური

### ბრიუგე 1:1 აალსტი

0:1 ფილიპოვიჩი (35), 1:1 მენდოსა (72)

აალსტი: კუიოვიჩი, ვან ჰაუვეგენი, არტსი, ეტჩი, ფილიპოვიჩი, ვან დენ ბოში (დე საედელერი 83), ტემერმანი, რეიჯელი, როჟერიო, ალბერტი (ტიბო 74), დე ვილდე (კესტენსი 80)

მწვრთნელი: ჟომ დე კონინკი

16 000 მაყურებელი

### გენკი 2:0 ლიერსი

1:0 სონკი (67), 2:0 დაერდენი (68)

ლიერსი: დემანი, ლაერმანსი, ჰოფკენსი, ვან მეირი (პოორტერსი 46), დაემსი, ლეენი (ვერტენიკოვი 67), სნოეკი, სომერსი, კაეკსი, სპატერი (იანსენსი 64), კარლოს ალბერტო

მწვრთნელი: ვალტერ მეესი

19 989 მაყურებელი

### მეხელენი 2:0 ჰარელბეკე

1:0 რაბუსი (42), 2:0 ვან ჰუტი (86)

### გენტი 2:1 ანდერლეხტი

0:1 დეიდენი (68პ), 1:1 კრუზი (64), 2:1 ჰოსამი (90)

### სტანდარდი 4:2 ბევერენი

1:0 პროსინეჩკი (2), 1:1 ვლამინკი (8), 1:2 ფუნიორი (27), 2:2 პროსინეჩკი (43პ), 3:2 ვან ბუიტენი (68), 4:2 მორნარი (77)

### ლოკერენი 1:0 შარლერუა

1:0 კრისტიანსონი (63)

### მუსკრონი 3:2 ანტვერპენი

1:0 მარჩინ ჟევლაკოვი (35), 1:1 სეული (45), 2:1, 3:1 იქსტროვიჩი (46, 52), 3:2 ფეტოკამი (65)

### ბეერსხოტი 1:0 სენტ ტრუიდენი

1:0 დაგანი (35)

### ლუვიე 3:1 ვესტერლო

1:0, 2:0, 3:0 სიმუნჯა (20, 34, 63), 3:1 პელიჩი (72)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ანდერლეხტი | 26 | 20 | 5 | 1 | 70:21 | 65 |
| ბრიუგე | 26 | 17 | 8 | 1 | 67:20 | 59 |
| სტანდარდი | 26 | 13 | 9 | 4 | 61:31 | 48 |
| გენტი | 26 | 13 | 7 | 6 | 46:36 | 46 |
| მუსკრონი | 26 | 13 | 5 | 8 | 51:34 | 44 |
| ლოკერენი | 26 | 12 | 7 | 7 | 38:32 | 43 |
| ბეერსხოტი | 26 | 13 | 3 | 10 | 47:36 | 42 |
| ვესტერლო | 26 | 12 | 6 | 8 | 47:40 | 42 |
| შარლერუა | 26 | 11 | 4 | 11 | 40:46 | 37 |
| ლიერსი | 26 | 10 | 6 | 10 | 35:32 | 36 |
| გენკი | 26 | 8 | 7 | 11 | 31:36 | 31 |
| ბევერენი | 26 | 8 | 7 | 11 | 24:47 | 31 |
| ანტვერპენი | 26 | 8 | 4 | 14 | 29:38 | 28 |
| აალსტი | 26 | 6 | 6 | 14 | 26:53 | 24 |
| ჰარელბეკე | 26 | 6 | 2 | 18 | 29:68 | 20 |
| სენტ ტრუიდენი | 26 | 4 | 6 | 16 | 24:44 | 18 |
| ლუვიე | 26 | 3 | 9 | 14 | 22:46 | 18 |
| მეხელენი | 26 | 3 | 7 | 16 | 31:58 | 16 |

## შვეიცარია

A ჯგუფი

IV ტური

### ციურიხი 0:1 გრასჰოპერი

0:1 კაბანასი (58)

ციურიხი: პასკოლო, ქუზუ, ფიშერი, ჯანინი (მალასი 35), კვენტინი, ჩინაბა, დოს სანტოსი, ბოულმანი (აკალე 80), პელინგა (ზასო 76), შ. ჯამარაული, ჯანიაშვილი

მწვრთნელი: ჟილბერ გრესი

### სიონი 2:1 სერვეტი

1:0, 2:0 პოკსი (10, 24), 2:1 ტური (83)

### სენტ გალენი 4:2 ლოზანა

1:0 კოლაჩინო (17), 2:0 განე (24), 2:1 ლომბარდო (28), 3:1 განე (29), 4:1 ჟესეფსონი (31), 4:2 ლომბარდო (88)

### ბაზელი 4:1 ლუგანო

0:1 გიმენესი (21), 1:1 ტუმი (51), 2:1 ერგიჩი (56), 3:1 რავეტი (58), 4:1 ტუმი (62)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სენტ გალენი | 4 | 2 | 0 | 2 | 9:10 | 26 |
| გრასჰოპერი | 4 | 2 | 1 | 1 | 3:3 | 25 |
| ლოზანა | 4 | 1 | 2 | 1 | 5:6 | 23 |
| სერვეტი | 4 | 2 | 0 | 2 | 8:4 | 23 |
| სიონი | 4 | 2 | 1 | 1 | 6:4 | 23 |
| ციურიხი | 4 | 2 | 1 | 1 | 3:2 | 23 |
| ლუგანო | 4 | 0 | 1 | 3 | 4:9 | 22 |
| ბაზელი | 4 | 1 | 2 | 1 | 4:4 | 22 |

A/B ჯგუფი

IV ტური

### ლუცერნი 3:0 არაუ

1:0 კლემენტი (42), 2:0 რეი (60), 3:0 არნოლდი (90)

არაუ: ბენიტო, ბაუდრი, პრევიტალი, ბადერი, ეგიმენი (დეგენი 46), ვიდერკერი, ბელაჩევიჩი, გრეკო, ფოხტერი, ბერეირა (დე ნაპოლი 63), რომანი

მწვრთნელი: როლფ ფრინგერი

ბელინცონა — ვინტერტური 0:0; იანგ ბოიზი — ქსამაქსი 0:0; ივერდონი — ვილი 2:2

B ჯგუფი

მე-4 ტური: ბადენი — კრიენსი 3:0; სოლოტური — ტუნი 2:2; ვანგენი — ლოკარნო 4:1; კარუჟი — დელემონი 0:0

## პორტუგალია

XXV ტური

### ლეირია 2:0 ფარენსე

1:0 პაულუ სერჟიუ (2პ.კ.), 2:0 დინდა (61)

### ავეში 0:0 ალვერკა

### სალგეიროში 0:1 ჟილ ვისენტე

0:1 ტავარეში (89)

### ბენფიკა 2:3 ფეირეირა

0:1 რაფაელ დიასი (25), 0:2 ლეონარდუ რიბეირუ (35), 1:2 კარლიტუში (41), 1:3 რაფაელ დიასი (50), 2:3 ფლორესი (81)

### ბეირა მარი 3:2 გიმარაეში

1:0 როლანდი (30), 1:1 ფილიუ (63), 2:1 ფილიპე სოუზა (65), 2:2 ვანდუ (74), 3:2 აგიარი (83)

### ამადორა 0:1 მარიტიმუ

0:1 მარჩინსკი (57)

### ბრაგა 2:0 ბელენენსეში

1:0 ფილიპე (59), 2:0 ლუშნე (65)

### ბოავიშტა 3:1 კამპომაიორენსე

1:0 ლიტუში (16), 2:0 სანჩესი (57პ), 2:1 ლაველსონი (62პ), 3:1 სანჩესი (67პ)

### პორტუ — სპორტინგი

წუხელ გვიან გაიმართა და მისი შედეგი ცხრილში შეტანილი არაა

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბოავიშტა | 25 | 16 | 7 | 2 | 46:14 | 55 |
| სპორტინგი | 24 | 15 | 3 | 6 | 45:26 | 48 |
| ბრაგა | 25 | 13 | 8 | 4 | 40:28 | 47 |
| პორტუ | 23 | 14 | 3 | 6 | 44:20 | 45 |
| ბენფიკა | 25 | 13 | 5 | 7 | 42:28 | 44 |
| ბელენენსეში | 25 | 11 | 6 | 8 | 28:23 | 39 |
| ბეირა მარი | 25 | 11 | 5 | 9 | 32:33 | 38 |
| ფეირეირა | 25 | 9 | 9 | 7 | 30:23 | 36 |
| სალგეიროში | 25 | 11 | 3 | 11 | 28:36 | 36 |
| ლეირია | 25 | 8 | 10 | 7 | 30:33 | 34 |
| მარიტიმუ | 24 | 9 | 6 | 9 | 24:24 | 33 |
| ფარენსე | 25 | 8 | 8 | 9 | 27:32 | 32 |
| ალვერკა | 25 | 9 | 5 | 11 | 35:39 | 32 |
| გიმარაეში | 25 | 5 | 8 | 12 | 32:43 | 23 |
| კამპომაიორენსე | 25 | 4 | 9 | 12 | 22:43 | 21 |
| ჟილ ვისენტე | 25 | 5 | 6 | 14 | 21:34 | 21 |
| ამადორა | 25 | 3 | 5 | 17 | 21:41 | 14 |
| ავეში | 25 | 2 | 8 | 15 | 19:46 | 14 |

## თურქეთი

25-ე ტური: ბეშიქთაში — ტრაბზონი 3:1; იოთეპ — გალათასარაი 0:1; დენიზლი — ადანა 4:2; იოზგათი — გაზიანთეპი 1:2; რიზე — ფენერბაჰჩე 1:1; ისთანბული — ბურსა 2:4; ანთალია — ანკარაგიუჯიუ 3:4; გენჩლერბირლიგი — ერზერუმი 1:2; ქოჯაელი — სამსუნი 1:0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ფენერბაჰჩე | 25 | 18 | 4 | 3 | 63:28 | 58 |
| გალათასარაი | 24 | 16 | 4 | 4 | 50:21 | 52 |
| გაზიანთეპი | 25 | 15 | 7 | 3 | 50:28 | 52 |
| ბეშიქთაში | 25 | 15 | 4 | 6 | 54:40 | 49 |
| სამსუნი | 25 | 11 | 6 | 8 | 40:34 | 39 |
| ტრაბზონი | 25 | 11 | 5 | 9 | 49:40 | 38 |
| ანკარაგიუჯიუ | 25 | 10 | 8 | 7 | 43:44 | 38 |
| რიზე | 25 | 10 | 5 | 10 | 35:28 | 35 |
| ისთანბული | 24 | 9 | 6 | 9 | 34:35 | 33 |
| გენჩლერბირ. | 25 | 10 | 3 | 12 | 32:37 | 33 |
| დენიზლი | 25 | 8 | 8 | 9 | 35:40 | 32 |
| ანთალია | 25 | 8 | 7 | 10 | 37:42 | 31 |
| ბურსა | 25 | 7 | 7 | 11 | 38:47 | 28 |
| ქოჯაელი | 25 | 6 | 9 | 10 | 31:42 | 27 |
| იოზგათი | 25 | 6 | 8 | 11 | 33:38 | 26 |
| ერზერუმი | 25 | 4 | 4 | 17 | 27:62 | 16 |
| ადანა | 25 | 2 | 9 | 14 | 38:56 | 15 |
| იეთეპ | 25 | 3 | 6 | 16 | 29:56 | 15 |


იყიდება

☎ (231) 7 17 58



ბინა ინდივიდუალური პროექტით აშენებული რვაბინიანი სახლის მესამე სართულზე. საცხოვრებელი ფართი 250 მ². დამხმარე ფართი 80 მ² პირველ სართულზე

ქუთაისში

ირაკლი აბაშიძის გამზირი, 18. კინოთეატრ "სულიკოსთან"

რეკლამა სარბიელ-ში

Tel: 39 40 08, 93 16 08;

Fax: 94 33 80

მაგთი GSM

მაგთი MAGTI GSM

ფილარმონია. 26 მარტი. 20 სთ

წარმოგიდგენთ

XX საუკუნის საუკეთესო ფეხბურთელთა დაჯილდოების საზეიმო ცერემონიას

„ვარსკვლავები“

ღონისძიების ორგანიზატორები შ.პ.ს. „ვერიტა“, სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტი, საქტელერადიო კორპორაცია. საინფორმაციო მხარდაჭერა რადიო „ფორტუნა“ და „ფორტუნა პლიუსი“, გაზეთები „ლელო“, „ალია“, „სარბიელი“.

გენერალური სპონსორი მაგთი GSM

თქვენ გელით შეხვედრა ქართული ფეხბურთის ელიტასთან.

VERITA

106,9 FM FORTUNA ფორტუნა

სარბიელი

ანკეტა

საქართველოს XX საუკუნის საუკეთესო ფეხბურთელების, მწვრთნელის, მსაჯის, გუნდის, გოლის გამოსავლენად ტარდება ფეხბურთის გულშემატკივართა, სპეციალისტთა გამოკითხვა პრესის, ტელეფონის და ინტერნეტის მეშვეობით შემდეგ ნომინაციებში:

1. საუკეთესო ფეხბურთელი ..........
2. საუკეთესო მეკარე ..........
3. საუკეთესო მცველი ..........
4. საუკეთესო ნახევარმცველი ..........
5. საუკეთესო თავდამსხმელი ..........
6. საუკეთესო მწვრთნელი ..........
7. საუკეთესო მსაჯი ..........
8. საუკეთესო გუნდი ..........
9. უმნიშვნელოვანესი (საუკეთესო) გოლი ..........

..........

გამოკითხვაში მონაწილეობის მიღების მსურველებს შეგიძლიათ ამოჭრათ, შეავსოთ ანკეტა და გამოგზავნოთ გაზეთის რედაქციაში ან ჩააბაროთ გაზეთების გასაღების პუნქტებში. გამოკითხვაში მონაწილეობის მიღების მსურველებს შეგიძლიათ დაგვიკავშირდეთ ტელეფონებზე: 99 96 43; 99 56 14 ან მოგვაწოდოთ ინფორმაცია ინტერნეტის საშუალებით:

WWW. gff. ge - ვებ გვერდი

gff@ acces. sanet. ge - E-mail

# სარბიელი

## სპორტული ლატარია კროკო

**გერმანია. მე-2 დივიზიონი. გადადებული მატჩები**
**21 მარტი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 22.00 | 001 | კიკერსი-ალენი | 2,1 | 3,1 | 3,2 |
| 22.00 | 002 | ქემნიცი-ობერჰაუზენი | 3,1 | 3,2 | 1,9 |

**ინგლისი. 1-ლი დივიზიონი. გადადებული მატჩები**
**20 მარტი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 23.45 | 003 | ჯილინგემი-ტრანმერი | 1,75 | 3,2 | 4,0 |
| 23.45 | 004 | გრიმსბი-ბირმინგემი | 3,1 | 3,2 | 2,1 |

**ინგლისი. მე-2 დივიზიონი. გადადებული მატჩები**
**20 მარტი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 23.30 | 005 | რექსჰემი-ბერი | 1,7 | 3,3 | 4,2 |
| 23.45 | 006 | კოლჩესტერი-სუინდონი | 1,85 | 3,2 | 3,6 |
| 23.45 | 007 | უიკომბი-როტერჰემი | 2,7 | 3,2 | 2,3 |
| 23.45 | 008 | როვერსი-პიტერბრო | 2,0 | 3,0 | 3,5 |

**ინგლისი. მე-3 დივიზიონი. გადადებული მატჩები**
**20 მარტი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 23.45 | 009 | ჩელტენემი-იორკი | 1,65 | 3,4 | 4,4 |
| 23.45 | 010 | შრიუსბერი-კიდერმინსტერი | 1,8 | 3,1 | 4,0 |
| 23.45 | 011 | ლეიტონი-ბლეკპული | 2,1 | 3,1 | 3,0 |

**საფრანგეთი. მე-2 დივიზიონი. 32-ე ტური**
**21 მარტი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 23.30 | 012 | სოშო-ნანსი | 1,75 | 2,9 | 4,4 |

**ჰოლანდია. მე-2 დივიზიონი. გადადებული მატჩი**
**21 მარტი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 23.00 | 013 | ტელსტარი-ვოლენდამი | 2,4 | 3,2 | 2,5 |

**ბელგია. მე-2 დივიზიონი. გადადებული მატჩი**
**21 მარტი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 23.00 | 014 | სერკლი-სტრომბეკი | 1,45 | 3,4 | 6,5 |

**შოტლანდია. გადადებული მატჩი**
**20 მარტი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 23.45 | 015 | აბერდინი-დანდი იუნაიტედი | 1,75 | 3,2 | 4,0 |

**შვეიცარია. A/B ჯგუფი. გადადებული მატჩი**
**21 მარტი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 22.35 | 016 | ქსამაქსი-ბელინცონა | 1,75 | 3,1 | 4,2 |

**პორტუგალია. თასის 1/2 ფინალი**
**21 მარტი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 22.30 | 017 | ბოავიშტა-მარიტიმუ | 1,35 | 3,8 | 7,0 |

**22 მარტი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 01.00 | 018 | პორტუ-სპორტინგი | 2,0 | 3,0 | 3,5 |

**საბერძნეთი. თასის 1/4 ფინალი. მე-2 მატჩი**
**21 მარტი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 21.00 | 019 | პანათინაიკოსი-ოლიმპიაკოსი | 2,4 | 3,0 | 2,7 |

**ჩეხეთი. თასია 1/8 ფინალი**
**20 მარტი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 18.00 | 020 | ხომუტოვი-სპარტა | 8,0 | 4,4 | 1,25 |

**პოლონეთი. ლიგის თასის 1/2 ფინალი. 1-ლი მატჩები**
**20 მარტი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 18.00 | 021 | პოლკოვიცე-ზაგლებე | 2,7 | 3,0 | 2,4 |

**21 მარტი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 18.00 | 022 | ვისლა-ამიცა | 1,4 | 3,5 | 7,0 |

**ლიბერტადორესის თასი**
**20 მარტი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 06.00 | 501 | უნივერსიტარიო-როსარიო | 5,6 | 3,4 | 1,55 |
| 06.00 | 502 | ბოკა ხუნიორსი-კობრელოა | 1,3 | 4,0 | 7,5 |

**21 მარტი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 05.00 | 503 | კრუს ასული-სან კაეტანო | 1,9 | 3,1 | 3,4 |
| 05.40 | 504 | ტაჩირა-ვასკო და გამა | 5,6 | 3,4 | 1,55 |
| 06.00 | 505 | რივერ პლეიტი-ელ ნასიონალი | 1,25 | 4,4 | 8,0 |

**22 მარტი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 01.00 | 506 | სპორტ ბოისი-სერო პორტენო | 2,7 | 3,0 | 2,4 |
| 05.30 | 507 | ხუნიორი-ველეს სარსფილდი | 2,1 | 2,9 | 3,4 |

**კალათბურთი**
**20 მარტი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 04.30 | 801 | კლივლენდი-ნიუ იორკი | 2,3 | 12,0 | 1,4 |
| 04.30 | 802 | ნიუ ჯერსი-ვანკუვერი | 1,3 | 12,0 | 2,8 |
| 05.00 | 803 | ტორონტო-ინდიანა | 1,3 | 12,0 | 2,8 |
| 05.30 | 804 | დალასი-პორტლენდი | 1,55 | 12,0 | 1,9 |
| 05.30 | 805 | ჩიკაგო-ორლანდო | 3,1 | 12,0 | 1,25 |
| 06.00 | 806 | ფინიქსი-ვაშინგტონი | 1,05 | 12,0 | 7,5 |
| 06.00 | 807 | იუტა-დეტროიტი | 1,1 | 12,0 | 5,0 |
| 07.30 | 808 | კლიპერსი-ფილადელფია | 3,5 | 12,0 | 1,2 |
| 07.30 | 809 | საკრამენტი-ჰიუსტონი | 1,25 | 12,0 | 3,1 |

**21 მარტი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 04.00 | 810 | ბოსტონი-სან ანტონიო | 2,0 | 12,0 | 1,5 |
| 04.00 | 811 | ინდიანა-ორლანდო | 1,55 | 12,0 | 1,9 |
| 04.30 | 812 | შარლოტი-ტორონტო | 1,2 | 12,0 | 3,5 |
| 04.30 | 813 | მაიამი-ჩიკაგო | 1,05 | 12,0 | 7,5 |
| 05.00 | 814 | მილუოკი-ლეიკერსი | 1,8 | 12,0 | 1,6 |
| 05.00 | 815 | მინესოტა-დალასი | 1,55 | 12,0 | 1,9 |
| 07.30 | 816 | გოლდენ სტეიტი-ვაშინგტონი | 1,35 | 12,0 | 2,5 |

**22 მარტი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 04.30 | 817 | ატლანტა-სან ანტონიო | 3,1 | 12,0 | 1,25 |
| 04.30 | 818 | კლივლენდი-ვანკუვერი | 1,2 | 12,0 | 3,5 |
| 04.30 | 819 | ნიუ ჯერსი-ბოსტონი | 1,9 | 12,0 | 1,55 |
| 06.00 | 820 | იუტა-პორტლენდი | 1,4 | 12,0 | 2,3 |
| 07.00 | 821 | სიეტლი-ფინიქსი | 1,4 | 12,0 | 2,3 |
| 07.30 | 822 | კლიპერსი-ჰიუსტონი | 2,5 | 12,0 | 1,35 |
| 07.30 | 823 | საკრამენტო-დეტროიტი | 1,1 | 12,0 | 5,0 |

**ჰოკეი**
**20 მარტი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 04.00 | 901 | ბუფალო-ტორონტო | 1,6 | 4,0 | 3,0 |
| 04.30 | 902 | მონრეალი-ფლორიდა | 1,6 | 4,0 | 3,0 |
| 04.30 | 903 | პიტსბურგი-ბოსტონი | 1,5 | 4,0 | 3,4 |
| 05.00 | 904 | სენტ ლუისი-აილენდერსი | 1,3 | 4,0 | 5,6 |
| 06.00 | 905 | კოლორადო-სან ხოსე | 1,55 | 4,0 | 3,2 |

**21 მარტი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 04.00 | 906 | კაროლინა-ბუფალო | 2,0 | 4,0 | 2,2 |
| 04.00 | 907 | კოლუმბუსი-ვანკუვერი | 2,5 | 4,0 | 1,8 |
| 04.30 | 908 | ტორონტო-ფლორიდა | 1,3 | 4,0 | 5,6 |
| 04.30 | 909 | ატლანტა-ტამპა ბეი | 1,8 | 4,0 | 2,5 |
| 05.00 | 910 | ნიუ ჯერსი-რეინჯერსი | 1,5 | 4,0 | 3,4 |
| 05.00 | 911 | მინესოტა-ნეშვილი | 2,1 | 4,0 | 2,1 |
| 05.30 | 912 | დალასი-ანაჰაიმი | 1,35 | 4,0 | 5,0 |
| 06.00 | 913 | ფინიქსი-ოტავა | 2,1 | 4,0 | 2,1 |
| 07.30 | 914 | ლოს ანჯელესი-ედმონტონი | 1,9 | 4,0 | 2,3 |

**22 მარტი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 04.00 | 915 | ბოსტონი-მონრეალი | 1,4 | 4,0 | 4,2 |
| 04.30 | 916 | ტამპა ბეი-ატლანტა | 1,75 | 4,0 | 2,6 |
| 04.30 | 917 | დეტროიტი-მინესოტა | 1,3 | 4,0 | 5,6 |
| 05.30 | 918 | ჩიკაგო-ნეშვილი | 1,9 | 4,0 | 2,3 |
| 05.30 | 919 | სენტ ლუისი-კოლორადო | 2,1 | 4,0 | 2,1 |
| 06.00 | 920 | კალგარი-ფილადელფია | 2,5 | 4,0 | 1,8 |
| 07.30 | 921 | სან ხოსე-ოტავა | 2,1 | 4,0 | 2,1 |

**კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ**

### კროკოს ბიუროთა მისამართები:

თბილისში — ფურცელაძის ქუჩა, კინოთეატრ „რუსთაველის" შენობაში;

№2 ცენტრალური ფოსტამტი ალმაშენებლის გამზირზე;

გლდანი, I სავაჭრო ცენტრი;

ვაჟა ფშაველას 46 (მეტრო დელისთან);

ნინამძღვრიშვილის 200 (ეროვნულ სტადიონთან, ტელმანის ქუჩის კუთხეში)

გურამიშვილის გამზირი, 50 (მეტრო „ღრმაღელესთან")

წერეთლის გამზირი №11

ქუთაისი — პუშკინის ქუჩა№16 (ტელეკომპანია „ივერიონის" შენობაში)

გორში — სტალინის ქუჩა, ჭადრაკის კლუბი; სტალინის ქუჩა№30

თელავში — კოსტავას ქუჩა №23. რუსთავში — შარტავას ქუჩა №7

ბათუმში — მემედ აბაშიძის (ყოფილი სტალინის) ქუჩა №21;

ერას (ყოფილი გორკის) ქუჩა №61

# ფერარიმ ჩემპიონთა ლიგა ჩამოაყალიბა

**წლევანდელი** ჩემპიონატის პირველივე ეტაპის შემდეგ ავტოსპორტის საერთაშორისო ფედერაციის ხელმძღვანელობამ შეშფოთება გამოთქვა ბოლიდების სიჩქარის მოულოდნელი მკვეთრი ზრდის გამო. ავსტრალიის დიდი პრიზის გათამაშებისას როგორც კვალიფიკაციის, ასევე რბოლის დროს ტრასის რეკორდი რამდენჯერმე გაუმჯობესდა. საპოულო ბრძოლისას ერთბაშად 13 პილოტმა დაამხო ძველი მიღწევა, რაც არნახული შემთხვევაა, ხოლო რბოლაში მიხაელ შუმახერმა თავისი თანამემამულის ჰაინც-ჰარალდ ფრენცენის ოთხი წლის წინანდელ შედეგს 2,3 წამი ჩამოაკლო.

სისწაფის ასეთი მკვეთრი მატება, ცხადია, მძღოლთა სიცოცხლეს სერიოზულ საფრთხეს უქმნის, ამიტომ კვლავაც თუ ასე გაგრძელდება, ფედერაცია მკაცრი შემზღუდავი ღონისძიებების გატარებას აპირებს. ჯერჯერობით კი მეორე ეტაპზეც იგივე გამეორდა — მალაიზიაში 12 მრბოლმა გააუმჯობესა კვალიფიკაციის რეკორდი, ხოლო პოულის მომგებმა შუმიმ თავისივე შარშანდელ მიღწევას 2,2 წამი ჩამოაჭრა. მეორე დრო მის თანაგუნდელ რუბენს ბარიკელოს ჰქონდა, მეორე რიგში ადგილები კი რალფ შუმახერმა და მიკა ჰაკინენმა დაიკავეს. დევიდ კულჰარდი უჩვეულოდ უკან, მერვე პოზიციაზე მოკალათდა.

კვირას პრობლემებმა თავიდანვე იჩინა თავი. ჯანკარლო ფიზიკელას „ბენეტონი" გასახურებელი წრის ბოლოს თავის სასტარტო ნიშნულს გასცდა და შუა გზაზე გაიჩხირა. რბოლის დაწყება რამდენიმე წუთით გადაიდო. მეორე საცდელ წრეზე ხუან პაბლო მონტოიას უმუხთლა ძრავამ. კოლუმბიელს სათადარიგო ბოლიდში გადასაჯდომად ბოქსებამდე გვარიანი მანძილის გარბენა მოუხდა. როგორც იქნა, ასპარეზობა დაიწყო, მაგრამ ახლა დებიუტანტ კიმი რაიკონენის ბედაური გაჯიუტდა და ადგილზე დარჩა.

სტარტიდან წინ მიხაელ შუმახერი გაიჭრა. ბარიკელო, წინა ეტაპის მსგავსად, ამჯერადაც შეყოვნდა და მას ერთბაშად ორმა მეტოქემ შეუტია — მარცხნიდან რალფ შუმახერმა, მარჯვნიდან იარნო ტრულიმ. რუბინიომ ორივეს იერიში მოიგერია — „ფერარიმ" ტრულის „ჯორდანს" გზა გადაუღობა, უკვე ოდნავ დაწინაურებულ რალფის „უილიამსს" კი ცხვირი წაჰკრა და ტრასაზე დააბზრიალა. პატარა შუმიმ საჭე დაიმორჩილა და რბოლა განაგრძო, მაგრამ საკმაო დრო დაკარგა და ქარავანის კუდში აღმოჩნდა. გერმანელმა პილოტმა მომხდარში, ცხადია, ბარიკელო დაადანაშაულა, მისი აგრესიულობა რომ არა, პოდიუმზე დავდგებოდიო.

ორივე „ფერარი" თავიდანვე საკმაოდ დაშორდა მდევრებს, მაგრამ ხუთიოდე წუთში, ის იყო გაწვიმდა, რომ ერთმანეთის მიყოლებით ორივე ტრასიდან გასრიალდა. მართალია, ფართო, მოხრეშილ ზონაში კარგა მანძილზე იბობლეს, მაგრამ ტრასაზე დაბრუნება შეძლეს და საწვიმარი საბურავებისთვის მაშინვე ბოქსებისკენ გაქანდნენ. ბარიკელოსთვის ბორბლების მოძებნასა და ერთი-ორი მცირე ხარვეზის გამოსწორებას მექანიკოსებმა უსაშველოდ დიდი დრო — წუთი და 12 წამი მოანდომეს, მის უკან მდგომი მიხაელი კი მოთმინებით ელოდა თავის რიგს. რუბინიო მეათე დაბრუნდა, შუმის წინ. ლიდერობა კულჰარდმა იგდო ხელთ, ხოლო კოკისპირული წვიმის გამო პელოტონს პეისკარი მიუძღოდა. თავსხმის მიზეზით ხუთი მანქანა გამოეთიშა რბოლას.

წვიმა მალე ისევე მოულოდნელად შეწყდა, როგორც დაიწყო. უსაფრთხოების მანქანამ ათი წრის მერე პილოტები თავის ნებაზე მიუშვა. მიხაელმა პირველივე წრეზე სამი ადგილით გაიუმჯობესა მდგომარეობა, მერე კი თანდათან სხვებიც ადვილად ჩამოიტოვა უკან. პირველად მან თანაგუნდელს გაუსწრო, თუმც ბრაზილიელი უკმაყოფილო დარჩა, მისი აზრით, სახიფათო და ნაადრევი მანევრით, რასაც შეიძლება ავარია მოჰყოლოდა და ორივე „ფერარი" გამოთიშულიყო ბრძოლიდან. თავად შუმახერი ამაში სარისკოს არაფერს ხედავს: „ჩემი აზრით, ავარიის საშიშროება არ ყოფილა. მე უფრო სწრაფად მივდიოდი და როცა რუბენსი ტრულის უკან შეყოვნდა, გადავწყვიტე, დრო არ დამეკარგა".

მე-15 წრეზე მიხაელმა ყველას გაასწრო და კვლავ რბოლის სათავეში აღმოჩნდა. მისი ბოლო ლუკმა კულჰარდი გახდა. ჩემპიონის „ფერარი" ყოველ წრეზე კონკურენტებს 4-5 წამს უგებდა, რაც მისი უბადლო ოსტატობის გარდა, სწორად შერჩეული საბურავების დამსახურებაც ყოფილა. რაკი ტრასის ერთი ნაწილი დატბორილი იყო, მეორე კი მშრალი, თანაც ტროპიკული წვიმა მისი აზრით, დიდხანს არ გაგრძელდებოდა, შუმახერმა ბოქსებში რაციით შეუთვალა, რომ არა საწვიმარი, არამედ შუალედური საბურავები მოემზადებინათ. შუმის კიდევ ერთმა, უკვე მერამდენედ გამართლებულმა ტაქტიკურმა სვლამ მას მორიგი ბრწყინვალე გამარჯვება მოუტანა. როგორც შემდგომ გაირკვა, „სკუდერიის" უმთავრეს მეტოქეებს საწვიმარი რეზინა შეერჩიათ, მათი უხეირო ბოდიალის მთავარი მიზეზიც ეს გამხდარა.

25-ე წრეზე, როცა საბოლოოდ გამშრალ ასფალტზე კულჰარდმა „სლიკებზე" გადასვლა გადაწყვიტა, ლიდერთან მისი ჩამორჩენა კატასტროფული, თითქმის 40 წამი იყო. მიხაელმა კიდევ ხუთი წრე იცადა და მერეღა მიაკითხა ბოქსებს. ბარიკელოს ბოლიდს უკვე შეცვლილი ჰქონდა ფეხსაცმელი, ამიტომ კულჰარდის შეყოვნების შემდეგ მეორე პოზიციაზეც სწორედ ის დადგა.

რბოლის ბედი პრაქტიკულად გადაწყვეტილი იყო. ფინიშამდე საინტერესო საყურებელი კი მეორე-მესამე ადგილებისთვის ბრძოლა გახდა. ჰაკინენი „სეპანგზე" შარშანდელივით სამი ქულის მოპოვებას მაინც ვარაუდობდა, მაგრამ მდგომარეობის გაუმჯობესების რამდენიმე უხეირო ცდის შემდეგ თავად აღმოჩნდა დაზარალებულის როლში — მას ჯერ რალფმა გაასწრო, რამდენიმე წუთში კი ფრენცენმაც. თუმც ფინელი შექმნილ სიტუაციაში კინკილა ქულის შოვნითაც საბოლოოდ კმაყოფილი დარჩა.

შუმიკელოს დუეტმა ზედიზედ 21-ე პოდიუმით კიდევ უფრო გაზარდა უწყვეტი საპრიზო სერია. მიხაელს ზედიზედ მეექვსე რბოლის მოგებით კარიერაში 46 გაუხდა და ალენ პროსტის რეკორდამდე ხუთი დიდი პრიზილა აშორებს. შაბათს მოპოვებული პოული მისთვის 34-ეა, შუმი ამ მაჩვენებლითაც მეორეა აირტონ სენას შემდეგ. ბრაზილიელმა „ჯადოქარმა" 65 საკვალიფიკაციო გამარჯვება მოასწრო.

**ზია ახალაძე**



REUTERS კუალა ლუმპურიდან

მოულოდნელმა სინქრონულმა სრიალმა ფერარელებს ვერაფერი დააკლო

### რბოლის შემდეგ

**მიხაელ შუმახერი:** მიუხედავად იმისა, რომ ადვილად გავიმარჯვე, რბოლა მაინც საინტერესო იყო. როცა მესამე წრეზე ჩემი „ფერარი" ბარიერისკენ მიქროდა, ვიფიქრე, ყველაფერი დამთავრდა-მეთქი. საბედნიეროდ, მეც და რუბენსსაც გაგვიმართლა. გადამწყვეტი აღმოჩნდა რეზინის შერჩევა. თითქმის ყველამ საბურავები საწვიმარით შეცვალა, ჩვენ კი — შუალედურით. თანაც ეს ჩემი გადაწყვეტილება იყო — გუნდი ვარიანტებს გთავაზობს, ხოლო საბოლოო არჩევანს მრბოლი აკეთებს. რაც შეეხება ზედიზედ მეექვსე გამარჯვებას, საერთოდ მოგებული ეტაპების ან ჩემპიონის ტიტულების რაოდენობას ჩემთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა არა აქვს. უმთავრესია თუ როგორაა ისინი მოპოვებული.

**დევიდ კულჰარდი:** დღევანდელ ურთულეს პირობებში ძალიან ბევრი იყო დამოკიდებული იღბალზე. ჩვენ საწვიმარი საბურავები შევირჩიეთ, მაგრამ არ გაგვიმართლა. სულაც არ მიკვირს „ფერარის" ასეთი უზარმაზარი უპირატესობა. სადღეისოდ მათი მანქანები საუკეთესოა. ხატოვნად რომ ვთქვათ, „ფერარი" თამაშობს თავის საკუთარ ლიგაში, რომელშიც ყველა დანარჩენი ჯერ უნდა მოხვდეს. ჩვენი „მაკლარენები" კი ბოლომდე არ არის დამუშავებული და წინ ბევრი შრომა გველის. კონკურენტების დაწევას ალბათ მაშინ შევძლებთ, როცა ფორმულა ევროპაში დაბრუნდება.

### რბოლის შედეგები

**მალაიზიის დიდი პრიზი**

18 მარტი. კუალა ლუმპური

დისტანცია — 55 წრე — 304.865 კმ

| | |
|---|---|
| 1. მ. შუმახერი (ფერარი) | 1:47.34,801 (170,030 კმ/სთ) |
| 2. ბარიკელო (ფერარი) | ჩამორჩა 23,660 |
| 3. კულჰარდი (მაკლარენი) | 28,555 |
| 4. ფრენცენი (ჯორდანი) | 46,543 |
| 5. რ. შუმახერი (უილიამსი) | 48,233 |
| 6. ჰაკინენი (მაკლარენი) | 48,606 |
| 7. ფერსტაპენი (ეროუსი) | 1.21,560 |
| 8. ტრული (ჯორდანი) | 1 წრით |
| 9. ალეზი (პროსტი) | 1 წრით |
| 10. ბერნტი (იაგუარი) | 1 წრით |
| 11. ბატონი (ბენეტონი) | 2 წრით |
| 12. მაცაკანე (პროსტი) | 2 წრით |
| 13. ალონსო (მინარდი) | 3 წრით |
| 14. მარკეში (მინარდი) | 4 წრით |

**საუკეთესო წრე**

ჰაკინენი 1.40,962 (197.633 კმ/სთ)

**რბოლას გამოეთიშნენ**

| | |
|---|---|
| ფიზიკელა (ბენეტონი) | გაიარა 31 წრე |
| ირვინი (იაგუარი) | 3 |
| მონტოია (უილიამსი) | 3 |
| ჰაიდფელდი (ზაუბერი) | 3 |
| ვილნევი (BAR) | 3 |
| ბერნოლდი (ეროუსი) | 3 |
| პანი (BAR) | 1 |
| რაიკონენი (ზაუბერი) | 0 |

FORMULA 1 WORLD CHAMPIONSHIP

| | ავსტრალია 4 მარტი | მალაიზია 18 მარტი | ბრაზილია 1 აპრილი | სან მარინო 15 აპრილი | ესპანეთი 29 აპრილი | ავსტრია 13 მაისი | მონაკო 27 მაისი | კანადა 10 ივნისი | ევროპა 24 ივნისი | საფრანგეთი 1 ივლისი | დ. ბრიტანეთი 15 ივლისი | გერმანია 29 ივლისი | უნგრეთი 19 აგვისტო | ბელგია 2 სექტემბ. | იტალია 16 სექტემბ. | აშშ 30 სექტემბ. | იაპონია 14 ოქტომბ. | ჯამი |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 მ. შუმახერი (ფერარი, გერმანია) | 10 | 10 | | | | | | | | | | | | | | | | 20 |
| 2 კულჰარდი (მაკლარენი, ბრიტანეთი) | 6 | 4 | | | | | | | | | | | | | | | | 10 |
| 3 ბარიკელო (ფერარი, ბრაზილია) | 4 | 6 | | | | | | | | | | | | | | | | 10 |
| 4 ფრენცენი (ჯორდანი, გერმანია) | 2 | 3 | | | | | | | | | | | | | | | | 5 |
| 5 ჰაიდფელდი (ზაუბერი, გერმანია) | 3 | - | | | | | | | | | | | | | | | | 3 |
| 6 რ. შუმახერი (უილიამსი, გერმანია) | - | 2 | | | | | | | | | | | | | | | | 2 |
| 7 რაიკონენი (ზაუბერი, ფინეთი) | 1 | - | | | | | | | | | | | | | | | | 1 |
| 8 ჰაკინენი (მაკლარენი, ფინეთი) | - | 1 | | | | | | | | | | | | | | | | 1 |
| 9 | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| 10 | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| 1 ფერარი | 14 | 16 | | | | | | | | | | | | | | | | 30 |
| 2 მაკლარენი | 6 | 5 | | | | | | | | | | | | | | | | 11 |
| 3 ჯორდანი | 2 | 3 | | | | | | | | | | | | | | | | 5 |
| 4 ზაუბერი | 4 | - | | | | | | | | | | | | | | | | 4 |
| 5 უილიამსი | - | 2 | | | | | | | | | | | | | | | | 2 |

ევროპის ერთა თასი. მეოთხე ტური. 17 მარტი

# საქართველო 43:10 ესპანეთი

რუსთავი. «ფოლადის» სტადიონი. 12000 მაყურებელი

საქართველო: ხამაშურიძე, ურჯუკაშვილი, ზიბზიბაძე, კაცაძე, აბაშიძე (იოვაძე 79); ჯიმშელაძე, აბუსერიძე (მოდებაძე 70); მთიულიშვილი (შველიძე 51), გიორგაძე, ცაბაძე (კაპ), ნადირაძე (უდესიანი 79), დიდებულიძე (რატიანიძე 51), ბოლაშვილი (ალანია 51), ლაბაძე, ზედგინიძე (მჭედლიშვილი 41)
6 ლ: ტექნიკური ლელო (2), ურჯუკაშვილი (4), კაცაძე (8), აბაშიძე (50), შველიძე (68), გიორგაძე (78); 5 გ: ჯიმშელაძე (2, 8, 50, 68, 78); 1 ს: ჯიმშელაძე (40)
ესპანეთი: ველასკო, ფრეჩილია, ენსიზო (კაპ), დიესი (ო. რიბოლი 41), დ. რიბოლი; კოვალენკო, ალონსო-ლასერასი; დიასი, დელაკალე (ბოორკესი 70), საპატერო (სალახარი 72), გარსია-კრისტენსენი, ს. სოუტო, კ. სოუტო, ასტარლოა, მატა
1 ლ: კ. სოუტო (80), 1 გ: ალონსო-ლასერასი (80); 1 ს: კოვალენკო (40)
მსაჯი: მალარტიკი (საფრანგეთი)

# ესპანელებმა ცაში აგვისროლეს

## ლომუ, ფანტასტიკა და ჯერ არნახული

„ქართველთა მეთორმეტე ნომერი (ვასილ კაცაძე) ნამდვილი ლომუა, მეთოთხმეტე ნომერი (მალხაზ ურჯუკაშვილი) ფანტასტიკაა, თქვენნაირი მეორე ნომერი (აქვსენტი გიორგაძე), ჯერ არსად მინახავს. შარშან საქართველოს ნაკრები სულ სხვა გუნდი იყო, ვერ წარმოვიდგენდი, თუ ერთი წლის მანძილზე ასე გაიზრდებოდით" — თქვა მატჩის შემდგომ პრესკონფერენციაზე ესპანეთის რაგბის კავშირის ვიცე-პრეზიდენტმა ხოსე ლუის პენიამ და მართალიც იყო.

შაბათს გამართულ მატჩში ჩვენებმა ყოველმხრივ დაჯაბნეს მეტოქე. არ დარჩენილა რაგბის სათამაშო კომპონენტი, რომელშიც ქართველთა უპირატესობა თვალშისაცემი არ ყოფილიყო. მატჩში არ ყოფილა მომენტი, ვინმეს ჩვენს გამარჯვებაში ეჭვი შეპარვოდა.

შაბათს „ფოლადის" სტადიონზე ნემსის ჩასაგდებ ადგილს ვერ იპოვიდით, 10-ათასიანი სარბიელი პირამდე შეივსო. ვინც დასაჯდომი ადგილი ვერ იპოვა, ფეხზე იდგა და ისე ქომაგებოდა თავის გუნდს. განსაკუთრებით რუსთაველი გულშემატკივარი გამოირჩეოდა. ეს არც იყო გასაკვირი. ბორჯღალოსანთა შემადგენლობაში ხომ რუსთავში დაბადებულ-გაზრდილი ოთხი მორაგბე თამაშობს. ოთხიდან სამმა — ლევან ცაბაძემ, მევლუდ მთიულიშვილმა და პალიკო ჯიმშელაძემ ძირითადში დაიწყეს, გოდერძი შველიძე კი მეორე ტაიმში გამოჩნდა მოედანზე. უბრალო მოკვდავთა დარად, მორაგბეთა მხარდასაჭერად ჩვენი პოლიტიკური ელიტის წარმომადგენლებიც მრავლად მოსულიყვნენ და რამდენიმე მათგანს ეროვნული ნაკრების მაისურაც მოერგო.

ჩვენს ბიჭებსაც მეტი რა უნდოდათ, პირველივე წუთებიდან ეძგერნენ მოწინააღმდეგეს და მატჩის ბოლომდე ამოსუნთქვის საშუალებაც არ მისცეს. ფრანგი კლოდ სორელის გაწვრთნილმა ქართველმა მორაგბეებმა თვალნათლივ დაგვანახვეს, რომ ბურთის ლაღად გათამაშება ჩვენებურთათვის უცხო სულაც არაა. თუ აქამდე ჩვენი ნაკრები მეტოქეს ძალ-ღონის ხარჯზე უსწორდებოდა, შაბათს ქართველებმა თანამედროვე რაგბის პრინციპების დაცვით ითამაშეს. თვით მორკინალებმაც, ვისაც ხელით თამაში არც ევალებათ, იმგვარად იბურთავეს, რომ ტექნიკასა და სისწრაფეში თანაგუნდელ უკანახაზელებს არ ჩამორჩნენ. ჩვენმა ბეკებმა ხომ სულ მთლად გადათელეს ესპანელები.

ნათქვამია, რაგბი გუნდური თამაშია და ვინმეს გამოყოფა არ ეგებისო, მაგრამ სათქმელი მაინც უნდა ითქვას. ბორჯღალოსანთა შუამარბი ვასილ კაცაძე და გარემარბი მალხაზ ურჯუკაშვილი შაბათს გამართულ მატჩში საუკეთესოთა შორის საუკეთესონი იყვნენ. ვასილ კაცაძემ, ვისაც მთელი მატჩის განმავლობაში ორი-სამი ესპანელი მუდამ მაისურზე ეკიდა, ისეთი ლელო გაიტანა, თვით ესპანელებს მოსწყვიტა კომპლიმენტები. მალხაზ ურჯუკაშვილმა ხომ მთლად აიკლო მარჯვენა ფლანგი. დაცვაშიც უშეცდომოდ ითამაშა და სამი უეჭველი ლელოსგან იხსნა გუნდი, შეტევაში ხომ გაილაღა და გაილაღა. მახოს შემჩერებელი იმ დღეს ესპანელთა რიგებში არავინ აღმოჩნდა. ურჯუკაშვილმა ერთი ლელო თვითონ გაიტანა, ერთიც ვასილ აბაშიძეს გაატანინა, ფრანგმა რეფერიმ კი ერთი ლელო არ ჩაუთვალა, მანამდე ბურთი წინ გაგივარდა და ტყუილად გაგიხარდაო, მაგრამ ამას აღარ ჰქონდა მნიშვნელობა.



მალხაზ ურჯუკაშვილმა ლელოც გაიტანა და მეტოქეც

ქართველების შეჩერება იმ დღეს შეუძლებელი იყო. გამქრალიყო ბურთის დაკარგვის შიში და მისი ფეხით დარტყმა მოწინააღმდეგის ზურგში. ჩვენი მორაგბეები შეტევებს მოედნის ნებისმიერი ადგილიდან იწყებდნენ, ბურთს ლაღად ათამაშებდნენ და როდესაც ესპანელთა დაცვის ხაზში ბზარს შეამჩნევდნენ, უმალ აფეთქდებოდნენ და სტუმართა ლელოსკენ გაიჭრებოდნენ. და ეს ხდებოდა არა ჰოლანდიისა და პორტუგალიის დარ გუნდთან, არამედ ესპანეთთან, რომელმაც ორ მსოფლიოს თასზე მოასწრო თამაში. არა, ესპანეთი სულაც არ არის სუსტი გუნდი, უბრალოდ, ქართველები დღესდღეობით შესაშურ ფორმაში არიან და ისეთ დონეს მიაღწიეს, რომ ესპანეთი უმწეოდ წარმოჩინდა, რაც ამ გამარჯვებას კიდევ უფრო მეტ ელფერს მატებს.

ქართველებს მეტოქის შიში და რიდი აღარა აქვთ. ასე რომ, უეჭველია, რუმინეთს, თუნდაც ბუქარესტში თამამად შევერკინებით, თუმც მოდით, ისევ რუსთავის მატჩს დავუბრუნდეთ.

გამარჯვებულებს არ ცვლიანო და სორელმაც ის შემადგენლობა დაუპირისპირა ესპანელებს, რომელმაც ორიოდ კვირის წინ რუსი „ლოკომოტივი" საკუთარ ბუნაგში ბეჭებზე გააკრა. ფრანგ მწვრთნელს არც ექსპერიმენტებისთვის მიუმართავს. მერე როგორ თანდათან ქმნის მუსიე კლოდი ახალი გუნდის იერ-სახეს, მას გუნდის გაახალგაზრდავებაზე უჭირავს თვალი, გამოცდილი მორაგბეების მხარდამხარ ჯეელებსაც ანდობს ადგილს ძირითადში და ისინიც თამაშიდან თამაშამდე უმატებენ. ესპანელებთან კიდევ ერთ მორაგბის დებიუტი შედგა. „ლოკომოტივის" მორკინალმა ბესიკ უდესიანმა პირველად მოირგო ნაკრების მაისური. მართალია, სულ რაღაც ორი წუთი იბურთავა, მაგრამ ესეც საკმარისი აღმოჩნდა, ახალბედას უსაზღვრო სიხარული განეცადა.

უზომოდ ხარობდა ქართველთა საქომაგოდ მისული გულშემატკივარიც. რუსთავის მატჩი ხომ გამარჯვებებს დანატრებული ხალხისათვის მისწრება იყო. ჩვენი მორაგბეები მსაჯის სასტვენისთანავე ეკვეთნენ მოწინააღმდეგეს და სულ რაღაც ათ წუთში საქმეც მოუთავეს. ესპანელებს სალამის თქმაც ვერ მოესწროთ და ანგარიში უკვე 19:0 იყო ჩვენს სასარგებლოდ. არც ამის შემდეგ განელებულა ქართველთა იერიშები. სტუმრები საკუთარ ნახევარზე გვყავდა გამომწყვდეული და მხოლოდ პირველი ტაიმის მიწურულს შეძლეს ესპანელებმა, ჩვენს ლელოსთან პატარა შტურმისმაგვარი მოეწყოთ, თუმც ქართველები რკინის კედელივით დადგნენ და მეტოქეს ლელოში შეღწევის შანსი არ დაუტოვეს. ესპანელებიც დროულად მიხვდნენ, რომ აქედან არაფერი გამოვიდოდა და აქამდე რომ ჯარიმებს ჯიუტად ხელით ათამაშებნენ, როგორც იქნა, იკადრეს და კოვალენკომ საჯარიმოს ნიშნულიდან ძელებს შორის გაატარა ოვალური ბურთი. ამის შემდეგ ერთხელაც იფეთქეს ესპანელებმა. მატჩის დასრულებამდე წამებიღა რჩებოდა, როდესაც მსაჯმა აჩვენა, ერთ შეტევასაც გაცდით და შეხვედრას დავამთავრებო. ამ დროისთვის ანგარიში უკვე 43:3 იყო. სტუმრებმა, პრესტიჟისა მაინც გავიტანოთო და კარლოს სოუტომ ამ მატჩში პირველად და უკანასკნელად დაალეწვა ქართველები. თუმც ამას უკვე არავინ დარდობდა. ხალხი ფეხზე იდგა და თავის გმირებს ტაშს უკრავდა.

შვიდ აპრილს კი ბორჯღალოსნები რუმინეთს გაილაშქრებენ. სწორედ ბუქარესტში გაირკვევა ევროპის ერთა თასის წლევანდელი გამარჯვებულის ვინაობა. კარპატელები აქამდე ორჯერ გადაგვეყარნენ და ორჯერვე (27:23 და 23:20) დაგვამარცხეს. მესამე და სამართალიო, იმედი ვიქონიოთ, თბილისში შარშან მოპოვებულ თასს ბორჯღალოსნები ბუქარესტში ცხვირწინ ააცლიან რუმინელებს და საქართველოში დაუდებენ ბინას.

**ბაჩო სვანიძე**



პალიკო ჯიმშელაძემ კარში ზუსტად ურტყა



ეს მანძილიც ქართველებმა მოიგეს ბურთი გაა ლაბაძის ლარბა



ეროვნული ბიბლიოთეკა

## მატჩის შემდეგ

***ხოსე ლუის პენია, ესპანეთის დელეგაციის ხელმძღვანელი:***

„ვფიქრობთ, დღევანდელი მატჩი შარშანდელს არაფრით ჰგავდა. მაშინ ესპანეთში სულ სხვა გუნდს ვაჯობეთ. დღევანდელი ნაკრები სრულიად განსხვავებულია, თქვენი გუნდი ერთ წელიწადში ძალიან გაზრდილია. საქართველომ დღეს ყველა კომპონენტში დაგვჩაგრა, განსაკუთრებით ფიზიკურად. მისი რამდენიმე წევრი კი ფანტასტიკური მორაგბეა. №12 (ვასილ კაცაძე — რედ.) თავისუფლად ითამაშებდა „ოლ ბლექსშიც". ბრწყინვალენი იყვნენ №2, №14, №9 (აქვსენტი გიორგაძე, მალხაზ ურჯუკაშვილი, ირაკლი აბუსერიძე — რედ.) და საერთოდ, ყველამ ძალიან კარგად ითამაშა."

***კლოდ სორელი, საქართველოს ნაკრების მწვრთნელი:***

„დღეს ამბიციები უნდა დაგვენახებინა ყველასთვის და, მგონი, ეს შევძელით კიდეც. მეტოქე ფიზიკურად ძალიან დავჩაგრეთ. თუმცა ესპანეთი მაინც საკმაოდ კარგი, გამოცდილი გუნდია და მსოფლიოს თასზე მოსახვედრად ბოლომდე იბრძოლებს, გაისად ვ[illegible]ლის დაბრუნებას შეეცდება და მძიმე მატჩიც გველის.

აქამდე მხოლოდ ერთა თასის ორი გათამაშების ჯამში მეორე ადგილისთვის ვიბრძოდით. ჯერჯერობით არაფერია გადაწყვეტილი, მიზნის მისაღწევად გაისად რუსეთი და ჰოლანდია შინ უნდა დავამარცხოთ. სხვათა შედეგებზე რომ არ ვიყოთ დამოკიდებულნი, ესპანეთსა და პორტუგალიაშიც უნდა გავიმარჯვოთ. თუმცა ახლა მარტო მეორეობა აღარ დაგვაკმაყოფილებს, პირველობაზეც უნდა ვიფიქროთ და ამისთვის რუმინეთსაც უნდა ვაჯობოთ, რომლისთვისაც ჯერ ვერასდროს მოგვიგია.

საქმე ჯერ კიდევ ბევრი გვაქვს, ბევრი რამ უნდა დავხვეწოთ. უკანახაზელთა პროგრესი აშკარაა, ამიტომაც უკვე რომელიმე ცალკეულ რგოლზე კი აღარ უნდა ვიმუშაოთ, არამედ გუნდის შეკავშირებაზე. ისე, დისციპლინაც მისახედია. რაც შეეხება იმას, რომ დღეს ფეხით ძალიან იშვიათად ვთამაშობდით, ეს ძლიერი ქარით გამოწვეული ტაქტიკური ჩანაფიქრი იყო. შეიძლებოდა, ბურთის აუტში გადაგდების ნაცვლად მეტოქისთვის კონტრშეტევის განხორციელების მშვენიერი შანსი მიგვეცა".

***ალენ მალარტიკი, მსაჯი:***

„ბევრი საქმე არ მქონია. როცა ერთი გუნდი მეორეს აშკარად სჯობს, ის მატჩი მეტად იოლი სამსაჯოა. საქართველო ძალიან კარგი გუნდი გამოდგა, რითაც გაოცებული ვარ. ბატონ სორელს კი ვეტყვი, რომ მისი შეგირდები დისციპლინირებულნიც არიან და უწინდელივით აღარ კამათობენ. თანაც უმრავლესობამ ფრანგული იცის და ურთიერთობაც გამიიოლდა. ბოლოს იმასაც ვიტყვი, რომ დღევანდელი მატჩით დიდად ვისიამოვნე".

***ლევან ცაბაძე, საქართველოს ნაკრების კაპიტანი:***

„ყველაფერი გავაკეთეთ, რომ შეხვედრა მაღალ დონეზე ჩაგვეტარებინა. რა თქმა უნდა, შეცდომები გვქონდა, მაგრამ მათ გამოსწორებაზე ვიზრუნებთ. გუნდმა მაყურებლის ოვაცია ნამდვილად დაიმსახურა. ბედნიერები ვართ, რომ ჩვენი გამარჯვებით ქართველ ხალხს სიხარული მოვუტანეთ. რუმინეთთან მეკლუდ მთიულიშვილის თანაგუნდელი პეტრე მიტუ თუ გამოვთიშეთ, მოგება მაინცდამაინც არ გაგვიჭირდება".

## ევროპის ერთა თასი. IV ტური. 17-18 მარტი

### რუმინეთი 42:13 რუსეთი

ქართველებთან მარცხის შემდეგ ამ მატჩს რუსებისთვის გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა. სლავებმა მოლდოვას დედაქალაქ კიშინიოვში მოაწყვეს შეკრება. მათმა სამხრეთაფრიკელმა მწვრთნელ-კონსულტანტმა ჯეიმს სტოფბერხმა ვეტერანი ციმბირელი მცველი ალექსანდრ ზაკარლიუკი გუნდიდან დაითხოვა. ზაკარლიუკის გზას მოტორინი და სიმონოვიც გაუყენა. მათ შემცვლელად კი გამოცდილი იური კრასნობაევი და ვიქტორ იაკოვლევი დაიგულა. რუმინელებს ვერ დაუპირისპირდა რუსთა ლიდერი და კაპიტანი სლავა გრაჩოვი, ვინც ქართველებთან ჭიდილში ისე დაიმტვრა, ორი კვირის მანძილზე ვერაფრით მოკეთდა და შინ დარჩენა მოუწია. თითქოს ეს არ ეყოფოდათ საცოდავ რუსებს, რომ ყაზახმა მურატ უამბაევმა საფრანგეთიდან შემოთვალა, თქვენი დიდი ხათრი მაქვს, მაგრამ ამჯერად როგორმე უჩემოდ ითამაშეთო. საფრანგეთშივე მოთამაშე რუსთა სუპერ-ვარსკვლავმაც სერგეი სერგეევმაც უგანა მშობლიურ ნაკრებს: მიზეზებს ახლა ნუ დამეკითხებით, რომ ჩამოვალ ყველაფერს მერე აგიხსნითო.

ჰოდა შედეგიც სათანადო მიიღეს ჩვენმა მეზობლებმა. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ რუსთა და რუმინელთა ოდენ მეორე შებმა კარპატელებმა ულაპარაკოდ, 29 ქულით მოიგეს. თუმც მატჩის წინ არც მათ ბანაკში სუფევდა სიმშვიდე. რუმინელმა მორაგბეებმა უკვე მერამდენედ მოუწყვეს ამბოხი თავიანთ რაგბის ფედერაციას. რუმინული რაგბის მამებსაც სხვა რა გზა ჰქონდათ და მორაგბეთა მოთხოვნებს დაყაბულდნენ. რუსებთან მატჩის წინ ამბოხებულებს სამატჩო გასამრჯელოდ ას-ასი ამერიკული დოლარი ჩამოურიგეს და რაკი ნაკრების სპონსორად „რუმინეთის განვითარების ბანკი" დაიგულეს, ჩემპიონობისთვის ანუ საქართველოსთან მოგებისთვის კიდევ ათას მწვანეს გიფეშქაშებთო. ამან ყველა განდგომილს გული მოუგო. 22 წლის პეტრე მიტუც, ვინც წინა ტურში ჰოლანდიასთან მატჩის შემდეგ კაპიტნობიდან გადადგა, უმალ შემოურიგდა ნაკრების თავკაცს მირჩა პარასკივს და კაპიტნის სამკლაურიც ხელახლა მოირგო.

თავად მატჩი ქალაქ იაშიში ჩატარდა, რომელიც უწინ ისტორიული მოლდოვას დედაქალაქი იყო და სადაც ქართველი პოეტი ბესიკი და ერთიანი რუმინეთის პირველი მეფე ალექსანდრუ იონ კუზა მარხია. მასპინძელი „მუხის ფოთლები" სტუმრებს ხუთი ლელოთი, ოთხი გარდასახვით და სამი საჯარიმოთი გაუმასპინძლდნენ. რუსებმა კი ოდენ ერთი კინკილა ლელო, ერთ გარდასახვა და მხოლოდ ორი საჯარიმო მოინადირეს

### პორტუგალია 23:6 ჰოლანდია

აუტსაიდერთა მატჩი ლისაბონის უნივერსიტეტის სტადიონზე გაიმართა. ისეთი ძლიერი ქარი ქროდა, რომ ორივე გუნდის დამრტყმელები ხელსაყრელი პოზიციიდან ხშირად აცილებდნენ ბურთს კარს. პორტუგალიამ მძლავრად დაიწყო და პირველი ლელო უკვე დებიუტშივე გაიტანა. ცოტა ხანში მასპინძელთა შუამარბმა, ტომით ზელანდიელმა ტიმ კინგმა მეორე, ეფექტური ლელო გაუტანა ჰოლანდიელებს. მეორე ტაიმში პორტუგალიელებს მესამე ლელო დიოგუ კუტინიუმ შემატა. ასე და ამგვარად, პორტუგალიამ მეთერთმეტე შებმაში მეშვიდედ დაამარცხა ჰოლანდია. სამჯერ „ტიტებს" გაუხარიათ, ერთხელაც კი ფრე გაუხერხებიათ.

**ბაჩო სვანიძე**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| რუმინეთი | 4 | 4 | 0 | 0 | 168:40 | 8 |
| საქართველო | 4 | 4 | 0 | 0 | 136:48 | 8 |
| რუსეთი | 4 | 2 | 0 | 2 | 107:116 | 4 |
| ესპანეთი | 4 | 1 | 0 | 3 | 82:115 | 2 |
| პორტუგალია | 4 | 1 | 0 | 3 | 50:120 | 2 |
| ჰოლანდია | 4 | 0 | 0 | 4 | 44:148 | 0 |

მომდევნო ტური

7 აპრილი

**რუმინეთი — საქართველო** ბუქარესტი

8 აპრილი

**რუსეთი — პორტუგალია** კრასნოდარი

**ჰოლანდია — ესპანეთი** ამსტერდამი



ეროვნული ბიბლიოთეკა

NBA. რეგულარული ჩემპიონატი

# სფურზმა ვერ გააათა

16 მარტი

**სან ანტონიო 95:86 ნიუ ჯერსი**

**სან ანტონიო: პორტერი (4), ანდერსონი (17), ფერი (8), დანკანი (29 ქულა, 16 მოხსნა, 5 დაფარება), რობინსონი (14); უოლკერი (10), როუზი (8), ჯონსონი (4), დანიელსი (1), კერი, სკოტი**

**ნიუ ჯერსი: მარბერი (20), პარისი (4), ნიუმენი (22), ვან ჰორნი (15), ემეიერი (4); დუგლასი (9), ვილიამსი (5), ჯეკსონი (4), სამაკე (3)**

18 მარტი

**დენვერი 98:84 ნიუ ჯერსი**

**დენვერი: ვან ექსელი (4 ქულა, 11 პასი), ლენარდი (6), პოუზი (4), მაკდაიესი (19), ლაფრენცი (22 ქულა, 11 მოხსნა, 7 დაფარება); პეკი (15 ქულა, 11 პასი), ვილისი (13 ქულა, 11 მოხსნა), ბოუენი (11), მაკლაუდი (2), გოლდვაიერი (2), დევისი**

**ნიუ ჯერსი: დუგლასი (14), პარისი (12), ვან ჰორნი (14), მარტინი (17), ემეიერი (2); ვილიამსი (13), ნიუმენი (9), სტეფანია (3 წუთი, 3 ქულა, 2 მოხსნა, 1 დაფარება), სამაკე, ჯეკსონი**

ვერ აეწყო ნბა-ში მოხვედრილი პირველი ქართველის, ვლადიმერ სტეფანიას კარიერა ისე, როგორც თავად კალათბურთელი და მისი გულშემატკივრები ისურვებდნენ. ჩვენებური თავდაპირველად ყოველთვის ჩნდებოდა „ნიუ ჯერსის" თამაშებში, თუმცა, სამწუხაროდ, ვოვამ ადრე ნატკენი მუხლი კვლავ დაიშავა და ახლა იშვიათად, ისიც ორიოდე წუთით თუ გავა მოედანზე.

კვირას დენვერში, იქაურ „ნაგითსთან" მატჩში სტეფანიამ პრაქტიკულად უშეცდომო სამი წუთი ითამაშა, თამაშიდან ერთხელ ისროლა და ჩააგდო, ერთ საჯარიმოსაც მასპინძელთა კალათში მიუჩინა ადგილი და სამქულიან მონაგარს ორი მოხსნა და ერთი დაფარებაც მიაყოლა.

მისი გუნდისთვის სამწუხაროდ, სტეფანიამ ბევრით ვერაფრით უშველა „ბადეებს". „ნიუ ჯერსის" სათადარიგოებმა პირწმინდად დათმეს ბრძოლა მასპინძელთა შემცვლელებთან, რაზეც სტატისტიკაც მეტყველებს — ქულებში 25:43, მოხსნებში 10:21, პასებში 5:17.

სწორედ „ნაგითსის" სათადარიგომ, ბებერმა ცენტრმა კევინ ვილისმა გატეხა მეორე მეოთხედში მანამდე რიგიანად მოთამაშე „ნიუ ჯერსი". მან თავისი 13 ქულიდან 12 ამ მეოთხედში მოიხვეჭა და ძირითადი ცენტრი, ახალგაზრდა რეფ ლაფრენციც აიყოლა. ამ ორმა გიგანტმა პირდაპირ თავბედი აწყევლინეს „ბადეთა" მაღლებს, ერთი მონაკვეთი თავისიანებს 23:0, მეორე მეოთხედი კი 31:10 მოაგებინეს, რის შემდეგაც თამაშმა სრულიად დაკარგა აზრი.

„დენვერთან" მარცხამდე ორი დღით ადრე „ნიუ ჯერსიმ" ზუსტად იმავე მიზეზით წააგო „სან ანტონიოსთანაც", რომლის 213-სანტიმეტრიანმა თავდამსხმელმა ტიმ დანკანმა პირწმინდად დაჯაბნა სტუმართა მაღლები. აღსანიშნავია, რომ „ოლ სტარამდე", ანუ თებერვლის დასაწყისში „ნიუ ჯერსიმ" შინ დაამარცხა „სან ანტონიო" და რვამატჩიანი გამარჯვებათა სერია შეაწყვეტინა. „სან ანტონიოს" 16 მარტის შეხვედრამდეც ზედიზედ რვაჯერ მოეგო, ამჯერად კი უძლური აღმოჩნდა სტეფანიას გუნდი. ექსჩემპიონმა ზედიზედ მეცხრე გამარჯვება ლამის ოფლმოუდენლად ჩაიწერა აქტივში.

16 მარტი

**პორტლენდი 90:87 იუტა**

**პორტლენდი: პიპენი (20 ქულა, 6 ჩაჭრა), საბონისი (18)**



REUTERS

ორლანდო — ვანკუვერი. შარიფ აბდურ-რაჰიმი ორლანდოელ დონ რიდს უფარებს

**იუტა: მარშალი (24), მელოუნი (22)**

**ფილადელფია 79:100 საკრამენტო**

**ფილადელფია: აივერსონი (28)**

**საკრამენტო: უებერი (26), სტოიაკოვიჩი (19)**

**კლიპერსი 94:76 გოლდენ სტეიტი**

**კლიპერსი: მაკინისი (21 ქულა, 12 მოხსნა, 11 პასი), მეჯიტი (20)**

**გოლდენ სტეიტი: ჯემისონი (22)**

**ჩიკაგო 80:90 სიეტლი**

**ჩიკაგო: ფიზერი (25 ქულა, 10 მოხსნა)**

**სიეტლი: პეიტონი (24)**

**კლივლენდი 114:109 შარლოტი**

**კლივლენდი: მარბრინგი (28)**

**შარლოტი: უესლი (26), მაშბერნი (23)**

**ინდიანა 103:97 ატლანტა**

**ინდიანა: როუზი (21)**

**ატლანტა: ტერი (31), კუკოჩი (25)**

**ვაშინგტონი 89:101 ლეიკერსი**

**ვაშინგტონი: ალექსანდერი (20)**

**ლეიკერსი: ბრაიანტი (26), ონილი (18)**

**ორლანდო 103:99 ვანკუვერი**

**ორლანდო: არმსტრონგი (29 ქულა, 11 პასი), მილერი (23)**

**ვანკუვერი: ჯონსი (21)**

**დენვერი 83:87 ბოსტონი**

**დენვერი: პოუზი (19), ვან ექსელი (17 ქულა, 15 პასი)**

**ბოსტონი: უოლკერი (21)**

როგორც იქნა, „პორტლენდის" უიღბლობასაც მოეღო ბოლო. „ბლეიზერსმა" ძლივძლივობით, მაგრამ მაინც მოუგო „იუტას" და დაასრულა წაგებათა სერია, რომელიც, პორტლენდელთა სამარცხვინოდ, ხუთ თამაშს ითვლიდა. გამარჯვებაში ლომის წილი დაიდეს ვეტერანებმა — სკოტი პიპენმა და არვიდას საბონისმა. მათ სეზონის ერთ-ერთი და იქნებ სულაც საუკეთესო მატჩი ჩაატარეს.

ალენ აივერსონმა „საკრამენტოს" 28 ქულა ჩაუგდო, მაგრამ რადგან იგი ლამის ერთადერთი ებრძოდა მეტოქეს, მისი „ფილადელფია" საკუთარ ქომაგთა თვალწინ შერცხვა.

17 მარტი

**ჰიუსტონი 103:99 სან ანტონიო**

**ჰიუსტონი: ფრენსისი (30 ქულა, 11 პასი), მობლი (26 ქულა, 10 მოხსნა), ბალარდი (18)**

**სან ანტონიო: დანკანი (25 ქულა, 16 მოხსნა), რობინსონი (22)**

**მილუოკი 87:78 ფილადელფია**

**მილუოკი: ტომასი (22), ალენი (20 ქულა, 10 პასი), რობინსონი (20)**

**ფილადელფია: მაკი (23 ქულა, 10 პასი)**

**დალასი 109:99 ფინიქსი**

**დალასი: ნოვიცკი (34 ქულა, 13 მოხსნა), ნეში (28), ფინლი (20 ქულა, 11 პასი)**

**ფინიქსი: კიდი (32 ქულა, 9 მოხსნა, 9 პასი)**

**ატლანტა 90:106 დეტროიტი**

**ატლანტა: კუკოჩი (29 ქულა, 10 მოხსნა, 10 პასი)**

**დეტროიტი: სტეკჰაუზი (31)**

**ნიუ იორკი 101:80 ჩიკაგო**

**ნიუ იორკი: სპრიუელი (22), კემბი (19)**

**ჩიკაგო: მერსერი (18)**

**მაიამი 95:81 ვანკუვერი**

**მაიამი: მეისონი (18)**

**ვანკუვერი: აბდურ-რაჰიმი (20)**

**შარლოტი 95:93 ვაშინგტონი**

**შარლოტი: ბრაუნი (22)**

**ვაშინგტონი: ალექსანდერი (21)**

ის, რაც ვერ შეძლო „ნიუ ჯერსიმ", მოახერხა „ჰიუსტონმა" — წააქცია დასავლეთის საუკეთესო გუნდი „სან ანტონიო". ამ უკანასკნელის მაღლებმა, რობინსონ-დანკანის დუეტმა, ჰიუსტონელები აშკარად დაჯაბნეს ფარზე, თუმც მასპინძელთა დაბლებმა სანანტონიოელები არ გაახარეს. მეტ ბალარდმა „სფურზს" ექვსი სამქულიანი ჩაუგდო, კუტინო მობლიმ და სტივ ფრენსისმა კი გარღვევებით აიკლეს „სან ანტონიოს" კალათი.

„ფილადელფიამ" ორ დღეში მეორედ წააგო. ამჯერად ლიგის საუკეთესო გუნდს თავის გასამართლებელი საბუთი აქვს, აქაოდა აივერსონი არ გვყავდაო. აივერსონს წინა მატჩში თეძო უტკენია.

18 მარტი

**ინდიანა 101:98 საკრამენტო**

**ინდიანა: მილერი (24)**

**საკრამენტო: სტოიაკოვიჩი (27), უებერი (26)**

**ორლანდო 90:95 ლეიკერსი**

**ორლანდო: მაკგრეიდი (29 ქულა, 10 მოხსნა)**

**ლეიკერსი: ონილი (33 ქულა, 17 მოხსნა)**

**დეტროიტი 96:100 მილუოკი**

**დეტროიტი: ვოლესი (18 ქულა, 21 მოხსნა)**

**მილუოკი: რობინსონი (24), კასელი (21)**

**მინესოტა 91:76 კლივლენდი**

**მინესოტა: გარნეტი (21 ქულა, 9 პასი, 9 მოხსნა)**

**კლივლენდი: პერსონი (13)**

**გოლდენ სტეიტი 99:104 სიეტლი**

**გოლდენ სტეიტი: ჯემისონი (24), ბლეილოკი (21 ქულა, 15 პასი)**

**სიეტლი: პატერსონი (20), პეიტონი (19)**

**კლიპერსი 96:111 იუტა**

**კლიპერსი: მეჯიტი (20)**

**იუტა: მელოუნი (34), მარშალი (22)**

როგორც იქნა, ვიცე-ჩემპიონი „ინდიანაც" გამოცოცხლდა. აიზია ტომასის შეგირდებმა უქმეებზე ორი თამაში მოიგეს, მათ შორის მეორე — დასავლეელ ბობოლა „საკრამენტოსთან". ამ შეხვედრაში ინდიანელმა რეჯი მილერმა ოთხი სამქულიანი ჩააგდო, მეოთხე მის კარიერაში მე-2000 აღმოჩნდა.

ორლანდოში ჩასულ ჩემპიონ „ლეიკერსს" იქაურ „მეჯიქთან" ლამის მარტომ მოაგებინა სუპერცენტრმა შაკილ ონილმა. გეხსომებათ, შაკმა კარიერის პირველი ოთხი სეზონი სწორედ „ორლანდოში" გაატარა და ამ სეზონში უფერულად მოთამაშეს წარსულის გახსენებამ თუ შეასხა ფრთა.

**ირაკლი ფირაშვილი**

## ბასკომ წააგო

გუშინ შვედეთის ქალაქ სედერტელეში ჩრდილოეთ ევროპის საკალათბურთო ლიგის (NEBL) მეორე დივიზიონის, იგივე „ჩელენჯ კაპის" მეორე ჯგუფური ეტაპი დაიწყო. ბათუმის „ბასკომ" 86:114 წააგო ლიტვის „ალიტასთან" და პირველობის შანსი დაკარგა. დღეს „ბასკო" მესამე ადგილისთვის შეხვედება შვედურ „სედერტელესა" და ჰოლანდიურ „კონესკოს" მატჩში დამარცხებულს.

საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი აცხადებს
კონკურსს ასპირანტთა (5 მაისიდან 15 ივნისამდე)
და ახალგაზრდებს შორის (19 ივნისიდან 4 ივლისამდე)
საერთაშორისო სემინარში მონაწილეობის მისაღებად,
რომელიც გაიმართება საბერძნეთის ქალაქ ოლიმპიაში.
კონკურსში მონაწილეობის მსურველები უნდა
აკმაყოფილებდნენ შემდეგ პირობებს: თავისუფლად ფლობდნენ
უცხო ენას (ინგლისურს ან ფრანგულს) და კარგად
ერკვეოდნენ სპორტისა და ოლიმპიზმის საკითხებში.
მსურველებმა მოგვმართეთ ამა წლის 25 მარტამდე
საქართველოს ეროვნულ ოლიმპიურ კომიტეტში მისამართზე:
დავით აღმაშენებლის პროსპექტი, 65, ტელ: 95-20-79

# მტერი თავისიანთა შორის



სერენა უილიამსმა ყველას ჯინაზე იმარჯვა

მასტერსის სერია. ინდიან უელსი (აშშ)
ჰარდი. საპრიზო 5 მილიონი $

### ქალები

**ფინალი: სერენა უილიამსი (7, აშშ) — კიმ კლაისტერსი (14, ბელგია) 4:6, 6:4, 6:2**

სერენა უილიამსი, როგორც თავადაც მოგეხსენებათ, ამერიკელია, მაგრამ ინდიან უელსის ფინალის დროს ამას ნაკლებად თუ იფიქრებდით — შავკანიან ჩოგბურთელს თანამემამულეები ისე შეხვდნენ, მტერსაც არ უსურვებდით. გამაყრუებელი სტვენა სერენას კორტზე გამოსვლისთანავე ატყდა, ტრიბუნებზე ვინუს და რიჩარდ უილიამსების გამოჩენის შემდეგ კიდევ უფრო გაძლიერდა და არც მატჩის დროს შეწყდარა. მის თითოეულ აცილებას თუ ორმაგ შეცდომას მაყურებლები ტაშით ხვდებოდნენ და მხურვალედ ქომაგობდნენ ბელგიელ კიმ კლაისტერსს.

ამ ერთი შეხედვით ანომალიური საქციელის ახსნა ორი დღით ადრე მომხდარ ფაქტში უნდა ვეძიოთ: დები უილიამსების ნახევარფინალური შეხვედრის დაწყებამდე რამდენიმე წუთით ადრე ვინუსმა მუხლის ტრავმა მოიმიზეზა და ასპარეზობაზე უარი განაცხადა, რამაც მატჩის სანახავად მისული მაყურებლები მეტად ააშფოთა. ბევრმა ბილეთებში გადახდილი ფულის უკან დაბრუნება მოითხოვა, ბოლომ გულში შეინახა და შაბათს კლანის უმცროს წევრზე გადმოანთხია.

საქმე ის არის, რომ ხალხის აზრით, უფროსი დაიკო, უბრალოდ, განზე გადგა და ტიტულისკენ გზა გაუთავისუფლა უმცროსს, დაზარალებულები კი შედეგად ჩოგბურთის მოყვარულები დარჩნენ. ცეცხლზე ნავთი რამდენიმე დღის წინ ჟურნალ „ნეშენალ ინქუაირერში" გამოქვეყნებულმა სტატიამ გადაასხა, რომელშიც ოჯახის ერთი ახლობელი ამტკიცებს, შარშანდელი უიმბლდონის ნახევარფინალში რიჩარდმა სერენასს ვინუსთან წაგება უბრძანაო.

„ეს ტყუილია, სკანდალური ტყუილი და ამასთან ძალიან საწყენი. ცოტა ხანში, ალბათ, დაწერენ სერენა უცხოპლანეტელისგან დაფეხმძიმდაო — მატჩის შემდეგ უმცროსი უილიამსი ჭორების გაფანტვას შეეცადა და მაყურებლების ასეთი მტრული დამოკიდებულებაც გაამტყუნა — მე უდანაშაულო ვარ. ვთამაშობ იმისთვის, რომ მოვიგო, ჩემპიონი, საუკეთესო გავხდე. აბა, ვის ესიამოვნება, როდესაც 19 წლის გოგოს ასე უსტვენენ? მე ხომ ჯერაც ბავშვი ვარ".

მატჩის დასაწყისში სერენას აშკარად უჭირდა გონების მოკრება და ჩოგბურთზე ფიქრი, გამწარებული ცდილობდა, ბურთი რაც შეიძლება, ძლიერად დაერტყა და შედეგად შეცდომა შეცდომას მოსდევდა: „გეიმებს შორის ერთ შესვენებაზე ვილოცე და ღმერთს ვთხოვე, ძალა მომეცი-მეთქი, მოგების კი არა, იმისთვის, რომ ტრიბუნებიდან ხმაურისთვის ყურადღება აღარ მიმექცია. თავიდან ცოტათი შოკირებული ვიყავი, მაგრამ თანდათან ყველაფერს შევეჩვიე".

თამაშის ხარისხის გამოსწორებაში სერენას ზეციური ძალები დიდად არ დახმარებიან, სამაგიეროდ, მისი ნერვიულობა კიმ კლაისტერსს გადაედო. თუ თავიდან ბელგიელი, ასე თუ ისე, სტაბილურად ირჯებოდა, მალე მანაც აურია და მატჩი საძაგელი საცქერი გახდა — კორტში ჩავარდნაზე ხშირად ორივე ჩოგბურთელის დარტყმები ბადისკენ ან აუტისკენ მიიწევდნენ.

პირველი სეტის მოგების შემდეგ კლაისტერსს ერთი ქულა დააკლდა მეორეში 5:3 დაწინაურებამდე, მაგრამ შანსი ვერ გამოიყენა და მწარედაც დაისაჯა. გადამწყვეტ ხელში შედარებით დაწყნარებული სერენა მეტოქეს უკვე ერთი თავით ჯობდა და ტრიბუნებზე მოკალათებულთა გულდასაწყვეტად, სეზონში პირველი გამარჯვებაც იზეიმა.

სტვენა დაჯილდოების ცერემონიალზეც კი არ შეწყდარა, თუმცა უმცროსი უილიამსის წყობიდან გამოსაყვანად ეს უკვე საკმარისი აღარ იყო. „მადლობა ჩემს ღმერთს (დები უილიამსები იეღოველები არიან)... თქვენ დღეს ცოტა უხეშად მომეპყარით, მაგრამ მე მაინც მიყვარხართ" — მოწყალედ მიმართა მან მაყურებელს და გამარჯვებისთვის განკუთვნილი 330 ათასი დოლარი გააყოლა ხელს.

### ვაჟები

**მეოთხედფინალი: პიტ სამპრასი (3, აშშ) — პატრიკ რაფტერი (11, ავსტრალია) 4:6, 7:6 (7:4), 6:4; ანდრე აგასი (4, აშშ) — ნიკოლას ლაპენტი (ეკვადორი) 6:2, 6:1; ლეიტონ ჰიუიტი (6, ავსტრალია) — ნიკოლა ესკუდე (საფრანგეთი) 6:1, 6:3; ევგენი კაფელნიკოვი (7, რუსეთი) — ჟან-მაიკლ გემბილი (აშშ) 6:4, 6:3**

**ნახევარფინალი: სამპრასი — კაფელნიკოვი 7:5, 6:4; აგასი — ჰიუიტი 6:4, 3:6, 6:4**

**ფინალი: აგასი — სამპრასი 7:6 (7:5), 7:5, 6:1**

30 წლის ასაკში ბევრი ჩოგბურთელი სპორტიდან წასვლასა და დამსახურებულ პენსიაზე ფიქრობს, ანდრე აგასი კი სწორედ ახლა მოდის ახალი მწვერვალების დაპყრობის იმტაზე. „ლაპარაკიც არ უნდა, კარიერაში ასე კარგად არასოდეს მითამაშია. ჩემი აზრით, ჩოგბურთში მთავარი მოძრაობა და ფიზიკური მზადყოფნაა, ამ მხრივ კი ამჟამად ცხოვრებაში ყველაზე სწრაფად და ძლიერად ვგრძნობ თავს. ათი წლის წინანდელი აგასი სეტში სამ გეიმს თუ მომიგებდა".

ხოტორა ლასვეგასელის სიტყვების სიმართლეში კვირას მისი უცვლელი მთავარი მეტოქე, პიტ სამპრასიც დარწმუნდა. ეს ბოლო ათწლეულის ორი საუკეთესო ჩოგბურთელის უკვე ოცდამეათე პირადი შეხვედრა იყო, მაგრამ პირველი 2000 წლის ავსტრალიის ღია პირველობის დაუვიწყარი ხუთსეტიანი ნახევარფინალის შემდეგ.

აგასიმ უიმბლდონის შვიდგზის ჩემპიონის დასაჯაბნად ამჯერად ორიგინალური ტაქტიკა აირჩია. იმის ნაცვლად, რომ მთელი ძალით დაერტყა, ის გაცილებით ნელ, მაღლა მხტომ მოწოდებებს მეტოქის სუსტ, ბექჰენდის მხარეს უშვებდა. შედეგად „პისტოლ პიტი" ბადესთან გასვლას ველარ ახერხებდა, უკანა ხაზიდან კი ანდრეს ვერაფერს აკლებდა.

თითქმის უშეცდომოდ მოთამაშე აგასიმ პირველი ხელი დიდი გაჭირვებით, ტაი-ბრეიკზე მოიგო, მეორეს უკანასკნელ გეიმში უზუსტესი შემოვლებულებით სამპრასს პირველად აართვა მოწოდება და მისი წინააღმდეგობაც გატეხა — აქედან მოყოლებული უფრო თავდაჯერებით მოთამაშე მეტოქესთან შედარებით პიტი უმწეოდ გამოიყურებოდა.

„პიტთან ყოველი შეხვედრა განსაკუთრებულია, თითოეული მოგებაც გუშინდელ დღესავით მახსოვს. ზოგჯერ მიჭირს დავიჯერო, რომ ეს მხოლოდ ჩოგბურთის მატჩია და არა რაიმე უფრო მნიშვნელოვანი. კარიერის ამ ეტაპზე მასთან თამაში, თანაც ასე კარგად, ასეთი დიდი ტურნირის ფინალში, კიდევ უფრო მეტ სიამოვნებას მანიჭებს" — აღნიშნა მოგვიანებით ჩემპიონმა, რომელსაც 400 ათასი დოლარი ერგო.

და ცოტა რამ სტატისტიკიდან: პირად შეხვედრებში ორ დიდ ამერიკელს შორის წინ ჯერაც სამპრასია — 17:13. აგასისთვის ეს კარიერის 47-ე და მასტერსის (ყოფილი მერსედეს სუპერ 9) სერიის ტურნირებზე მოპოვებული მე-11 ტიტული იყო. ამ უკანასკნელი მაჩვენებლით ის რეკორდსმენ სამპრასს დაეწია.

**ავთანდილ სვანიძე**



## NHL. რეგულარული ჩემპიონატი

16 მარტი

**ბუფალო 4:2 ვანკუვერი (1:1 1:0 2:1)**
1:0 ჰაინცი 17(24), 1:1 კუკი 20(13), 2:1 გილმორი 40(6), 2:2 ჰ. სედინი 46(8), 3:2 ჰაინცი 51(15), 4:2 ჰაინცი 60(26)

**ოტავა 4:1 ანაჰაიმი (1:0 0:0 3:1)**
1:0 ჰოსა 14(30), 2:0 არვედსონი 43(15), 3:0 იაშინი 54(33), 3:1 ნიემი 55(1), 4:1 სილინჯერი 60(15)

**ატლანტა 0:3 კოლუმბუსი (0:1 0:0 0:2)**
0:1 რაიტი 12(12), 0:2 რაიტი 51(13), 0:3 რაიტი 60(14)

**ფლორიდა 3:6 პიტსბურგი (1:2 2:1 0:3)**
0:1 ლემიე 9(29), 1:1 ბურე 11(50), 1:2 კასპარაიტისი 17(3), 2:2 პ. ბურე 21(51), 3:2 ბოილი 29(4), 3:3 ლემიე 50(30), 3:4 ბერანეკი 43(9), 3:5 კოვალიოვი 44(4), 3:6 იაგრი 56(43)

**დალასი 1:1 ფინიქსი (0:0 1:1 0:0 0:0)**
0:1 გრინი 23(10), 1:1 მოდანო 31(26)

17 მარტი

**ფილადელფია 2:1 რეინჯერსი (1:1 1:0 0:0)**
0:1 დვორჟაკი 4(24), 1:1 ვანდერვილი 6(3), 2:1 მაკგილისი 40(13)

**ვაშინგტონი 2:3 ბუფალო (0:0 2:2 0:1)**
0:1 ბარნსი 21(18), 1:1 ბონდრა 34(42), 1:2 კ. ბრაუნი 36(9), 2:2 ბონდრა 37(43), 2:3 გრეტონი 50(17)

**ფლორიდა 3:5 ტორონტო (1:0 2:3 0:2)**
1:0 პ. ბურე 19(52), 1:1 დომი 27(13), 2:1 პ. ბურე 29(53), 3:1 პ. ბურე 34(54), 3:2 ანტროპოვი 36(6), 3:3 ჰოგლუნდი 37(21), 3:4 ბერგი 47(1), 3:5 სუნდინი 60(27)

**ნეშვილი 4:1 ფინიქსი (1:0 1:1 2:0)**
1:0 უოკერი 10(21), 1:1 ჟიუნო 24(8), 2:1 ჩელბერგი 26(13), 3:1 რონინგი 46(17), 4:1 იახმენევი 60(14)

**ტამპა 5:1 პიტსბურგი (2:0 0:1 3:0)**
1:0 ლეკავალიე 12(19), 2:0 სენტ ლუისი 20(16), 2:1 ლემიე 21(31), 3:1 კუბინა 50(10), 4:1 სენტ ლუისი 57(17), 5:1 ლეკავალიე 59(20)

**კოლუმბუსი 3:3 აილენდერსი (1:1 2:0 0:2 0:0)**
1:0 შვაბელი 9(1), 1:1 მარტინსი 11(2), 2:1 დაინინი 37(8), 3:1 კრონი 38(8), 3:2 სკაჩარდი 42(17), 3:3 მაკოლტი 49(10)

**კალგარი 2:2 სენტ ლუისი (1:2 0:0 1:0 0:0)**
0:1 ტკაჩუკი 3(30), 0:2 სტილმანი 10(22), 1:2 ვ. ბურე 13(24), 2:2 იგინლა 60(27)

**ედმონტონი 5:6 ნიუ ჯერსი (2:0 1:1 2:4 0:1)**
1:0 კომრი 3(6), 2:0 ჯ. სმიტი 13(5), 3:0 გრიერი 35(16), 3:1 მედენი 39(24), 3:2 ელიაში 42(30), 4:2 პოტი 45(12), 4:3 მაკეი 47(20), 4:4 ჰოლიკი 49(13), 5:4 მარჩანტი 53(12), 5:5 ელიაში 57(31), 5:6 ელიაში 65(32)

**კოლორადო 5:3 დეტროიტი (1:0 2:1 2:2)**
1:0 საკიკი 1(42), 2:0 ნიემინენი 23(12), 3:1 ჰეიდუკი 35(38), 3:1 ლიდსტრიომი 40(12), 3:2 ფიშერი 44(1), 4:2 პოდინი 58(15), 4:3 ვერბიკი 59(15), 5:3 ბურკი 60(6)

**მონრეალი 2:3 ბოსტონი (0:2 1:1 1:0)**
0:1 სამსონოვი 7(24), 0:2 სამსონოვი 19(25), 0:3 უეინრიჩი 23(7), 1:3 ვიტეპალი 27(1), 2:3 სურეი 44(3)

**ლოს ანჯელესი 1:0 სან ხოსე (0:0 0:0 0:0 1:0)**
1:0 სმოლინსკი 61(24)

18 მარტი

**ატლანტა 3:5 ვანკუვერი (0:1 3:2 0:2)**
0:1 ბერტუცი 11(25), 1:1 ვასილიევსი 24(3), 1:2 კესელსი 28(12), 2:2 კლარკი 34(1), 3:2 შტევანი 35(7), 3:3 კლეტი 39(11), 3:4 ოლუნდი 49(8), 3:5 კლეტი 60(12)

**კოლორადო 4:3 მინესოტა (0:1 2:2 2:0)**
0:1 გაბორიკი 10(18), 0:2 სეკერაში 23(10), 1:2 ჰეიდუკი 25(39), 1:3 ჰენდრიკსონი 28(14), 2:3 სკოულა 38(7), 3:3 ჰეიდუკი 46(40), 4:3 საკიკი 59(43)

**კაროლინა 2:1 აილენდერსი (0:1 2:0 0:0)**
0:1 კვაშა 13(8), 1:1 კაპანენი 23(16), 2:1 ოზოლინში 35(11)

**ჩიკაგო 1:4 ანაჰაიმი (1:2 0:2 0:0)**
0:1 ფრიზენი 4(13), 0:2 კამინსი 7(5), 1:2 დუბინსკი 15(4), 1:3 მაკინისი 23(20), 1:4 პოლსონი 38(4)

**დალასი 5:1 ოტავა (1:0 2:0 2:1)**
1:0 ზუბოვი 12(10), 2:0 ვანალენი 33(6), 3:0 ჰალი 37(31), 4:0 ჰალი 46(32), 5:0 ჰალი 56(32), 5:1 ჰოსა 59(31)

**სან ხოსე 4:6 დეტროიტი (0:3 2:0 2:3)**
0:1 შენაჰანი 10(28), 0:2 ჰოლმსტრიომი 12(12), 0:3 ჰოლმსტრიომი 15(13), 1:3 ნოლანი 21(22), 2:3 შტურმი 32(14), 2:4 ჰოლმსტრიომი 46(14), 3:4 ჰარვი 48(9), 4:4 რიჩი 52(14), 4:5 ლაპოინტი 58(22), 4:6 ლიდსტრიომი 60(13)



ფლორიდელმა პაველ ბურემ (მარჯვნივ) უქმეებზე ხუთი გოლი გაიტანა და სეზონში პირველმა გადალახა 50-გოლიანი ზღვარი

### აღმოსავლეთის კონფერენცია

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ოტავა | 72 | 41 | 8 | 3 | 20 | 237:179 93 |
| ნიუ ჯერსი | 71 | 39 | 12 | 3 | 17 | 250:173 93 |
| ვაშინგტონი | 72 | 37 | 10 | 2 | 23 | 205:184 86 |
| ფილადელფია | 72 | 39 | 10 | 2 | 21 | 218:183 90 |
| ბუფალო | 71 | 39 | 5 | 1 | 26 | 189:167 84 |
| პიტსბურგი | 72 | 36 | 8 | 2 | 26 | 244:227 82 |
| ტორონტო | 73 | 37 | 11 | 5 | 24 | 215:183 82 |
| კაროლინა | 71 | 32 | 8 | 3 | 28 | 184:192 75 |
| ბოსტონი | 71 | 29 | 7 | 7 | 28 | 194:221 72 |
| რეინჯერსი | 71 | 27 | 5 | 1 | 38 | 219:254 60 |
| მონრეალი | 72 | 24 | 6 | 4 | 38 | 178:209 58 |
| ფლორიდა | 73 | 18 | 11 | 9 | 35 | 178:226 56 |
| ტამპა | 72 | 22 | 6 | 4 | 40 | 180:243 54 |
| ატლანტა | 72 | 20 | 12 | 2 | 38 | 192:258 54 |
| აილენდერსი | 72 | 19 | 6 | 3 | 44 | 159:234 47 |

### დასავლეთის კონფერენცია

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| კოლორადო | 72 | 46 | 9 | 4 | 13 | 244:170 105 |
| დეტროიტი | 74 | 43 | 9 | 4 | 18 | 227:191 99 |
| დალასი | 72 | 40 | 6 | 2 | 24 | 202:170 88 |
| სენტ ლუისი | 72 | 40 | 10 | 4 | 18 | 226:171 94 |
| ვანკუვერი | 73 | 35 | 8 | 7 | 23 | 226:215 85 |
| სან ხოსე | 72 | 35 | 11 | 2 | 24 | 189:169 83 |
| ედმონტონი | 72 | 35 | 10 | 3 | 24 | 206:191 83 |
| ფინიქსი | 72 | 31 | 15 | 2 | 24 | 186:183 79 |
| ლოს ანჯელესი | 71 | 33 | 10 | 1 | 27 | 224:205 77 |
| ნეშვილი | 73 | 29 | 8 | 3 | 33 | 169:184 69 |
| ჩიკაგო | 72 | 29 | 7 | 3 | 33 | 192:209 68 |
| კალგარი | 71 | 23 | 14 | 4 | 30 | 171:208 64 |
| მინესოტა | 72 | 24 | 10 | 5 | 33 | 153:182 63 |
| კოლუმბუსი | 71 | 24 | 8 | 6 | 33 | 169:204 62 |
| ანაჰაიმი | 74 | 24 | 8 | 5 | 37 | 173:214 61 |

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

მთავარი რედაქტორი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
ტექნიკური რედაქტორი ვახტანგ ბზიკაძე
ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი სოსო კოტორეიშვილი
კალათბურთის და ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი მერაბ რატიშვილი
ფეხბურთის რედაქცია სოლომონ გულისაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი, ვანო ოქროპირიძე კალათბურთის და ინფორმაციის რედაქცია გია ახალაძე, გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, გიორგი ბიკაშვილი, დავით გულუა, ავთანდილ გურასაშვილი, ავთანდილ სვანიძე, ირაკლი ფირაშვილი კორესპონდენტი ქუთაისში იუზა კაციტაძე ფოტორეპორტიორები გურამ ღოღუნჯაშვილი, ბადრი კეთილაძე სტილისტები მაია აბზიანიძე, ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი კომპიუტერული ცენტრი ლია ბესელია, ელენე გელუტაშვილი, მამუკა გუბელაძე, სვეტა დევაძე, მაგდა დოგრაშვილი, კახა თალაკვაძე, ტრისტან კახურაშვილი, დავით ნადირაშვილი, მარიამ ტაბიძე, თენგიზ ფოფხაძე, ნინო ყუფუნია, თინათინ შიოლაშვილი, გურამ ხელაშვილი
გამომშვები ზურაბ ინაშვილი

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი:
თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.sarbieli.com.ge